სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 დეკემბერი 1999 №248 (1021) | ფასი 50 თეთრი

ბადრი კეთილაძის ფოტო

პირველი ათიანებს უმიზნებს

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენად ნინო სალუქვაძე დაასახელა

ნინოს პირველობა მსოფლიოს თასმა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალმა და ორმა ოლიმპიურმა ლიცენზიამ მოუტანა

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

ყველა ნაკრები პატრონს ჩაბარდა

საქართველოს ნაკრების ორ მწვრთნელს თვრამეტი მწვრთნელი დაუნიშნეს

რას არ იტყვის კაცი. გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა ახალდანყებული იყო, როცა საკონფერენციო დარბაზიდან მავანი გამოვიდა — მგონი, ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელთა ტანდემს აღმასკომელები არ ამტკიცებენ და თუ ვინმეს დაამტკიცებენ, ალბათ მხოლოდ ძოძუაშვილსო — გვითხრა სასტუმროს ფოიეში მომლოდინეთ. აბა, მაშინ გენახათ გაკვირვებული სახეები.

მერე დაახლოებით ნახევარი საათი დარბაზის კარი არ გაღებულა. ჩვენც ჩვენთვის ვისხედით და იმ „პირველი მერცხლის" ნათქვამს ჩვენებურად ვარჩევდით.

კარი გაიღო, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე მოგვიახლოვდა — ისევ პირველ საკითხზე კამათობენ, ნაკრების მწვრთნელების დანიშვნაზეო, თქვა და უკანვე შებრუნდა.

რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ეროვნული გუნდის თავკაცებად ძოძუაშვილი და ყიფიანი არ დამტკიცონ? არა, ალბათ მაინც დამტკიცებენ... ან იუნგ... ვეკითხებით კოლეგები ერთმანეთს, ვვარაუდობთ, ვეჭიობთ... და... რევაზ ძოძუაშვილი — დავით ყიფიანი საქართველოს ნაკრების მწვრთნელები არიან. მათ სხდომა დატოვეს. ისინი ეროვნული გუნდის თავკაცებად დამტკიცეს. იქვე, ფოიეში ჩამოსხდნენ, ლუდი მოსვეს, სიგარეტს მოუკიდეს — შესარჩევი ციკლის ბოლომდე ნაკრებს ჩვენ ვუხელმძღვანელებთ, ორი წლით, აღმასკომმა დაგვამტკიცა — განგვიცხადეს მწვრთნელებმა. დარბაზიდან მათ აღმასკომის რამდენიმე წევრიც გამოჰყვა, ძალიან ცხელა, ცოტა სულს მოვითქვამთო.

ვიფიქრეთ, სხდომაც მალე დამთავრდებაო, მაგრამ თითქმის ორნახევარ საათს კიდევ გაგრძელდა, ექვსზე დაიწყო და ცხრისთვის დასრულდა.

იხილეთ მეორე გვერდი



გურამ დარსელიანის ფოტო

დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა ნააღმასკომევს პირი ლუდით გაისველეს

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

შობა უფლისა და ოჯახისა

წუხელ ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ნაწილი შობის დღესასწაულის შესახვედრად რომ ემზადებოდა, მის ერთ-ერთ უგამოჩენილეს შვილს, მსოფლიოს ფეხბურთის ბრაზილიელ ვარსკვლავს, რონალდოს, რიო დე ჟანეიროში საქორწილო სუფრა ჰქონდა გაშლილი. სახალხო ზეიმი პირადს გადაეჭდო — პლანეტის 1996 და 1997 წლების საუკეთესო მოთამაშემ სატრფო, მილენ დომინგუში ცოლად შეირთო.

რონალდო და მილენ დომინგუში უახლოეს მომავალში ბავშვს ელიან. ქვეყნის უპოპულარულესი პიროვნების ქორწილმა ბრაზილიელ ჟურნალისტთა საგანგებო ყურადღებაც მიიპყრო და წვეულების წინ მცირე პრეს-კონფერენციაც მოეწყო.

სააგენტო „როიტერი" რატომღაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც ვაჟისთვის, ასევე ქალისთვის ეს პირველი ქორწინებაა.

ყველა ნაკრები პატრონს ჩაბარდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა დარბაზში გველოდნენ — პრესკონფერენცია შედგა:

...აღმასკომის წევრებს უეფადან მეორედ მოსული გამაფრთხილებელი წერილი წავუკითხეთ. ისინი გვწერენ, თუ შესარჩევი მატჩების დაწყებამდე სტადიონებზე შესაბამისი განათება არ გექნებათ, საქართველოში თამაშები არ ჩატარდებაო — უეფა აგვიკრძალავს შესარჩევი მატჩების მასპინძლობას. ჯერჯერობით კი დამამიმდებელი მხოლოდ ერთია. სააქციო საზოგადოების წევრთაგან სიტყვიერი გარანტიები მივიღეთ. ისინი გვეუბნებიან, სექტემბრისთვის ეროვნულ სტადიონზე განათება მოწესრიგდებაო. რაც შეეხება ფედერაციის 5-პროცენტიან წილს სააქციო საზოგადოებაში, ჩვენ მზად ვართ, შესაბამისი თანხა დღესვე გავიღოთ. ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ითქვა, თბილისის მერია მომავალი წლის ბიუჯეტიდან გამოყოფს სტადიონის მოწესრიგებისთვის საჭირო თანხასო.

...ფეხბურთის ფედერაციას დღეს ფინანსურად არ უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ანგარიში ყადაღადადებულია, ფული გვაქვს, ვალებსაც ნელ-ნელა ვისტუმრებთ.

...ფინანსური თვალსაზრისით მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფი ნორმალურია. მაგალითად, იტალიასთან თბილისში მატჩის 20 ათასი ბილეთი რომ გაიყიდოს, საგადასახადოს ვალს ესეც გაგვასტუმრებინებს. აღარაფერს ვამბობთ სატელევიზიო უფლებების გაყიდვით მიღებულ შემოსავალზე. არც ერთ ქართულ ტელეკომპანიას მატჩების ტრანსლირების უფლებას უფასოდ არ მივცემთ. გადაიხდიან? სიამოვნებით, ტელემაყურებელიც მოგებული დარჩება.

...ჩვენს თანაჯგუფელთა მწვრთნელებს 10-დან 20 იანვრამდე თბილისში ჩამოსვლა და ამ სასტუმროში შესარჩევი ციკლის კალენდარზე მოლაპარაკება შეეთავაზეთ. ვნახოთ, პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

...ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ნაკრებში მოთამაშე ყველა ფეხბურთელი თამაშის წინ დავაზღვიოთ. დღეს ამაზეც ვილაპარაკეთ. კი, უკლებლივ ყველა ფეხბურთელი პატრიოტია, მაგრამ ისიც ხომ არის გასათვალისწინებელი, რომელიმემ, ღმერთმა დაიფაროს და, ფეხი მოიტეხოს, ვინ უმკურნალებს? გარდა ამისა, ნაკრების წევრები დამსახურებისამებრ სოლიდურ პრემიებს მიიღებენ.

...არ არის გამორიცხული, ნაკრებმა თბილისის გარდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც ითამაშოს. ჭუთაისი ყველაზე რეალურია. იქ უახლოეს მომავალში განათებაც მოწესრიგდება და სკამებსაც მოლიანად დააშენტაჟებენ.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სწორად მიიჩნევს, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ტანდემს ჩაბარა. ორივემ ერთად უნდა იმუშაოს. საწინააღმდეგო არც თავად აქვთ.

...დღეს ფედერაციის შტატების შემცირებაზეც ვილაპარაკეთ. აქამდე 80 თანამშრომელი გვყავდა, ახლა მათი რიცხვი 39 იქნება. რამდენიმე კომიტეტი გავაერთიანეთ, ზოგი გავთავისუფლეთ. მოკლედ, უეფას რჩევები გავითვალისწინეთ. ამხელა შტატი არ გჭირდებათო, გვითხრეს.

–ეროვნულ გუნდში მწვრთნელთა ტანდემის მუშაობის წინააღმდეგი მხოლოდ ერთი აღმასკომის წევრი — დავით ტურაშვილი იყო.

აღმასკომზე, რაღა თქმა უნდა, პრესკონფერენციაზეც, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უკვე განვლილ პირველ ეტაპსა და გაზაფხულზე დასაწყებ მეორეზე, საქართველოში უეფას მიერ ჩატარებულ პროგრეს-კურსების თაობაზეც ითქვა. აღმასკომელებმა ასევე მწვრთნელთა საბჭოს 18-კაციანი შემადგენლობაც დაამტკიცეს.

გარდა ამისა, შეკრებილებმა სხვადასხვა ასაკის ნაკრებებსაც დაუნიშნეს მწვრთნელები: 21-წლამდელებს უწინდებურად მურთაზ ხურცილავა უთავკაცებს. მას ვახტანგ კოპალეიშვილი და სერგო კუტივაძე დაეხმარებიან: 18-წლამდელები შოთა ჭეიშვილს ჩააბარეს, რომლის თანაშემწეც ზაურ სვანაძე იქნება; ორი წლით უმცროსებს თენგიზ სულაქველიძე გაწვრთნის; 14-წლამდელებს კი კობა ჟორჟიკაშვილი.

მერე საქენერგომ თუ თელასმა თბილისიც ჩააბნელეს...

კოგა ინასარიძე

მერაბ ჟორდანია გუშინდელი აღმასკომის სხდომისას

ფოტო ალექსანდრე ბაბალაძისა

სფფ-ს მწვრთნელთა საბჭო

ა. ჩოკაძე — თავმჯდომარე, სფფ-ს ვიცეპრეზიდენტი

დ. ყიფიანი — წევრი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

რ. ძოძუაშვილი — წევრი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

გ. გეგუჩაძე — წევრი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი

მ. ხურცილავა — წევრი, საქართველოს U21 ნაკრების მთავარი მწვრთნელი

შ. ქეშვილი — წევრი, საქართველოს U18 ნაკრების მთავარი მწვრთნელი

ზ. სვანაძე — წევრი, U18 ნაკრების მთავარი მწვრთნელი

თ. სულაქველიძე — წევრი, საქართველოს U16 ნაკრების მთავარი მწვრთნელი

კ. ჟორჟიკაშვილი — წევრი, საქართველოს U14 ნაკრების მთავარი მწვრთნელი

რ. შენგელი — წევრი, საქართველოს U16 ნაკრების მწვრთნელი

ჯ. ჯანელიძე — წევრი, საქართველოს მოყვარულთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი

ს. კოტრიკაძე — წევრი, ს.კ. „ვიტ-ჯორჯია“ მთავარი მწვრთნელი

ე. გუგუშვილი — წევრი, ს.კ. „ზოოვეტის“ მთავარი მწვრთნელი

ვ. ელიშვილი — წევრი, საქართველოს ვეტერანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი

ჯ. კარნეველი — წევრი, ს.კ. ბათუმის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი

ო. კორლალიძე — წევრი, ს.კ. თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი

ს. ფილია — წევრი, ს.კ. „ფაზისის“ მთავარი მწვრთნელი

ნ. ამირეჯიბი — წევრი, სფფ სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის ინსპექტორი



ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ტანდემი „დე იურე“: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

გურამ დოლიძისა და ალექსანდრ ბაბალაძის ფოტო

დიალოგი აქტუალურ თემაზე

უშვებენ, ბიძიკო, კიდევ ხომ? კი, გაუშვებენ. მეტი რა იციან მაგათ, მეტი რა შეუძლიათ — ასე შევა „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში? არ გვეტკინა არაფერი შენც და მეც მანამდე — ჩემპიონთა ლიგა კი არა, საუკეთესო ოთხეულში ძლივს შევიდა ამ ჩვენს გაძვალტყავებულ ჩემპიონატში, ვერ ხედავ?

ვუყურებ ეს დღეებია მინი-ფეხბურთს და ვყლაპავ ნერწყვს პავლოვის ძაღლივით. რატომ? გიკვირს ხომ, ძმიშვილო. გაგიკვირდება აბა რა, შენი ასაკის პატრონს ეგებ არც გქონდეს ნანახი ნამდვილი, ქართული ფეხბურთი. დიდ მინდორზე, ბიძია, დიდ მინდორზე, თორემ პატარა მოედანზე და ეზოში ეგება შენც კი გაკეთო იმისთანა რამე, ნერწყვი რომ მომივიდეს და ტაში დაგიკრა.

ჰოდა, ვუყურებ ამ ბიჭების ლამაზ ფინტებს და ვყლაპავ ნერწყვს — ძველი დრო მახსენდება, კაი დრო და კაი ფეხბურთი. იყო დრო, ასეთებს მინდორზე აკეთებდნენ ქართველები და მოძრაობაშიც სხვათა შორის, ახლა რომ იციან თქმა.

მაგრამ ამაშიც არ არის საქმე. ეს ისე ვთქვი, მოხუცი კაცის ამბავი არ იცი? ყველაფერი ძველი და წასული რომ მოსწონს, ე, ზუსტად ისეა ჩემი საქმე.

მთავარი კი ისაა, ჩემო კეთილო, რომ ონკანს დაემსგავსა თბილისის „დინამო“ — დიდ ავზზე მიერთებულ პატარა ონკანს — ხომ გინახავს, ავზში რამხელა ნაკადით ჩადის ხოლმე წყალი და ონკანიდან როგორ მოწაწკარებს. დაახლოებით მასე მოსდის ჩვენს ჩემპიონსაც — ყოველ წელიწადს მთელი საქართველოდან აგროვებენ და აგროვებენ ფეხბურთელებს „დინამოში“, ერთ-ორ სეზონს ვაჯახირებენ და ჰაიდა, სადმ... ეს „ალანია“ ხომ მინგეჩაურის წყალსაცავივით გაგვიხდა პირდაპირ, ზოგჯერ ვფიქრობ, მესხი და პაიჭაძე რომ ცოცხლები იყვნენ, იმათაც თავისთან წაიყვანდნენ.

ვიცი, რომ შენც გიფიქრია მაგაზე. სხვებსაც? კი, ბიძია, იფიქრებენ, აბა რა მოუვათ. მტერმა დაკარგა ფიქრის და განსჯის უნარი —.ადრე „აიაქსებში“ და პრემიერლიგაში მიგვდიოდნენ ფეხბურთელები, ახლა კი — „ალანიაც“ სანატრელი გვიხდება. გემახსოვრება, რამდენი იწერებოდა და იკითხებოდა ადრე — ასაკობრივი ცენზიო, სუპერგუნდიო, ფეხბურთის განვითარების პროგრამაო... გვეშველა ამ წერა-კითხვებით რამე? არა, ძმიშვილო, არა, უსაშველო გაუჩნდა ქართული ფეხბურთის მტერს და დამაწყევარს.

უკან-უკან მიდის ჩვენი ფეხბურთის საქმე, ბიძიკო. ჩქარ-ჩქარა ვშორდებით ევროპას და ჩემპიონთა ლიგას და ასე თუ გავაგრძელეთ, ფეხბურთის განვითარების პროგრამა კი არა, ბიტნერის ბალზამი ვერ გვიშველის თავისი სასწაულმოქმედი რაღაცეებით.

ეს ტალიკი ბიჭები კი, როგორც გითხარი, მენანებიან საუცხოეოდ. უცხოეთში ისე აქვთ საქმე აწყობილი, იმდენ ფულს მოუყარეს თავი, მთელ საქართველოს იყიდიან თავის ფეხბურთიან-სუფსის ტერმინალიანად და მარტო ფულს თუ მივდიეთ, კაი დახლი დაგვიდგება, მოგონება დავრჩებით მოლად.

და კიდევ ერთზე მწყდება გული — კაცი არ გამოჩნდა, ბოლომდე და ჯიგრიანად მისდიოს საკეთებელს. მამაცხონებულო, ქართული ანდაზა მაინც არ გაგიგია — მყიდველი სულ მოგებულიაო? იმის მაგიერ, იყიდონ და გუნდი გააძლიერონ, მთლად საპირისპირო საქმეს მიჰყვეს ხელი — ადგნენ და თუკი რამე და ვინმე გააჩნიათ, ჰყიდიან და ჰყიდიან. კი მაგრამ, როდემდე კაცო, აღარ უშლიან? ან 17 წლის ბიჭების მოგებული თასი და ლიგა (ფუი, ეშმაკს) უნახავს ვინმეს სადმე? ორი ბიჭი გამოჩნდა ამასწინათ იტალიაში და მთელი მსოფლიო იმათზე ლაპარაკობს — შეხედეთ, ნახეთ, რა ბიჭები გამოჩნდნენო.

ვთქვათ და გავყიდეთ ესენიც. კაი და კეთილი, იყიდის ვიღაცა ბობოლა და დასვამს სკამზე — იმ ბიჭებს, იტალიაში რომ გამოჩნდნენ, ხომ უნდათ შემცვლელი? ჰოდა, დასვენინებენ ხანდახან იმათ თავს, აბა, ზამთარ-ზაფხულ ბურთი ჩემმა მტერმა ითამაშა და ისიც უმაღლეს დონეზე. ამას რომ გეუბნები, ის კი არ იფიქრო, იტალიელები და არგენტინელები ბავშვობიდან სჯობიან ჩვენებს, არა, ბიძიკო, თავიდან ყველა ტიტლიკანა იბადება, მერე სწავლობს ხოლმე ადამიანი ფეხბურთსაც და სხვა რაღაცეებსაც. ნიჭით და სიგრძე-სიგანით ჩვენი ბიჭები არავის ჩამოუვარდებიან, მაგრამ მერე ვერ იზრდებიან, რომ უნდა, ისე. ამის ბრალიცაა ჩვენი ფეხბურთის უბადრუკობა.

აღვირი და ლაგამი უნდა საქმეს და საქმის გლახად მკეთებლებს, ბიძიკო. არ შეიძლება ასე უპრაგონოდ ნიჭის ფლანგვა. ქართველი კაცი და მის ნიჭში აღებული ფული ქართული საქმისთვის უნდა გაიხარჯოს — ესაა სიმართლე, მაგრამ ესმის ვინმეს?!

სიარულით კი ვივლი, ბიძიკო, აბა რას ვიზამ. ამაზე უკეთეს ადგილზე სად წავალ — ფეხბურთი აქაა და ფეხბურთელი, ფინტი და მაყურებელი — მეტი რა უნდა ჩემი ხნის კაცს.

რაო, საახალწლო სურვილიო?

სურვილით ერთს ვისურვებ, ბიძიკო — ასეთი სილამაზე დიდ მინდორზეც მანახა, ქართველების შესრულებით, რა თქმა უნდა.

მაშინ ვიქნები ბედნიერი.

კონსტანტინე გოგიშვილი

შოთა და აიაქსი ტუნისიდან დაიწყებენ

მართლმადიდებლური შობის შემდეგ შოთა არველაძის ამსტერდამის „აიაქსი“, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა, შეკრებას 8 იანვარს ტუნისში განაახლებს. გუნდი 3 იანვარს შეიკრიბება ამსტერდამში და იქიდან გაემგზავრება ტუნისში, სადაც 14 იანვრამდე დაჰყოფს. დაგეგმილია ტუნისის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა.

სავარაუდოა, რომ ამ დროისთვის უკვე მწყობრში იქნება შოთა არველაძე. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ფორვარდი არ მოიხსენიება „აიაქსის“ პრესსამსახურის მიერ გავრცელებული იმ ფეხბურთელების ნუსხაში, რომლებიც კლუბს ტუნისში არ გაჰყვებიან. ესენი არიან ნიუვანბერგი და კნოპერი, რომლებიც ნაკრებთან ერთად მაროკოში გაემგზავრებიან. თავიანთ ნაკრებებს მიაშურებენო, ბრაიენი, ბაბანგიდა, კულინა და დუდულიკა. ისინი აფრიკის ოასზე გამოვლენ.

ტუნისიდან დაბრუნებული „აიაქსი“ 14 იანვარს ბრიუსელში ამხანაგურად „ანდერლეხტს“ გაეჯიბრება, 23-ში კი იაპონიის „ურავას“ შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ შოთა „აიაქსში“ არ ჩანდა ოპერაციის გამო, რომელიც მან ნოემბერში გაიკეთა.

სიმონ მენაბდე

ბენდელას თასი

მეოთხედფინალები

მეტეხი 2:1 იბერია I

ზირაქიშვილი, ცოტაძე — (მეტეხი), ს. გიგიაძე — (იბერია I)

ნაძალადევი 2:1 არსენალი

კვირკველია (ს.ჯ.), მოსულიშვილი — (ნაძალადევი), გონჩაროვი — (არსენალი)

ვერა 3:4 თბილისი

ქემოკლიძე 2, მაზიაშვილი — (ვერა), ბოლქვაძე 2, მიქაძე, ბურდული — (თბილისი)

ბენდელა-მორკინალი 1:3 ლიდერი

დემეტრაძე 6, ტყავაძე 2, ჯამარაული 2, სოლოღაშვილი — (ბენდელა-მორკინალი), თორთლაძე, სეფერთელაძე, ალთუნაშვილი — (ლიდერი)

ნახევარფინალი. 26 დეკემბერი

მეტეხი — ნაძალადევი

ბენდელა-მორკინალი — თბილისი

ფინალი

27 დეკემბერი. 16 საათი

„ვერა“ — „თბილისი“. ბურდულმა (შუაში), ლომაიას და მუჯირს დაასწრო

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბევრი ავტოგრაფი, ორფერა შუქნიშანი და გოლეები, გოლეები...

„ბენდელას თასის“ გათამაშებამ წინასაახალწლო დღეები გაულამაზა ფეხბურთის გულშემატკივარს. საფეხბურთო ძილს მიცემული დეკემბერიც აგვიბურთავა და ლამაზ სანახაობას დანატრებულ ქომაგს დაუვიწყარი დღეები აჩუქა. ეშხი და ლაზათი იქით იყოს (რაც მეოთხე დღეა, არ დაკლებია ტურნირს) და ბოლოს და ბოლოს სპორტის სასახლეში ქართული ფეხბურთის ისეთი ნაღები შეყრილი, თქვენი მოწონებული. აქეთ დემეტრაძე, ჯამარაული, იქით დევაძე, ბერიშვილი, ნემსაძე, ტყავაძე, სოლოღაშვილი, სხვანი და სხვანი. ახლა მაყურებლებს არ იკითხავთ, ვის არ ნახავთ აქ — ცნობილ მწვრთნელებს, ყოფილ ფეხბურთელებს, ვარსკვლავებს, ჩამქრალთ, გაუბრწყინებელთაც... ჰოდა, დარბიან სიხარულით თვალებანთებული ნორჩი გულშემატკივრები და დაუნანებლად ღებულობენ ძვირფას საჩუქრებს — რჩეულთა ავტოგრაფს. სწორედ ასეა, თვალს უხარია სპორტის სასახლეში...

გუშინდელი დღე გამორჩეული იყო, რადგან მეოთხედფინალური მატჩების ჯერი დამდგარიყო. პირველად „მეტეხი“ და „იბერია I“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ წყვილში ფავორიტად იბერიელები ითვლებოდნენ. ჩომახიძით, ქებაძითა და აშვეთიათი გაძლიერებულმა გუნდმა მეოთხედფინალის წინ სოლიდური შევსება მიიღო დინამოელი ირაკლი ვაშაკიძის სახით და სოსო ფრუიძის დამოძღვრილები თავიდანვე ეკვეთნენ „მეტეხს“, თუმც მტკიცე ბარიერს წააწყდნენ და მალე ანგარიშის გაქვითვაზე ფიქრი მოუხდათ. ძნელი სათქმელია, ვინ გაიმარჯვებდა ამ მატჩში, 1:1-ზე იბერიელ მეგრელაძეს 7-მეტრიანი რომ არ გაეცუდებინა. ეს იყო და საპასუხო შეტევაში მოსულიშვილმა გარჯა დაუფასა თანაგუნდელ სიდამონიძეს და მეორე გადამწყვეტი ბურთი გაუტანა „იბერიას“. გამარჯვებით უზომოდ გახარებულმა მეტეხელებმა სასწრაფოდ გამოიცვალეს და მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლეს, რადგან მეორე მატჩს მათი ნახევარფინალი მეტოქე უნდა გაერკვია. „ნაძალადევი“ „არსენალთან“ შეხვედრაში დასაწყისიდანვე დიდ უპირატესობას ფლობდა, თუმცა მეთოფეთა კარს თავგანწირვით იცავდა ზვიად კუპატაძე, მეორე ნახევარში მოსახდენი მოხდა. მეტოქის მიერ ზედიზედ გატანილ ორ ბურთს „არსენალმა“ მხოლოდ ერთით უპასუხა და პირველი ნახევარფინალური წყვილიც გაირკვა: „მეტეხი“ — „ნაძალადევი“.

პირველის მსგავსად, მესამე მატჩსაც ფავორიტი ჰყავდა „ვერას“ სახით, მაგრამ ახალგაზრდულმა „თბილისმა“ თავს აჯობა და ბურდულიმიქაძის დუეტის გააზრებული თამაშით მოლდოვური „შერიფის“ ქართველი ლეგიონით დაკომპლექტებული გუნდი დაამარცხა. ამ მატჩში თავი გამოიჩინა მსაჯმა კახიანმაც.

„თბილისმა“ პირველი ნახევარი ბოლქვაძის დუბლის წყალობით 2:1 მოიგო. წითელ-ყვითელ ფეიერვერკს კახიანმა დასაწყისიდანვე ჩაუყარა საფუძველი — სახელდახელოდ რამდენიმე ფეხბურთელის გაყვითლებას რევაზიშვილის გაძევება მიაყოლა და „ვერას“ უკანა ხაზი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამას მიქაძის მესამე გოლი მოჰყვა და ფავორიტებმა მარცხის მოახლოება იგრძნეს. შემდეგ ისევ კახიანმა ჩართო ორფერა შუქნიშანი, ჯერ „თბილისს“ კაკაშვილი გაუგდო, შემდეგ კი ერთმანეთში წაკინკლავებული ასათიანი და ნორაკიძე გაუყენა სათადარიგოთა სკამის გზას, მაგრამ, სათქმელია, მსაჯის ამგვარ მოქმედებაში გადამეტებული არაფერი ყოფილა... ორი მოხდენილი ტყუპისცალივით მსგავსი შორეული დარტყმა და ვერელი ქემოკლიძე დუბლს ახერხებს, თუმც მის მეორე გოლს ლადო ბურდულის სიხარული უსწრებდა — 4:3 „თბილისის“ სასარგებლოდ. მსაჯის საფინალო სასტვენმა ვერელებს შეტევაში მოუსწრო, „თბილისი“ ნახევარფინალშია.

ყველაზე უხვგოლიანი კი გუშინდელი დღის ბოლო შეხვედრა გამოდგა. აქ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა, თუმცა დასაწყისი ერთობ მოულოდნელი იყო. ფავორიტ „ბენდელა-მორკინალთან“ შეხვედრაში ანგარიში პირველივე წუთზე „ლიდერმა“ გახსნა. ეს იყო და ეს, დემემ და კომპანიამ ბდღვირი ადინეს მოწინააღმდეგეს. ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულმა დემეტრაძემ პირად ანგარიშს კიდევ ექვსი გოლი შემატა. მისი მონაგარი ოთხ თამაშში 15 გოლია. ჩვეულ სტილში, დახვეწილად ითამაშეს სოლოღაშვილმა და ტყავაძემ და ეფექტური პასებით და გოლებით არაერთხელ გამოსტყუეს ხალხს აპლოდისმენტები.

მეოთხედფინალების წინ სააქციო საზოგადოება „თბილღვინომ“ თითოეული მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებისთვის პრიზები დააწესა. ჟიურიმ ასეთებად ლევან ზაქაიძე (მეტეხი), ზვიად კუპატაძე (არსენალი), ლადო ბურდული (თბილისი) და გიორგი დემეტრაძე (ბენდელა-მორკინალი) ცნო.

დღეს „ბენდელას თასზე“ შესვენება გამოცხადდა.

პაატა კვანტალიანი

მეტეხელი არჩილ ჭიაბრიშვილი და კახაბერ ცოტაძე იბერიელი ლევან ქებაძის შეჩერებას ცდილობენ

ბადრი კეთილაძის ფოტო



ფეხბურთ-კლაუზი

იქით ასე ჰყვებიან: საბუხრე მილში ჩამოძვრება გარეგნულად ბებერი, გულში კი ახალგაზრდა სანტა კლაუსი და ბუხრის თავზე საგანგებოდ დალაგებულ წინდებში საჩუქრებს ჩაგიწყობსო.

აქედან კი შეკითხვა — რა საჩუქარს მოველით?

ჩვენი მთავარი სანტა კლაუსი დიახაც რომ ფეხბურთია, რომელსაც კარგახანია ზამთარშიაც თამაშობენ და სწორედ იმ ადგილებში, საიდანაც მარხილზე მჯდომი სანტა-კლაუსი მოიწევს ევროპისკენ.

დიახ, ათამაშდნენ ეგენი — განსაკუთრებით ნორვეგიელები. ისე ათამაშდნენ, რომ მიდი-მოვდივარ. არც თოვლი უშლით, არც ყინვა. მეცადინეობენ და გამოსდით.

არ ვიცი, უყვარს თუ არა სანტა კლაუსს სამხრეთი, გამორჩევით კი ეკვატორული აფრიკის მიდამოები. საჩუქრები თუ არ დაუდნა, ალბათ ეყვარება. მაგრამ იქაც თამაშობენ — განსაკუთრებით ნიგერიელები. არც მწველი მზე აშინებთ და არც ღორღიანი მოედნები. უბერავენ და გამოსდით.

ნიგერია და ნორვეგია. პირველი უწესრიგო და ღატაკი, მეორე — წესრიგიანი და შეძლებული. პირველი მრავალმილიონიანი და ჩამოგლეჯილი, მეორე სულ რამდენიმე მილიონიანი და ჩაცმულ-დახურული.

და ორივე თამაშობს ფეხბურთს. და თან ისე, რომ მათ გარეშე დღევანდელი ფეხბურთი წარმოუდგენელია.

ფეხბურთ-კლაუსის მთავარი საჩუქარიც მდიდარი, თუ ღარიბი ქვეყნების გულშემატკივრებისთვის, სწორედ ესაა.

ფეხბურთი ისეთი რამეა, რომ საქვეყნო სიღარიბეს თუ სიმდიდრეს დიდად არ უყურებს. ჩვენ კი დიდად არ გვიყვარს სეუ ჟოაო აველანჟი ათას რამის გამო და ეგებ მართალიც ვიყოთ, მაგრამ მან სწორედ ეს მოახერხა, რომ ფეხბურთის ჯან-ღონე, ქვეყნის ჯან-ღონეზე არ ეკიდოს. კარიბის ზღვაში ჩავარდნილ პაწაწინა კიტსის და სენტვინსენტის მოყვარული ფეხბურთელებიც კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლზე ლაპარაკობენ — პროგრამა გვაქვსო, ფულს სწორად ვხარჯავთო და ა.შ.

ნიგერია და ნორვეგია.

აი, ასეთ საჩუქარს თუ მოვითხოვდით საშობაოდ. ჩვენს საფეხბურთო წინდაში უკეთესი რა უნდა ვეძებოთ? ჩავყოთ ხელი და ამოვიღოთ შეგრძნება იმისა, რომ დღევანდელი ფეხბურთი ჩვენი არყოფნით კაი გვარიან რაღაცას კარგავს.

მაგრამ საჩუქრების მოთხოვნა წესი არ არის.

რასაც მოგცემენ, ის უნდა აიღო.

და ამიტომ, ვცადოთ და ნუ ვიმარჩიელებთ, რა საჩუქარი გველის. მოგვცემენ — ავიღოთ და მადლობა ვთქვათ. არ მოგვეწონება საჩუქარი და წავიჰორავებთ. პირველად ხომ არ იქნება ასე, რომ არც თუ მოსაწონ საჩუქარს ვიღებთ?

ფეხბურთ-კლაუს, გელოდებით.

ხობი

«ბ» ზონა
მერვე ადგილი

საქართველოს 61 ჩემპიონატი

I ეშაკვილი ბიბლიოთეკა

ბასტი-ბუბუ

რა არის ბასტი-ბუბუ? ან რა კავშირშია ფეხბურთთან, მით უმეტეს „ხობთანო“, იკითხავს მკითხველი. ბასტი-ბუბუ რომ აურზაურს ნიშნავს, ღელეს პატარამაც იცის. ჰოდა, იმას რაც წლეულს ხობში ხდებოდა, განა არ შეიძლება ასე ვუწოდოთ?

სკანდალებზე და ბასტი-ბუბუზე ცოტა მოგვიანებით. ჯერ თანმიმდევრობით მივყვეთ.

წინა სეზონი „ხობმა“ ტრიუმფით დაასრულა. მათ რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვეს პლეი ოფში თამაშის უფლება, ბოლოს კი ვანის „სულორს“ სძლიეს ეროვნულზე და ექვსწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ შეაღწიეს პირველი ჯგუფის კარი.

დებიუტანტებმა ახალი სეზონისათვის თავდაპირველად სერიოზულად დაიწყეს მზადება, მაგრამ მერე ცოტა აერიათ და ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე შეძლეს სრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარება.

ასეთი პირობებისა და რამდენიმე ამხანაგური მატჩისას საქმეში მათი ნახვის შემდეგ ხობელთა „შავი მომავალიც“ ვიწინასწარმეტყველეთ.

პირველ წრეში ხობელთა გამოსვლა სამ განსხვავებულ ეტაპად შეიძლება დაიყოს.

პირველი ეტაპი: პირველი სამი ტური, როცა ფრიდონ გოცირიძე ედგა გუნდს სათავეში. პროგნოზი რომ ძნელი საქმეა, ამაში პირველმა ტურმაც დაგვარწმუნა. მაშინ ყველასათვის მოულოდნელად ხობელებმა ფოთში სეხნია მასპინძლებს მოუგეს და შინ სამი ქულით დაბრუნდნენ. ასეთი სტარტის შემდეგ იმედი გაუჩნდათ და თავიანთი ძალა ირწმუნეს, იქნებ ოთხეულში მოვხვდეთო და მეორე ტურში „მერანს“ მედგრად დაუხვდნენ, თუმც მხოლოდ ქულას გამორჩნენ.

სასტარტო ოთხ ქულას რუსთავში გამანადგურებელი მარცხი მოჰყვა. თითქოს მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო ასეთი შედეგი. ამას თვით მთავარი მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე აღიარებდა, მაგრამ... ანგული მიქავამ (კლუბის პრეზიდენტი) გოცირიძე თანამდებობიდან დაითხოვა, მის ნაცვლად თბილისელი მწვრთნელი ჯონი აბაიშვილი მოიწვია.

მეორე ეტაპი: ჯონი აბაიშვილს აქამდე მთავარ მწვრთნელად არსად ემუშავა, თუმცა „გაქანება“ კი დიდი ჰქონია და დიდად ამბიციური გახლდათ (ამას თვითონაც აღიარებდა). განსაკუთრებით სპორტულ ჟურნალისტებს არ სწყალობდა, აქაოდა, თქვენი არ მჯერა, არ გენდობითო, ინტერვიუზე დიდი სიფრთხილით გთანხმდებოდა. თანაც ტექნიკური საშუალებები აუცილებელი იყო, მისი ნაუბარი რომ არ გაგვეყალბებინა. რამ იზამ, „პროფესიონალიზმი“ ყველა საქმეში საჭიროა.

რიხით მოსულმა მწვრთნელმა გუნდი რიხიანად ვერ აათამაშა. ის კი არა, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ვერც ერთ თამაშში ვერ იმარჯვა. ფეხბურთელებთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა, ხშირი იყო გაწევ-გამოწევა. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ფოთელებთან შინ წაგებული მატჩის დამთავრებისთანავე სტადიონზე გულშემატკივრები შეიკრიბნენ. ეს კაცი თვითონ თუ არ წავა, ჩვენ გავაძევებთო — გაიძახოდნენ ისინი. აბაიშვილმაც იფიქრა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და ხობიდან უსახელოდ წავიდა.

მესამე ეტაპი: მთავარი მწვრთნელის პოსტზე კვლავ ფრიდონ გოცირიძე აღადგინეს. აღადგინეს და „ხობმაც“ თბილისში „მერანთან“ ფრეს გამოჰკრა ხელი. რუსთავსაც სძლია შინ, თვით მრისხანე „ტორპედოსაც“ დაუზავდა ქუთაისში. თუმცა ეს ხობელთათვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო. ოთხეულში მოხვედრის შანსი ხელსა და ხელს შუა გაქრა.

პირველი სერიოზული ინციდენტი ხობში რუსთავთან ზემოხსენებულ მატჩში მოხდა. ეს შეხვედრა ორივე აუტსაიდერისთვის პრინციპული იყო. პირველ ტაიმში მასპინძელთა კარში რუსთაველთა მიერ გატანილ გოლს ხობელთა პროტესტი მოჰყვა, აქაოდა თამაშგარე მდგომარეობა იყოო. მინდორზე საიდანღაც ხალხიც შეიპარა. მათ თანამსაჯი რუსიშვილი შემოელახათ, რასაც ფეხბურთის ფედერაცია მაშინვე გამოეხმაურა. „ხობს“ ორი საშინაო შეხვედრის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება მოუხდათ, რამაც გუნდს ისედაც რთული მდგომარეობა კიდევ უფრო გაურთულა.

მთავარი მოვლენები კი ბოლო ტურში მოხდა. „ხობი“ იბერიას მასპინძლობდა. სამტრედიელთათვის ეს მატჩი უმნიშვნელოვანესი იყო. ისინი მოგების შემთხვევაში ოთხეულში ხვდებოდნენ, ხობელები კი ქულათა მარაგის შევსებაზე ფიქრობდნენ. მატჩი უგოლი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა არბიტრმა ალექსანდრე მეშკოვმა მასპინძელთა კარის მიმართულებით საეჭვო პენალტი დანიშნა. სტუმრებმაც შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მოიგეს კიდეც.

ეს როგორ გაბედეო და მატჩის შემდეგ რაც მეშკოვს მოხვდა, მტრისას. საწყალი არბიტრი სულ ფეხებქვეშ გაიგდეს და ისე მიიყვანეს გასახდელამდე, მაგრამ იქაც არ გადახდენია კარგი ამბავი.



მამუკა დარჩია ფოტო

ჯონი აბაიშვილი



ფრიდონ გოცირიძე

ბოლოს და ბოლოს კი გაუშვეს შინ, მაგრამ ვაი, ასეთ წასვლას.

სტკ-ს სხდომაზე რამდენიმე დღის წინ იმსჯელეს ამ საკითხზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღეს. აი, გუშინწინ კი სხდომა კვლავ ჩატარდა. ხობელთა ბედი იმ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო.

კლუბის პრეზიდენტმა ანგული მიქავამ ახალი ამბებიც ამცნო კომისიის წევრებს. მან შეღავათები ითხოვა, რადგან სათანადო რეაგირება მოუხდენია ამ საკითხთან დაკავშირებით — თანამდებობიდან გადაუყენებია რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, „ხობის“ მთავარი მწვრთნელი და გუნდის უფროსი, აგრეთვე სტადიონის დირექტორი.

თუ შეღავათიანად დაგვსჯით, პირობას ვიძლევი, „ხობი“ ერთ-ერთი სანიმუშო გუნდი იქნებაო. თუმცა პრეზიდენტის სიტყვებმა მხოლოდ უკურეაქცია გამოიწვია. სტადიონის დირექტორისა და მწვრთნელის მოხსნა არაფერ შუაშია და არაფერს მოგვიტანს. აბა, ჰკითხე მატჩის დელეგატს, რა ამბავი იყო, ეს ხალხი ცოდო არ არისო?

ასე იყო, თუ ისე, განაჩენი მაინც გამოიტანეს: „XI ეროვნული ჩემპიონატის ბოლომდე „ხობს“ ეკრძალება შინაურ სარბიელზე თამაში, ამასთანავე სტადიონს 2000 წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა და კლუბი 2000 ლარით დაჯარიმდა.“

ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ანგული მიქავამ სასწრაფოდ დატოვა დარბაზი და შესაბამისად შენობა ისე, რომ კომენტარიც არ გაუკეთა. ეტყობოდა, ძალიან ნაწყენი იყო და ბოლმა ჟურნალისტზე ამოანთხია.

ამდენი ჩხუბის, სკანდალის და აურზაურის შემდეგ ბოლოს კვლავ ფეხბურთზე, ბურთზე, ფეხბურთელებზე და თამაშზე ვთქვათ.

სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ხობელთა ბოლო ადგილი „ბ“ ზონაში კანონზომიერად ჩანს. 14 მატჩში მხოლოდ ორი გამარჯვება ოპტიმიზმის საფუძველს ვერ იძლევა. 24 გაშვებული ბურთით „ხობი“ და „დილა“ ბოლო ადგილზე არიან, მაგრამ გორელები მესამეზე დარჩნენ, რაც ხობელთათვის ვერაფერი ნუგეშია.

ხობელთა თითოეულ რგოლს თუ დავახასიათებთ, მეკარეები აუცილებლად გამოსაყოფნი არიან. ნიქაბერიძე და ბაბუაძე თანაბარი ძალისანი არიან და ნებისმიერ მატჩში ნებისმიერი მათგანის გამოჩენა მოულოდნელი არ ყოფილა. მათ თანაბრად ზიდეს აუტსაიდერი გუნდის მძიმე ტვირთი და ალბათ მაქსიმუმიც გააკეთეს, დანარჩენი სხვა მოთამაშეებზეც იყო დამოკიდებული.

დაცვაში როინ ონიანის დარ ფეხბურელს ბევრი სხვა გუნდიც ინატრებდა. უიმისოდ დაცვა დაცვას აღარ ჰგავდა, მაგრამ ეს არის, ნამეტანი ფიცხი აღმოჩნდა როინი და წითელ-ყვითელმა ბარათებმაც ბლომად უწია, რამაც პირველ რიგში გუნდი დააზარალა.

გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ვლადიმერ ჩიტაიამ 5 გოლი კი გაიტანა, თანაც მეტად საჭირო მატჩებში, მაგრამ რომ არა აშკარა საგოლე მომენტების გაფუჭება, თვითონაც და გუნდიც მეტს მიაღწევდა.

რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია. ნეიტრალურ სტადიონზე მოელი მეორე წრის ჩატარება, თანაც ახალი მწვრთნელით (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს პრეზიდენტი) ძალიან ძნელია.

ბასტი-ბუბუ კარგია, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია.

თენგიზ ქოჩუა

მამუკა დარჩია ფოტო

ველოდი ალანია და როინ ონიანი (მარჯვნივ) იბერიელ გიორგი ხურციძეს მეურვეობენ

პირველი ეტაპის შედეგები

1	კოლხეთი	3:2 ს	ვ. ჩიტაია 2, ხურცილავა
2	მერანი	1:1 შ	კვეკვესკირი
3	გორდა	1:4 ს	დანელია
4	თსუ	0:0 შ	
5	დილა	0:1 ს	
6	ტორპედო	1:2 შ	ჭიჭინაძე
7	იბერია	1:2 ს	დანელია
8	კოლხეთი	0:3 შ	
9	მერანი	0:0 ს	
10	გორდა	5:1 შ	ჭიჭინაძე 2, ხურცილავა, ვ. ჩიტაია, ტყებუჩავა
11	თსუ	1:4 ს	ვ. ჩიტაია
12	დილა	2:3 შ	თორია, ვ. ჩიტაია
13	ტორპედო	0:0 ს	
14	იბერია	0:1 შ	

	თ	გ	ყ	წ
ლევან გვაზავა	14	0	1	0
ზაზა კვეკვესკირი	13	1	3	0
დავით დანელია	13	2	2	0
რომეო გოგიტაძე	13	0	0	0
ზურაბ აიანდი	12	0	3	1
ლაშა ბუკია	12	0	1	0
ველოდი ალანია	12	0	4	0
ვლადიმერ ჩიტაია	11	5	5	0
კალისტრატე ხურცილავა	11	2	1	0
თენგიზ ჭიჭინაძე	11	3	2	1
როინ ონიანი	11	0	1	1
ზაზა აიანდი	10	0	3	0
გურამ თორია	9	1	1	1
გელა გედენიძე	8	0	1	0
მამუკა ნიქაბერიძე	8	-12	3	0
გიორგი ბაბუაძე	7	-12	1	0
ვლადიმერ ჯამბურია	6	0	0	0
რევაზ ქაშიბაძე	2	0	0	0
მანუჩარ ტყებუჩავა	1	1	0	0



თ - თამაში; გ- გოლი;
ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	14	11	3	0	33:5	28	36	7	5	2	0	18:4	14	17	7	6	1	0	15:1	14	19
2 კოლხეთი	14	8	1	5	19:15	4	25	7	5	1	1	10:3	7	16	7	3	0	4	9:12	-3	9
3 დილა	14	6	2	6	19:24	-5	20	7	4	1	2	11:10	1	13	7	2	1	4	8:14	-6	7
4 იბერია	14	5	3	6	9:20	-11	18	7	4	1	2	7:7	0	13	7	1	2	4	2:13	-11	5
5 გორდა	14	5	1	8	17:18	-1	16	7	4	1	2	13:5	8	13	7	1	0	6	4:13	-9	3
6 თსუ	14	4	4	6	13:18	-5	16	7	3	1	3	9:9	0	10	7	1	3	3	4:9	-5	6
7 მერანი	14	3	6	5	14:15	-1	15	7	2	3	2	7:6	1	9	7	1	3	3	7:9	-2	6
8 ხობი	14	2	4	8	15:24	-9	10	7	1	2	4	9:11	-2	5	7	1	2	4	6:13	-7	5

მეორე ეტაპი

IX-XVI ადგილები

9 ლოკომოტივი	0	0	0	0	0:0	9
10 გორდა	0	0	0	0	0:0	8
11 თსუ	0	0	0	0	0:0	8
12 მერანი	0	0	0	0	0:0	8
13 თბილისი	0	0	0	0	0:0	7
14 სამგურალი	0	0	0	0	0:0	6
15 ხობი	0	0	0	0	0:0	5
16 არსენალი	0	0	0	0	0:0	5

საით, ქართველებო?!

№6

ილია ჭოლიძვილი

ზავი

მას შემდეგ, რაც დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა და ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა;

მას შემდეგ, რაც ეს ამბავი ქვეყანას მოედო და დიდი საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა;

მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან თითი დაგვიქნიეს და ჭკუით ყოფნა გვირჩიეს;

მას შემდეგ, რაც ქართული საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა ეროვნული ჩემპიონატის მხარდასაჭერი დემონსტრაცია მოაწყო, ყრილობის შედეგთა რევიზიას და ახალი ყრილობის დანიშვნას (თუნდაც ვეტერან ფეხბურთელთა წერილში მოტანილი ყველა ბრალდება საფუძვლიანი ყოფილიყო) გამართლება არ ექნებოდა.

კიდევ კარგი, ასე არ მოხდა.

„შანსის" იმავე ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და საქართველოს მონარქისტული პარტიის ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, თორნიკე ფიფია, ზვიად გამსახურდია, რუსლან მიქაბერიძე, თემურ ჟორჟოლიანი და აკაკი ასათიანი. განცხადებაში ნათქვამია: „მივესალმებით საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დაარსებას და ვაცხადებთ, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქართული სპორტის დამოუკიდებლობის გზაზე, უფრო მეტიც — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. მიგვაჩნია, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია მხარში ამოუდგეს ამ საერთო საქმეს და აქტიურად დაუჭიროს მხარი 1990 წლიდან საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების იდეას. ყველა ცდა, რომელიც მიმართული იქნება ამ ჭეშმარიტად მამულიშვილური გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ჩვენს მიერ შეფასებული იქნება, როგორც მთელი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული აქცია. უკანდახევა არასოდეს ყოფილა ქართულ ხასიათში და არც ახლა უნდა დავარღვიოთ ჩვენი მორალური პრინციპები. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა საფეხბურთო კლუბს (გუნდს), უარი განაცხადოს „სსრკ" — რუსეთის იმპერიის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მხარში ამოუდგეს ახლად დაარსებულ დამოუკიდებელ ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის ღირსეულად ჩატარების ძნელ, მაგრამ საშურ საქმეში".

ყრილობის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა ეროვნული მოძრაობის ლიდერთა პოზიცია, არადა ადრე შედარებით თავშეკავებულნი იყვნენ. მათმა განცხადებამ და სპონტანურმა გამოსვლებმა, ეტყობა, „კონსერვატორებს" ბრძოლის გაგრძელების ხალისი წაართვა და 21 თებერვალსვე, დაახლოებით 21 საათისთვის, საბოლოოდ დაყარეს ფარ-ხმალი.

ეს აქტი საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის არჩილ გოგელიას კაბინეტში შედგა.

კამათი დიდხანს არ გაგრძელებულა.

ვიდრე ამ ამბავთან დაკავშირებით სატელევიზიო გადაცემა მზადდებოდა (იმავე საღამოს გადაიცა), რედაქციას შავი პეტიტით ასაწყობი აი, ეს ინფორმაცია ვაახლე: „გაიმართა ფეხბურთის სპეციალისტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც საბოლოოდ გაირკვა პოზიციები. როგორც კახი ასათიანმა, მანუჩარ მაჩაიძემ, ალექსანდრე ჩივაძემ, გივი ნოდიამ და სხვებმა აღნიშნეს, მათ პრეტენზიები ჰქონდათ ყრილობის მსვლელობისას შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფეროს და სხვადასხვა ორგანიზაციული ხარვეზის მიმართ. ფეხბურთის სპეციალისტები მხარს უჭერენ და ადასტურებენ ყრილობის გადაწყვეტილებას („კომუნისტი", 22 თებერვალი).

გავიხსენებ ტელერადიოკომიტეტში გამართული შეხვედრის ერთ ფრაგმენტს. შუა კამათში, მოულოდნელად, კაბინეტში შემოვიდნენ ლანჩხუთის „გურიას" ფეხბურთელები. გუნდის სახელით განცხადება წაიკითხა დავით უგრელიძემ: „მხარს ვუჭერთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას საქართველოს ყველა გუნდის მონაწილეობით. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებმა გადაწყვიტეს საკავშირო პირველობაში გამოსვლა, ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ — მონაწილეობას არ მივიღებთ საკავშირო ჩემპიონატში". განცხადებას ხელს აწერენ გოჩა ტყებუჩავა, დავით უგრელიძე, მამუკა თევზაძე, დავით ცომაია, მერაბ კაციტაძე, თემურ კაბისაშვილი, ლევან ბარათაშვილი, ზაზა ბაკურაძე, ნუგზარ მიქაბერიძე, მამუკა აბუსერიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი.

ოლიმპიური სოლიდარობა

ამ ამბების შემდეგ, 22 თებერვალს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი და განაცხადა:

„საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკის) შექმნის დღიდანვე მისი აღმასკომი, ასრულებს რა სეოკის დამფუძნებელი კონფერენციის დეკლარაციისა და სეოკის წესდების მოთხოვნებს, ოლიმპიური ქარტიის გათვალისწინებით იღწვის როგორც სეოკის, ისე სპორტული ფედერაციების სრული დამოუკიდებლობისათვის. განვლილი ოთხი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით გადაიდგა რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი, რაც ეუწყა კიდეც სპორტულ და არამარტო სპორტულ, საზოგადოებრიობას. ოლიმპიური მოძრაობა საერთოდ, და საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა კერძოდ, მოწოდებულია, სრულად წარმოაჩინოს ერის ფიზიკური და სულიერი პოტენციალი ყოველგვარი დისკრიმინაციისა და კონიუნქტურის გარეშე.

ამა წლის 7 თებერვალს სეოკის სპორტული ფედერაციების კომისიის თაოსნობით გამართულ ფედერაციათა ხელმძღვანელობის თათბირზე აშკარად გამოიკვეთა მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, რომ ყველა სპორტულმა ფედერაციამ იზრუნოს სრული დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ — სხვა ქვეყნების, მათ შორის — მოკავშირე რესპუბლიკების, ან საერთაშორისო შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფორმების მოძებნაზე. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას და ცნობს მხოლოდ დამოუკიდებელ სპორტულ ფედერაციებს, პატივს სცემს რა სხვა ორგანიზაციათა სრულ სუვერენიტეტს, იფარგლება მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით, სტრატეგიული გეგმის დასახვით და თვლის, რომ მათი განხორციელების ტაქტიკური საშუალებების გამონახვა მთლიანად სპორტული ფედერაციების პრეროგატივაა. ამ ფონზე საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებები, როგორც სეოკის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, სეოკის აღმასკომის მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას ჰპოვებს. თითოეული სპორტული ფედერაციის საქმეა, როდის როგორ და რა ფორმით განახორციელებს თავის სრულ სუვერენიტეტს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებას და როგორ წარმართავს თავისი სახეობის განვითარებას; თუმცა აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული სპორტული და საერთოდ ეროვნული იტნერესები ასეთი ნაბიჯების რაც შეიძლება სწრაფად და მიზანმიმართულად გადადგმას მოითხოვს. არ შეიძლება ჯერეროვნად არ შეკვეფსოთ ის როლი, რომელიც, კერძოდ ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბებაში შეასრულა ფართო საზოგადოებრიობამ, ეროვნულმა მოძრაობამ. სასურველია მთელი ქართველი ხალხის დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა სპორტის სხვა სახეობათა პრობლემების გადაწყვეტაშიც. ეს დაინტერესება არ უნდა იყოს მხოლოდ ერთდროული, რადგან ერთია სპორტული დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო მეორე, და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, — მისი შენარჩუნება და განხორციელება ეროვნული ასპარეზობების — საქართველოს პირველობა იქნება ეს, საქართველოს თასის გათამაშება თუ სხვა — ყოველმხრივი უზრუნველყოფით, აქტიური მხარდაჭერით და საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი გასვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა სპორტული სუვერენიტეტის მოპოვების საქმეში არ გამორიცხავს სპორტის სპეციალისტთა და სპორტის მოღვაწეთა აზრის გათვალისწინებას, პირიქით — გულისხმობს კიდეც მას, მაგრამ როდესაც საკითხი სცილდება მხოლოდ სპორტის ფარგლებს და ეროვნულ პრობლემად იქცევა, საქართველოს ყველა მოქალაქეს დიახაც მართებს ვიწრო ინტერესების დათმობა ზოგად ღირებულებათა სასარგებლოდ.

ბოლოს დავძენთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, როგორც დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციები, უკვე ცნო ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, საქართველოს რაგბის კავშირი, საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაცია, საქართველოს უშუს ფედერაცია, საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია, საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია და ახლად შექმნილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. სეოკის აღმასკომი მიესალმება საქართველოს ყველა სპორტული ფედერაციის ცდას სუვერენიტეტის მოპოვებასა და საერაშორისო სპორტულ ფედერაციებში გაწევრიანებისათვის.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი თავისი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში კვლავაც ყველაფერს ოღონებს საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, რომელიც სეოკს, მისი დეკლარაციის თანახმად, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიაჩნია.

საით, ქართველებო!

ვიდრე ჩვენ, ქართველები მოვრიგდებოდით, საკავშირო პრესა, რადიო-ტელევიზია და საინფორმაციო საგენტოები პასიური მაყურებლის როლს არ დასჯერებულან: „პრავდაში", „იზვესტიაში", „ტრუდში", „სოვეტსკი სპორტში", „კომსომოლსკაია პრავდასა" და სხვა გაზეთებში ყოველდღე ქვეყნდებოდა მასალები 15 თებერვლის ამბებზე. „ვრემიაში", სხვა საინფორმაციო გამოშვებებში სპორტულ კომენტატორებს ენაცვლებოდნენ ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტები, სპორტის ფუნქციონერები. რა არ ითქვა და რა არ დაიწერა: ქართული ფეხბურთი პოლიტიკოსთა ამბიციებს ეწირებაო, სეპარატიზმი და თვითიზოლაციაო, თბილისის „დინამოს" გარეშე საკავშირო ჩემპიონატი, ანა ეის გაუვიაო...

გთავაზობთ „სოვეტსკი სპორტის" [illegible] ის („კარის გაჯახუნება გვიანი არასდროსაა") ფრაგმენტს:

„მიიღებენ თუ არა ქართული ფეხბურთის [illegible] ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობას?

ბოლო ხანს, უფრო ზუსტად, 15 თებერვლიდან ეს კითხვა ყველა პირზე აკერია. სწორედ ამ დღეს თბილისში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ქართული გუნდები მხოლოდ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში უნდა მონაწილეობდნენ. დასახელებულ არგუმენტთაგან ერთ-ერთი ასეთი იყო — ქვეყნის რიგ რეგიონებში პოლიტიკური სიტუაცია გართულდა და არ არსებობს იქ ჩამსვლელ სპორტსმენთა უსაფრთხოების გარანტია.

თუმცა ეს ისტორია ამით არ დამთავრებულა. 17 თებერვალს „დინამოს" ცენტრალური საბჭოსთვის ცნობილი გახდა, რომ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო", რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, გულშემატკივართა კლუბების საბჭოები და ვეტერანი ფეხბურთელები გადაწყვეტილებას თვითიზოლაციის თაობაზე არ ეთანხმებიან.

სხვათა შორის, სწორედ იმ დღეებში თბილისის „დინამო" ლესელიძეში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა და ქვეყნის ჩემპიონატისა და სსრკ თასის გათამაშებისთვის მზადებას განაგრძობდა.

ცხადია, შექმნილ სიტუაციაში საკავშირო ფედერაციის აღმასკომმა გამოთქვა სურვილი, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ მიეღო ოფიციალური ინფორმაცია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წერილი გაუგზავნა. აღმასკომმა სფფ-ს შეახსენა, რომ ფიფას წესდების პირველი პუნქტის 41-ე მუხლის თანახმად სსრკ ფეხბურთის ფედერაცია და მისი ყველა კლუბი ფიფას აღმასკომის უნებართვოდ მხარს ვერ დაუჭერს სპორტულ კონტაქტებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და მის კლუბებთან.

ამასთანავე, საკავშირო ფედერაცია იმედოვნებდა, რომ გაგრძელდებოდა კეთილი ტრადიციები და ორ ფედერაციას შორის არსებული თანამშრომლობა, რაც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ამდიდრებდა საბჭოთა ფეხბურთს. ეს მიმართავ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

აი, ასე განვითარდა მოვლენები და ჩვენ „სოვეტსკი სპორტის" მკითხველებს უბრალოდ შევახსენეთ მათ შესახებ. ყველაფერი ხუთშაბათს, 22 თებერვალს უნდა გადაწყვეტილიყო. ამ დღეს 15 საათზე (სსრკ ფეხბურთის ფედერაციის საერთო გრაფიკით) თბილისის „დინამოს", ქართულ გუნდთაგან პირველს, სხვა კლუბების მსგავსად უნდა წარედგინა განაცხადი ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

მოლოდინი ფუჭი გამოდგა. 15 საათისთვის, ანუ გუნდისთვის დანიშნულ დროს, თბილისის „დინამოს" წარმომადგენელი ფეხბურთის ფედერაციაში არ გამოჩენილა.

როგორც შევიტყვეთ, განაცხადის შეტანის ვადამდე ერთი დღით ადრე საქართველოს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელების ხელმოწერილი წერილი. მათ შორის იყვნენ ბორის პაიჭაძე, კახი ასათიანი, გივი ნოდია, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია... ისინი დამოუკიდებელ ჩემპიონატაზე ეტაპობრივი გადასვლის მომხრენი არიან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებას ნაჩქარევად და დაუფიქრებლად მიიჩნევენ. ამ გადაწყვეტილების გაუქმებას ლანჩხუთში მიტინგზე თავშეყრილი „გურიას" გულშემატკივრებიც ითხოვდნენ.

ამავე დროს, ახალარჩეული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრკ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რესპუბლიკის ჩემპიონატი ოსტატთა ყველა კლუბის მონაწილეობით აუცილებლად ამ სეზონშივე უნდა ჩატარდესო.

როგორც გუშინ საკდესის კორესპონდენტმა თბილისიდან შეგვატყობინა, ახალკაცს უთქვამს: „ჩვენი ფედერაცია აპირებს, გააღრმავოს თანაშრომლობა თანასწორობის აუცილებელი პრინციპებით საკავშირო და რესპუბლიკურ ფედერაციებთან. რესპუბლიკას უფლება აქვს, თავად ეძებოს დამოუკიდებელი კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან".

დაბოლოს, 21 თებერვალს, როგორც საკდესის კორესპონდენტი იუწყება, გაიმართა სპეციალისტების, ფეხბურთის ვეტერანებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმომადგენლების კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც გაირკვა საბოლოო პოზიცია — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს.

როგორც ხედავთ, ისტორია სავსეა აზრთა სხვადასხვაობისა და წინააღმდეგობების მაგალითებით. ვის დარჩება ბოლო სიტყვა?"

ნონა გაფრინდაშვილმა და სეოკ-ის სხვა ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობას

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამხანაგური მატჩი

კატალონია 1:0 იუგოსლავია

1:0 გარსია (45)

ესპანეთის ქალაქ ბარსელონას ოლიმპიურ სტადიონზე კატალონიის პროვინციის ნაკრებსა და იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს შორის ამხანაგური შეხვედრა გაიმართა მატჩი მასპინელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ერთადერთი ბურთი პირველი ტაიმის დამატებით დროში „ვალენსიაში" მოთამაშე ექსბარსელონელმა ოსკარ გარსიამ გაიტანა. ამ უკანასკნელმა კატალონიურ კლუბი „ბარსელონა" მიმდინარე წლის ზაფხულში დატოვა.

კატალონიის ნაკრებში იასპარეზა ლეგენდარული „მფრინავი ჰოლანდიელის", იოჰან კრუიფის ვაჟმა ხორდიმ, რომელიც ადრე „ბარსელონას" რიგებში ირიცხებოდა, ახლა კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავს. უმცროსმა კრუიფმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

მეორე ნახევარში მატჩი ისევ მასპინძელთა უპირატესობით გაგრძელდა. მათ არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, თუმც ჩინებული საგოლე შანსები ხელიდან გაუშვეს. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, იუგოსლავიის ნაკრები, და რომელმაც ბარსელონას ოლიმპიური სტადიონი დამწუხრებულმა დატოვა.



კატალონიელი ხორდი კრუიფი იუგოსლავიელ სარაჩს გაექცა

ფიქრები მანჩესტერელ რივალდოზე

ქარგა ხანია, ხმები დადის, „მანჩესტერ იუნაიტედს" რივალდოს გადაბირება სურსო. იმასაც ამბობენ, ლუის ვან გაალი და ალექს ფერგიუსონი რივალდოს და ბექემის გაცვლას აპირებენო. რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიელ მწვრთნელს ბრაზილიელისთვის „ვარსკვლავური სენის" დიაგნოზი დაუსვამს და „რაიო ვალეკანოს" წინააღმდეგ არ ათამაშა. ამის შემდეგ რივალდოს ინგლისში შესაძლო გადასვლის ცნობამ უფრო დამაჯერებელი სახე მიიღო. ფეხბურთელმა კომენტარი დაუყოვნებლივ გააკეთა: „ჩემსა და ვან გაალს შორის უბრალოდ გაუგებრობა მოხდა. „ბარსელონადან" წასვლა აზრადაც არ მომსვლია". პრინციპულობა მწვრთნელსაც ძვირად დაუჯდა, მისმა გუნდმა მადრიდიდან სამი ქულა ვერ წამოიღო. ჰოლანდიელ სპეციალისტს მატჩის შემდეგ სინანულით უთქვამს, რივალდო რომ მყოლოდა, აუცილებლად მოვიგებდითო. ასეთი განცხადებების შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ასევე მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მოხვედრის შესაძლებლობა ძალიან მცირეა. რაკი რივალდოს კატალონიაში დარჩენის საკითხი ეჭვს პრაქტიკულად აღარ იწვევს, კითხვის ასეთნაირად დასმა შეიძლება: არის რივალდო ის კაცი, რომელიც „მანჩესტერს" ნამდვილად სჭირდება? ცხადია, პასუხი ერთმნიშვნელოვანი არ გახლავთ, ამიტომ მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები ჩამოვთვალოთ.

ხუთი არგუმენტი, თუ რატომ სჭირდება მანჩესტერს რივალდო

არგუმენტი პირველი. რივალდო მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა. ამ აზრამდე საფეხბურთო მსოფლიო თითქმის ერთხმად მივიდა. ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. წლეულს რივალდომ თავისი თამაშით მეორე სახელოვანი თანამემამულე — რონალდო დაჩრდილა. ნებისმიერი კლუბი იოცნებებდა, რივალდოს დარი მოთამაშე ჰყავდეს.

არგუმენტი მეორე. „მანჩესტერს" ახალი ძალა სჭირდება. მან წლეულს ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლება. სერ ალექს ფერგიუსონმა კარგად იცის, გაისად კლუბს მოგებული თასების შენარჩუნება გაუჭირდება. „წითელი ეშმაკები" ქვეყნის პირველობაზე ჩინებულად თამაშობენ, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ფავორიტებად უკვე სხვებს მიიჩნევენ. თუ „მანჩესტერს" სამოამავლოდაც სურს, უძლიერესის სახელი ჰქონდეს, რივალდო სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც მას სჭირდება.

არგუმენტი მესამე. კლუბს სჭირდება ფეხბურთელი, რომელიც შეტევებს ცენტრიდან განახორციელებს. ეს თითქოს ალოგიკური არგუმენტია. კლუბმა, რომელმაც წინა სეზონში მხოლოდ პრემიერლიგაში 80 გოლი შეაგდო, შეტევის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ საგოლე მომენტებს „მანჩესტერი", როგორც წესი, ფლანგებიდან ქმნის. პოლ სქოულზი უფრო შემსრულებელია, ვიდრე ორგანიზატორი. რივალდოს კი შეუძლია, არაფრისგან საგოლე სიტუაცია შექმნას.

არგუმენტი მეოთხე. ეს გააფართოებს კლუბის სავაჭრო საქმიანობას. „მანჩესტერ იუნაიტედი" — ფეხბურთის გარდა ბიზნესიცაა. კლუბს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში თავისი მაღაზიები აქვს გახსნილი და საკუთარი სიმბოლიკით დამშვენებულ საქონელს ყიდის. რივალდოს გადმოყვანით კლუბი სამხრეთამერიკულ ბაზარსაც აითვისებს.

არგუმენტი მეხუთე. ფერგიუსონი და ედვარდსი დაზავდებიან. პრეზიდენტი და მწვრთნელი მუდმივად დავობენ. ყველაზე დიდი უთანხმოება მათ სატრანსფერო პოლიტიკის გამო აქვთ. რივალდო ის ფეხბურთელია, ვისი ყოლაც ორივეს სურს.

ხუთი არგუმენტი, თუ რატომ არ სჭირდება მანჩესტერს რივალდო

არგუმენტი პირველი. ეს მოსპობს ხელფასების განაწილების სისტემას. როი კინს კვირაში 50 ათას გირვანქას უხდიან. ამ ფაქტმა მოთამაშეთა შორის უკმაყოფილება უკვე გამოიწვია. გარი ნევილი ამბობს, ჩემზე მაღალი ხელფასი სხვას რატომ უნდა ჰქონდესო? იგივეს მოითხოვს დევიდ ბექემი, ოლონდ ცოლის პირით. რივალდოს ყიდვა „იუნაიტედს" 60 მილიონ დოლარზე ნაკლები არ დაუჯდება. ამას მისი საარაკო ხელფასიც დავუმატოთ და კლუბში ნამდვილი ბუნტი მოხდება.

არგუმენტი მეორე. რივალდო მანჩესტერის საუკეთესო ფეხბურთელი ვერ იქნება. გიგზი, ბექემი და იორკი „ოლდ ტრეფორდის" მეფეები არიან. ამიტომ რივალდოს კლუბის ლიდერად გახდომამდე რამდენიმე წელი მოცდა მოუწევს.

არგუმენტი მესამე. უზარმაზარ თანხად შეძენილ ფეხბურთელს ფერგიუსონი სკამზე ვერ დასვამს. რივალდო როი კინს ვერ შეცვლის. თუ ის შეტევის ცენტრში მოისურვებს თამაშს, რას უპირებენ სქოულზს? მარცხენა ფლანგზე გამწესების შემთხვევაში სად წავა გიგზი? ყველა ერთად კი ძირითადში ვერ მოხვდება.

არგუმენტი მეოთხე. ეს დაარღვევს კლუბში არსებულ ბალანსს. „იუნაიტედში" ფუნქციები განაწილებულია. რივალდო კი უფრო ინდივიდუალისტია. მისი ჩარჩოებში მოქცევა ძნელია. ბრაზილიელის ნიჭის ბოლომდე გამოსაყენებლად მას თავისუფლად მოქმედების საშუალება უნდა მიეცეს. შესაბამისად, გუნდის თამაში რივალდოს უნდა მოარგონ.

არგუმენტი მეხუთე. რივალდო ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს. „მანჩესტერი" ის გუნდია, რომელსაც შედეგების ჩვენება დაუყოვნებლივ სჭირდება. უეფას წესების თანახმად, ჩემპიონთა ლიგის ახლანდელ გათამაშებაში რივალდო „მანჩესტერს" ვერ დაეხმარება. მას გაისამდე მოუწევს ცდა.

გიორგი დარჯანია

365-ის მიხედვით

მკვლელობა კოლუმბიაში

ქვეყნის ჩემპიონი მძარცველს შემოაკვდა

კოლუმბიურ „ატლეტიკო ნასიონალში" მოასპარეზე 24 წლის ფეხბურთელი ხუან გილერმო ვილა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ მედელინში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. პოლიციის განცხადებით, ვილა წვეულებიდან შინ საკუთარი მანქანით ბრუნდებოდა, როდესაც ერთ-ერთ უბანში მას შეიარაღებული უცხო პირი მიეჭრა და სიცოცხლეს გამოასალმა. ოფიციალური ვერსიით, უცნობი ლამობდა, ფეხბურთელისთვის მანქანა წაერთმია. მკვლელი ჯერჯერობით არ უპოვიათ და მასზე პოლიციამ ძებნა გამოაცხადა.

გილერმო ვილა „ნასიონალის" ნახევარმცველი იყო. მისმა გუნდმა კვირას ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მას შემდეგ, რაც პენალტების სერიაში „ამერიკა" დაამარცხა.

ფეხბურთელთა მკვლელობის ფაქტი ამ ქვეყანაში ადრეც დაფიქსირებულა. 1994 წელს ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოასპარეზე კოლუმბიის ნაკრების მცველი ანდრეას ესკობარი დაშვებული შეცდომისა და საკუთარ კარში გატანილი ბურთის გამო გამოასალმეს სიცოცხლეს.

ფეხბურთის რუკასთან

ესპანურმა „ბარსელონამ" მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ასისტენტი შეურჩია — ეს გუნდის ყოფილი ფეხბურთელი ხოსე მარი ბაკეროა, რომელმაც „ბარსელონასთან" ერთად 1992 წლის ჩემპიონთა თასი მოიგო. მან დიდი ფეხბურთის თამაშს თავი 1998 წელს დაანება, ხოლო შემდეგ მთელი ერთი წელი მექსიკურ კლუბ „პუებლაში" დაჰყო; ბაკერო თანამდებობაზე რონალდ კუმანის ნაცვლად დაინიშნა, რომელიც კატალონიური კლუბიდან სულ ახლახან წავიდა და ჰოლანდიურ „ვიტესს" ჩაუდგა სათავეში.

ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ქრიუმ" პრემიერლიგელი „ჩელსისგან" ნახევარმცველი პოლ ჰიუზი სამი თვით ითხოვა. კლუბის ხელმძღვანელები არც იმას გამორიცხავენ, რომ კონტრაქტი უფრო ხანგრძლივი ვადით გაგრძელდეს. 23 წლის ფეხბურთელს ლონდონელთა რიგებში მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით არ უთამაშია. „ჩელსისთან" ხელშეკრულება მას მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება. საერთოდ კი ჰიუზმა 1996 წლიდან მოყოლებული გუნდში 23 შეხვედრა ჩაატარა და სადებიუტო მატჩშივე გოლი გაიტანა. „ქრიუს" მმართველმა დარიო გრადიმ განაცხადა: „სამი თვე სრულიად საკმარისია, რათა გუნდმა ფეხბურთელი შეიგუოს. თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, შესაძლოა მიმდინარე კონტრაქტი უფრო გახანგრძლივდეს".

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი დევიდ მეი ერთი თვით პირველდივიზიონელი „ჰადერსფილდის" რიგებს შეუერთდა. 29 წლის ფეხბურთელი მანჩესტერელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ამიტომ გუნდმა მისი დროებით განათხოვრება ამჯობინა. „ჰადერსფილდს" ამჟამად დაცვის ხაზში პრობლემები აქვს. მცველები — კრის ლუკეტი და კენ მონკოუ ტრავმის გამო ვერ თამაშობენ. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" დევიდ მეი 1994 წელს ამჟამად პირველდივიზიონელი „ბლეკბერნიდან" 1,4 მილიონ გირვანქად შეიძინა.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი, რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავს, უახლოეს მომავალში შესაძლოა მილანის „ინტერის" რიგებს შეუერთდეს. იტალიური პრესა იუწყება, რომ ტრანსფერის საბარაუდო თანხა 40 მილიარდი ლირით (20,9 მილიონი დოლარი) განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ზეედროფი უკვე თამაშობდა იტალიაში, კერძოდ, ახლა უკვე სერია B-ში მოასპარეზე გენუის „სამპდორიაში". ამჟამად ფეხბურთელი საშობაო არდადაგებს ბრაზილიაში ატარებს და ესპანეთში დაბრუნებას საახლოესოდ აპირებს. ტრანსფერის შესახებ მილანის „ინტერს" კომენტარი არ გაუკეთებია.

ფრანგულმა მარსელის „ოლიმპიკმა" ესპანელი ნახევარმცველი ივან დელა პენია რომის „ლაციოს" დაუბრუნა. იტალიურმა კლუბმა ფეხბურთელი 1998 წელს ესპანური „ბარსელონადან" 13 მილიონ ვირვანქად შეიძინა, თუმც მან კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიკავიდრა და რომაელებმა იგი „ოლიმპიკში" გაანთხოვრეს. მიმდინარე წლის ზაფხულში დელა პენიას შეძენის სურვილს ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედი" და ლონდონის „ჩელსი" გამოთვაქმდნენ, თუმც ესპანელის გადაბირება ვერც ერთმა მაიგანმა ვერ მოახერხა.

იტალიურ „ფიორენტინას" ორი ახალგაზრდა არგენტინელი ფეხბურთელის შეძენა სურს. ეს ინფორმაცია ბუენოს აირესის ერთ-ერმა გაზეთმა „კლარინმა" გაავრცელა. არგენტინული „ველეს სარსფელდის" მცველ მენდესისა და „ოლდ ბოიზის" ნახევარმცველ ბერნარდის პირადი აგენტი აცხადებს, რომ ფლორენციული კლუბი ორივე ფეხბურთელის გადაყვანას გეგმავს. არგენტინელები იანვარში ალბათ იტალიას ეწვევიან და ახალი კონტრაქტის პირობებს იქ შეათანხმებენ.

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს" პარაგვაელ მცველ კარლოს გამარასათვის ორ იტალიურ გრანდს — „მილანსა" და ტურინის „იუვენტუსს" დაუდგამს თვალი. აპენინელები „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში გეგმავენ, თუმც ამჟამად მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ხესუს ხილს ფინანსური პრობლემების გამო საქმე სასამართლოში აქვს და მოსალოდნელია, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკება იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ — 4 იანვრიდან დაიწყოს.

ბერძნულ „ილიმპიაკოსს" იტალიური „რომადან" პერსპექტიული 20 წლის ფორვარდის, ლამბროს ჰოუტოსის გადაბირება სურს. იტალიურმა კლუბმა ახალგაზრდა ფეხბურთელი ორი წლის წინ მეორე ბერძნულ კლუბ „პანათინაიკოსიდან" შეიძინა. ოფიციალური ინფორმაციით, ახლა რომაული გუნდი ბერძნული მხარისაგან ხუთწლიანი კონტრაქტის საფასურად დაახლოებით 5,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ინგლისური „ლივერპულის" ფრანგმა თავკაცმა ჟერარ ულიემ განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია გუნდის ხელმძღვანელობით და სურს, მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივოს. „თუ გუნდის ხელმძღვანელობა და გულშემატკივარი მოისურვებს, მუშაობას სიამოვნებით გავაგრძელებ. საერთო ატმოსფეროთი კმაყოფილი ვარ. მოკლედ 2003 წელს, როდესაც კონტრაქტის ვადა ამოიწურება, თუ შემომთავაზებენ, კლუბში კიდევ რამდენიმე წლით დავრჩები" — აცხადებს ულიე.

ჩილელმა ფორვარდმა ივან სამორანომ, რომელიც მილანის „ინტერის" ღირსებას იცავს, კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი 2001 წლამდე გააგრძელა. ახლა იგი სამშობლოში გამგზავრებასა და დაგეგმილი სოციალური ღონისძიებების ჩატარებას აპირებს. სამორანოს ჩილეში საგანგებო ფონდის ჩამოყალიბება განუზრახავს, რომელიც ბავშვთა დაცვის პრობლემებს მოაგვარებს.

ბრაზილიელმა ფორვარდმა როსამ ფრანგულ კლუბ „ნანსისთან" საშწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბის ოფიციალური ინფორმაციით, 25 წლის ფეხბურთელი, რომელსაც მეტსახელად „ზე ალჩინოს" ეძახიან, საფრანგეთს მომავალ კვირაში ეწვევა. აქამდე ფორვარდი სამშობლოში ასპარეზობდა და „გრემიოს" ღირსებას იცავდა.

შოტლანდიურმა „რეინჯერსმა" უარყო მადრიდის „ატლეტიკოს" წინადადება, არ მიჰყიდა ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი. კლუბის პრეზიდენტ დევიდ მურეის თქმით, მადრიდელები ფეხბურთელში 9,7 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ. „მართალია, მივიღეთ წინადადება, მაგრამ ამჟამად ნახევარმცველის გაყიდვით არ ვართ დაინტერესებული". „რეინჯერსმა" ჰოლანდიელი ფეხბურთელი 1998 წლის ივლისში „ფეიენორდისაგან" 8 მილიონ დოლარად შეიძინა და პრეზიდენტის განცხადებით, ნაკლებ ფასში მისი გაყიდვა უბრალოდ უაზრობა იქნებოდა. თავად ჰოლანდიელი აცხადებს, რომ ამჟამად ტრანსფერზე არ ფიქრობს, რადგან მთელი მისი ყურადღება „სელტიკის" წინააღმდეგ ორშაბათს გასამართი მატჩისკენაა მიმართული.

რუუდ ვან ნისტელროი

ახალი ვან გასტენი თუ უბრალოდ ტალანტი

ჰოლანდიას ტიტების ქვეყანას ეძახიან. იქ მართლაც რომ ულამაზესი ტიტებია, თუმცა მათზე წერას ნამდვილად არ ვაპირებ...

ჰოლანდია ნიჭიერი ტალანტების (ბუნებრივია საფეხბურთოს ვგულისხმობ) ქვეყანაცაა, ვინ მოთვლის, რამდენი ცნობილი ფეხბურთელი გამოუზრდია ტერიტორიით საქართველოზე მცირე ქვეყანას. იოჰან კრუიფი, მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი, იოჰან ნეესკენსი. რაღა შორს მივდივართ, კატალონიელთა სიამაყე, ესპანური „ბარსელონა" ხომ ჰოლანდიელებით არის სავსე. აქეთ ლუის ვან გაალი, იქეთ პატრიკ კლუივერტი, რუუდ ჰესპი, მიხაელ რაიიგერი, ბოგარდი, ზენდენი და სხვები.

ისიც კარგად მოგეხსენებათ, ზაფხულში საფეხბურთო ევროპას რა დღესასწაულიც ელის. ალბათ, მიმიხვდით, ბელგია-ჰოლანდიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატს ვგულისხმობ. ჰოდა, ჩემპიონის ტიტულისთვის ფავორიტად მიჩნეულთა შორის ერთ-ერთი ჰოლანდიაცაა, რატომ? ჰოლანდიის ნაკრების ახლანდელმა ბირთვმა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამტკიცა თავისი სიძლიერე, ნახევარფინალამდე გააღწია, იქ კი მხოლოდ კლაუდიო ტაფარელთან ნააგო და არა საკუთრივ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან. სწორედ ტაფარელი აღმოჩნდა მათთვისგადაულახავი ბარიერი — პენალტების სერიაში ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

მაინც ვისზე აკეთებს აქცენტს ფრანკ რაიკარდი, ჰოლანდიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი და ახლო წარსულში იტალიური „მილანის" სუპერვარსკვლავი.

ამ წერილში გვერდს შეგნებულად ავუვლით ჰოლანდიის ნაკრების ყველა სათამაშო რგოლის განხილვას და ამჯერად მხოლოდ შეტევის ხაზით, თავდასხმით შემოვიფარგლებით.

დღეს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში თავდამსხმელთა შორის კონკურენცია საკმაოზე დიდია, — სულ ცოტა, ორ ადგილზე, ჰა-ჰა სამზე, ხუთი ფორვარდი აცხადებს პრეტენზიას — დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი, პიერ ვან ჰოიდონკი, პეტერ ვან ფოსენი და რუუდ ვან ნისტელროი. ვის ენდობა რაიკარდი, ეს რა თქმა უნდა, მისი გადასაწყვეტია, ჩვენ კი ჰოლანდიური ფეხბურთის ამმავალ თუ უკვე ამოსულ ვარსკვლავზე, „პსვ ეინდჰოვენში" ფანტასტიკურად მოთამაშე რუუდ ვან ნისტელროიზე გესაუბრებით.

უკვე მეორე წელია, რაც ევროპელი სპეციალისტები და დამკვირვებლები თამამად ამბობენ, ლეგენდარულ მარკო ვან ბასტენს სრულფასოვანი მემკვიდრე გამოუჩნდაო და ასეთად სწორედ ვან ნისტელროის ასახელებენ. რატომ მაინცდამაინც ვან ნისტელროი და არა, ვთქვათ, ბერხკამპი. ამაზე თავად ჰოლანდიელები ასე ამბობენ — მას ვან ბასტენამდე ბევრი უკლია და საერთოდ, თავად დენისი არ არის მოწოდებით ბომბარდირი. დღევანდელი ჰოლანდიელი ვარსკვლავები უფრო განსხვავებულნი არიან, რომელთა უმეტესობაც შავკანიანია. არა, აქ რასიზმი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მენტალიტეტს და თამაშის თავისებურ სტილს ვგულისხმობთ. თანამედროვე ფეხბურთში აფრიკისა და ლათინური ამერიკის, უფრო ზუსტად კი ლეგენდარული სურინამული გენის წარმომადგენელთა უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა ფიზიკური ძალის შერწყმა ჯუნგლურ პლასტიკურობასთან. ვან ნისტელროი კი ამათგან გამორჩეულია, იგი სულ სხვაა — აცხადებენ ისინი.

შარშანდელ სეზონში ბომბარდირმა 35 ჩატარებულ მატჩში 31 ბურთი გაიტანა. წლეულს ხუთ სალიგო მატჩში (ჩემპიონთა ლიგას ვგულისხმობ) ასპროცენტიან შედეგს მიაღწია, სუთჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. ამგვარად, ვან ნისტელროის ჰოლანდიელებმა ვან ბასტენის შემდეგ „უბადლო მეგოლის" ტიტული მიანიჭეს.

ზაფხულიდან მოყოლებული, პსვ-ს ბომბარდირზე „ნადირობაც" გაჩაღდა. ვინ არ ეცადა და ცდილობს მის გადაბირებას. პირველი კლუბი, რომელიც მისით დაინტერესდა, მადრიდის „რეალი" გახლდათ. ლორენცო სანსი, სამეფო კლუბის პრეზიდენტი, თითქმის ორი კვირის მანძილზე არ ეშვებოდა პსვ-ს ხელმძღვანელებს, ფილიპსელებს თანხაზე ევაჭრებოდა. ბოლოს, როდესაც „რეალისა" და „პსვ ეინდჰოვენის" ბოსები ვან ნისტელროის მადრიდში გადასვლაზე შეთანხმდნენ, გადამწყვეტი სიტყვა ფეხბურთელს მისცეს: „ვფიქრობ, ჩემთვის ჯერ ადრეა ჰოლანდიის დატოვება, დაღვინებამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია და ალბათ, მიჯობს, სულ ცოტა, ორი წელი ისევ აქ დავრჩე, მმობლიურ პსვ-ში" და სანსი კუდამოძუებულივით გაეცალა იქაურობას. „რეალმა" კი ფრანგი ნიკოლა ანელკა 35 მილიონ დოლარად იყიდა.

ვან ნისტელროიმ რაც არ უნდა თქვას, ფაქტია, მას ჰოლანდიაში არ გააჩერებენ. „იგი ვან ბასტენის ჩრდილში ვერ მოექცევა, მეტიც, რუუდი სულ უფრო და უფრო უახლოვდება მას" — დასძენენ ჰოლანდიელი სპეციალისტები. მისი გადაბირების მსურველთა შორის ლიდერიც გამოიკვეთა, მიხვდით? რა თქმა უნდა, ეს იტალიური „მილანია", რომელიც აგერ უკვე მეექვსე წელია, ვან ბასტენის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ნოსტალგიას შეუპყრია, მაგრამ „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ჯერ ფიქრობს და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას არ ჩქარობს.

გაამართლებს კი, მოერგება იგი ჩემი გუნდის სათამაშო ტაქტიკას, როგორ შეეგუება სხვა თანაგუნდელებს, თუ ყველაფრის სპეციფიკა ისაა, რომ ვან ნისტელროი მხოლოდ შედეგზე თამაშობს, მეგოლეა და არა ტალანტი. იქნებ ეს ყოველივე ჰოლანდიის ჩემპიონატის დონით არის გამოწვეული, სადაც ძალიან ბევრი გოლი გააქვთ — ფიქრობს ბერლუსკონი.

ამასობაში კი რუუდ ვან ნისტელროის გოლი გოლზე გააქვს. ჰოლანდიის ჩემპიონატში 5 თებერვლამდე შესვენება გამოცხადდა, ბომბარდირი შარშან ხომ უპირველესი გახდა 31 ბურთით, წლეულსაც პირველ ადგილზე იმყოფება, 18 მატჩში 22 ბურთი აქვს გატანილი, სეზონის ბოლომდე მთელი მეორე წრეა, თუ ასე გააგრძელა, არა მარტო შარშანდელ მიღწევას გააუმჯობესებს, არამედ ევროპის „ოქროს ბუცის" უპირველესი ლაურეატიც ის იქნება, მაგრამ აცლიან კი... ჰოლანდიის ჩემპიონატის წლევანდელ ლიდერს ხომ არაერთი სუპერკლუბი აწუხებს.

...სატელეფონო ზარები კი არ წყდება. რუუდ ვან ნისტელროი ახალ სეზონს დიდ კლუბში შეხვდება, გადასაწყვეტი მხოლოდ ერთია — საბრნსფერო თანხა — სჯერათ ჰოლანდიაში.

„ვან ბასტენი დაბრუნდა, რუუდმა გვიჩვენა, რომ სუპერმეგოლეა. ნებისმიერი სიტუაციიდან, ნებისმიერი მდგომარეობიდან წარმოუდგენელი ბურთების გატანა შეუძლია. იგი უკვე ლიდერია, აღიარებული ლიდერი. ვან ბასტენი ლეგენდად დარჩა, ვან ნისტელროი კი მის გვერდითაა" — ამტკიცებენ ჰოლანდიელები.

თუმც გახდება თუ არა რუუდ ვან ნისტელროი მარკო ვან ბასტენის [illegible] ფასოვანი მემკვიდრე, ამას [illegible] ვენებს, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, მომავალი წინ აქვს, მომავალი, რომელიც სწრაფად ახლოვდება.

...საუკუნის ბოლოა და საფეხბურთო ქვეყნებში საუკუნის რჩეულ მოთამაშეებს ასახელებენ. ასეა ჰოლანდიაშიც. არა, არა, საუკუნის საუკეთესო ჰოლანდიელ ფეხბურთელთა ათეულში რუუდ ვან ნისტელროის ჯერ ვერ იპოვით, უბრალო მიზეზის გამო — მართალია, იგი ტალანტი, მეგოლე და ახალგაზრდაა, მაგრამ „ტიტების ქვეყანას" მასზე დიდებული ფეხბურთელები რომ ჰყოლია და ჰყავს, ესეც ხომ ფაქტია.

მაშ ასე, გამოკითხვა, რომელიც ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ, ჟურნალისტებმა და ფეხბურთის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ჰოლანდიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ლეგენდარული ნახევარმცველი იოჰან კრუიფი დაასახელეს, მეორე „სუპერმარკო", ანუ მარკო ვან ბასტენი გახდა, ხოლო მესამედ ასევე უბადლო რუუდ გულიტი დაასახელეს. საინტერესოა, რომ წლევანდელი ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი პირველი თავდამსხმელთაგანი, ლონდონის „არსენალში" მოთამაშე დენის ბერხკამპი მხოლოდ მეათე იყო.

სულ კი ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეული ასე გამოიყურება:

იოჰან კრუიფი (ნახევარმცველი), მარკო ვან ბასტენი (თავდამსხმელი), რუუდ გულიტი (ნახევარმცველი), იოჰან ნეესკენსი (თავდამსხმელი), ფრანკ რაიკარდი (ნახევარმცველი), ედგარ დავიდსი (ნახევარმცველი), რონალდ კუმანი (მცველი), რენე ვან დერ კერკჰოფი (ნახევარმცველი), ჰანს ვან ბრიოკელენი (მეკარე) და დენის ბერხკამპი (თავდამსხმელი).

გიორგი ვაშაკიძე

იოჰან კრუიფი

მარკო ვან ბასტენი

რუუდ ვან ნისტელროი

რუუდ გულიტი

იოჰან ნეესკენსი

ფრანკ რაიკარდი

შრომის ფასი

მარიან პახარსის — „სკონტოს“, შემდეგ „საუთჰემპტონის“ მოთამაშის სახელს დღეს ხშირად ახსენებენ. მასზე სერიოზული საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც გასული სეზონის ბოლოს პრემიერლიგაში ახალმა გადასულმა ფეხბურთელმა ერთბაშად სამი გოლი შეაგდო და გუნდი პირველ დივიზიონში დაქვეითებისგან იხსნა. ჩვენთვის პახარსი ორი რამით არის საინტერესო — ერთი, რომ ევრო 2000-ს შესარჩევ ჯგუფში პახარსი და ლატვიის ნაკრები ქართველთა მეტოქე იყო, მეორეც, ფეხბურთელი რევაზ ძოძუაშვილის შეგირდი გახლდათ.

მარიან პახარსი

საუთჰემპტონელმა ვეტერანმა ლე ტისიემ, კლუბში 15 წელი გაატარა და 160 გოლი შეაგდო, ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა, ან ძირითად შემადგენლობაში დამაბრუნეთ, ანაც გამიშვითო. გუნდის მესვეურები საგონებელში არიან ჩავარდნილი და გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. ფეხბურთელი, რომელმაც ტისიეს ადგილი დაიკავა, მარიან პახარსია. ლატვიელის სამხრეთ ინგლისის ქალაქ საუთჰემპტონში გამოჩენას ფეხბურთის ქომაგები თავიდან უნდობლად შეხვდნენ. ბრიტანელებს ფეხბურთელები საკმარისად ჰყავთ და არასაფეხბურთო ქვეყნის ნაკლებადცნობილი კლუბიდან მოთამაშის მოწვევას ეჭვის თვალით შეხედეს. ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდა. დღეს პახარსი გუნდის ლიდერია და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. მეტიც, ლატვიის საუკეთესო ფეხბურთელი სამხრეთ ინგლისში ყველაზე სასარგებლო მოთამაშედაც აღიარეს.

პახარსი პრემიერლიგაში თამაშს უდავოდ იმსახურებს, თუმცა „საფეხბურთო მექაში“ მოსახვედრად მას ნიჭთან ერთად იღბალმაც შეუწყო ხელი. შეიძლებოდა, სხვაგვარად ყოფილიყო. ერთი წლის წინ ფეხბურთელით ავსტრიული „ზალცბურგი“ დაინტერესებულა. ლატვიელმაც იქით მიაშურა. მაგრამ პახარსი ავსტრიელებმა ვერ გამოსცადეს — დიდთოვლობის გამო საკონტროლო მატჩის ჩატარება ვერ მოხერხდა. უქმად ყოფნას და გამოდარების ცდას პახარსმა შინ დაბრუნება ამჯობინა. შემდეგ მოსკოვში თანამეგობრობის თასიც გათამაშდა. ტურნირის დასრულების შემდეგ „სკონტოს“ პრეზიდენტ გუნტის ინდრიკსონთან ადგილობრივი „დინამოს“ წარმომადგენლები მისულან და პახარსზე საუბარი დაუწყიათ. ფეხბურთელი აღიარებს, გული ავსტრიისკენ მიმიწევდა. თუმცა, მოსკოვის „დინამოზეც“ თანახმა ვიყავიო. რუსებთან შეთანხმება არ შედგა. ინდრიკსონი მოსკოველთა პირობებს არ დათანხმდა. მაშინ მას პახარსისთვის უთქვამს, აჩქარება არ გვმართებს, შენთვის უკეთესი ვარიანტის მოძებნა მსურსო. ფეხბურთელი თავისი პრეზიდენტის მადლობელია — პრემიერლიგაში თამაში ბევრისთვის აუხდენელი ოცნებაა.

პახარსი საუთჰემპტონში ჩავიდა. მისი შემოწმება დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველივე საკონტროლო მატჩში ლატვიელმა ბრწყინვალედ ითამაშა და ჰეთ თრიკი გაახერხა. კლუბის ხელმძღვანელებმა მას დაუყოვნებლივ შესთავაზეს ოთხწლიანი კონტრაქტი. გიორგი ქინქლაძის მსგავსად, ინგლისის დასაქმების დეპარტამენტის ჩინოვნიკთა სიმკაცრე პახარსმაც საკუთარ თავზე გამოსცადა. სამუშაო ვიზის მიცემაზე მას ორჯერ უთხრეს უარი. ფეხბურთელი იხსენებს: „ამის გამო დიდად არ მინერვიულია, თუმც გარკვეულ შინაგან დისკომფორტს ვგრძნობდი. დარწმუნებული ვიყავი, „საუთჰემპტონის“ ხელმძღვანელობა პრობლემის გადასაჭრელად ყველაფერს იღონებდა“. ასეც მოხდა. მესამე ცდით პახარსს თამაშის უფლება მიეცა.

ისე ჩანდა, თითქოს პახარსი ინგლისურ ფეხბურთს ადვილად მოერგო. ეს სწრაფად მოხდა, თუმცა ადვილი არ ყოფილა. თავდაუზოგავი შრომა — აი, რა სჭირდებოდა ლატვიელს კლუბთან ორგანულად შერწყმისთვის. პახარსს სამშობლოში მეტოქის გასწრება არ უჭირდა. ის ყველას ადვილად ჩამოიტოვებდა ხოლმე უკან და კარისკენ გზა ხსნილი ჰქონდა. ინგლისში ჩასულმა შენიშნა, რომ აქაური მცველებისთვის გვერდის ავლა რთული საქმე იყო. გამოსავალი მოინახა და ამაზე ზევითაც ვთქვათ — თავდაუზოგავი შრომა. პახარსს კიდევ ერთი — ენობრივი ბარიერი დახვდა. მოკლე დროში ეს პრობლემა მოგვარდა. პედაგოგის და თავად ფეხბურთელის მონდომებამ მას მწვრთნელის და თანაგუნდელთა ნათქვამის უპრობლემოდ გაგების საშუალება მისცა.

პახარსს პრემიერლიგაში უკვე ათი გოლი აქვს გატანილი და თავისი კლუბის ბომბარდირია. მას ათივე ახსოვს, განსაკუთრებით კი ერთ მათგანს გამოარჩევს. ლატვიელმა ლეგიონერმა „ოლდ ტრეფორდზე“ იაპ სტამი მოატყუა და ლამაზადაც შეაგდო. პახარსის წყალობით „საუთჰემპტონმა“ მანჩესტერიდან ქულის წაღება შეძლო.

ტოკიოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ ჟურნალისტებმა ლატვიის ნაკრების ლიდერს აზრის გამოთქმა სთხოვეს. ფეხბურთელმა ჯგუფს, სადაც ლატვიელთა გარდა ბელგია, შოტლანდია, ხორვატია და სან მარინო მოხვდნენ, ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ბელგია, შოტლანდია და ხორვატია უდავო ფავორიტები არიან. ხუთგუნდიანი ჯგუფისთვის ეს მეტისმეტია. ამ თვალსაზრისით არ გაგვიმართლა. მაგრამ ძლიერი გუნდების ერთად თავმოყრას თავისი დადებითი მხარეც აქვს. ისინი ურთიერთშეხვედრებში ბევრ ქულებს დაკარგავენ. ეს ჩვენ შანსს გვაძლევს. ლატვიის ნაკრები კი უბრძოლველად არც ერთ თამაშს არ დათმობს. ნორვეგიელთა ძლევის შემდეგ ლატვიას სერიოზულ ძალად აღიქვამენ. ისე, ბოლომდე გულახდილი რომ ვიყო, ბელგიის და შოტლანდიის ნაცვლად, გერმანიასა და ინგლისთან მოხვედრას ვისურვებდი“.

მარიან პახარსი ინგლისში თავს ბედნიერად გრძნობს. აქ მას შვილი შეეძინა, რომელიც ახლა ოთხი თვისაა. მან მშობლებიც თავისთან ჩაიყვანა და ყველანი კლუბის მიერ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ. ფეხბურთელის მანქანას, რომელიც ასევე კლუბმა მისცა, გვერდზე ასეთი წარწერა ამშვენებს: მარიან პახარსი — „საუთჰემპტონი“. პახარსი მხოლოდ ერთი რამით არის უკმაყოფილო, ინგლისურ მას მედიას ლატვიური ფეხბურთი სულ არ აინტერესებს და ფეხბურთელი ინფორმაციას ვერ ღებულობს. ასეა, ბრიტანელებს მხოლოდ საკუთარი ფეხბურთი აინტერესებთ. ამიტომ იქ აღიარების მოპოვება მეტად რთული, მაგრამ ორმაგად საპატიო რამ არის. პახარსმა ეს შეძლო.

გიორგი დარჯანია

საშობაო საჩუქარი

ქართველები დარჩენისთვის იბრძოლებენ

სვენ ჰოტცმა

შვეიცარიის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის კლუბის, „ციურიხის“ ნაცვლად ნოიშატილის „ქსამაქი“ ითამაშებს, ციურიხელები კი ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ — ასე დაადგინა იქაური ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა.

„ციურიხის“ მთავარი მწვრთნელის, რაიმონდო პონტეს ერთმა დაუკვირვებელმა საქციელმა გუნდს სასტიკი შედეგი მოუტანა.

ალბათ გახსოვთ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურში (12 დეკემბერი) „ციურიხი“ „ქსამაქსს“ ეწვია. მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში მასპინძლები საუკეთესო რვა გუნდში ხვდებოდნენ და გაზაფხულზე საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცემოდათ, სხვა შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში კი მიზანს „ციურიხი“ მიაღწევდა. მატჩი ფრედ — 1:1 დასრულდა და სტუმრებმაც დიდი ზეიმი მოაწყვეს, თუმცა...

„ქსამაქსმა“ თამაშის დასრულების შემდეგ ოფიციალური პროტესტი შეიტანა შესაბამის ადგილას, „ციურიხის“ განაცხადში შვიდის ნაცვლად რვა უცხოელი ფეხბურთელი ეწერაო. შვეიცარიული წესების თანახმად, გუნდებს უფლება აქვთ, განაცხადში მაქსიმუმ შვიდი საზღვარგარეთელი ჰყავდეთ, მინდორზე კი მათგან ერთბაშად ხუთი თამაშობდეს. სტუმრებს თვლა აერიათ, განაცხადში რვა უცხოელი ჩაწერეს და საქმე თავში საცემად გაიხადეს.

სადისციპლინო კომიტეტის პირველი სხდომა 16 დეკემბერს შედგა. სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ეს საქმე 23 დეკემბერს განეხილათ. „ქსამაქსის“ ხელმძღვანელობა თავიდანვე მატჩის შედეგის გაუქმებას და 3:0 მოგების ჩათვლას ითხოვდა. ციურიხელები კი, უკიდურეს შემთხვევაში, შეხვედრის გადათამაშების მომხრენი იყვნენ. მათი ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ მინდორზე ერთდროულად მხოლოდ ხუთი უცხოელი ჰყავდათ და მთავარი პირობა არ დაურღვევიათ.

სიმართლე ითქვას, მათ დარღვევას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

შეხვედრის გადათამაშების შესაძლებლობა არც განხილულა, შვეიცარიაში ამჟამად არდადეგებია და ფეხბურთელებიც შვებულებაში იმყოფებიან.

სადისციპლინო კომიტეტმა ხუთშაბათს, 23 დეკემბერს შვიდსაათიანი თათბირის შემდეგ განაჩენი გამოიტანა:

„იმის გამო, რომ „ციურიხის“ ხელმძღვანელობამ დაარღვია შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის დებულების მესამე მუხლის მეორე პუნქტი და განაცხადში ნებადართულზე მეტი უცხოელი შეიყვანა, გაუქმდეს „ქსამაქსი“-„ციურიხის“ მატჩის შედეგი და ჩაეთვალოს „ქსამაქსს“ ტექნიკური მოგება — 3:0.

„ჩვენ ძალიან დიდხანს ვიმსჯელეთ, ყველა შესაძლო ვარიანტი განვიხილეთ და საბოლოოდ ერთ აზრამდე მივედით, დებულება დებულებაა და იგი არ უნდა დაგვერღვია. მას ყველა უნდა ემორჩილებოდეს. უფლება არ გვქონდა, იგი შეგვეცვალა“ — განაცხადა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე ოდილო ბიურგიმ.

„შვეიცარიი საშობაო საჩუქარია“ — მოკლე და კონკრეტული კომენტარი გაუკეთა გამოტანილ განაჩენს „ქსამაქსის“ პრეზიდენტმა, ჯილბერტ ფაკინეტიმ.

„ციურიხში“ კი გონზე ჯერაც ვერ მოსულან. „ეს სრული უაზრობაა, ასეთი უმნიშვნელო დარღვევები ხშირად ხდება, მაგრამ დღემდე არავინ დასჯილა. ჩვენ რატომ უნდა დავისაჯოთ?“ — გაკვირვებული ჩანდა „ციურიხის“ ვიცე-პრეზიდენტი ურს შერერი. მისგან განსხვავებით, კლუბის პრეზიდენტმა, სვენ ჰოტცმა განაჩენი მართებულად ჩათვალა: „ამ გადაწყვეტილებას ყველანი უნდა დავეთანხმოთ. რაც შეეხება პონტეს, მან კარგად იცის, რა შეცდომა დაუშვა და ამ ამბავში რა წვლილიც მიუძღვის. იგი ამას ძალიან ნანობს“.

...და მაინც. მიუხედავად ჰოტცის ასეთი განცხადებისა, ვარაუდობენ რომ „ციურიხი“ სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილ ვერდიქტს უფრო ზემოთ, სახელმწიფოებრივ ინსტანციაში გაასაჩივრებს.

ნაკლებმოსალოდნელია, ამან რაიმე შეცვალოს.

ვანო ოჭროპირიძე

სპორტული ინფორმაციის ბიურო

კითხვა - პასუხი

— ასე, სამართალმა პური ჭამა...

— ევროპა ჯერ კიდევ არ არის მსოფლიო.

— ევროპაში რომ არაევროპელი მოგიგებს, მსოფლიოში რაღას უნდა ელოდო?

— ჯერ შეიკრიბონ მწვრთნელები... ნახავ, ვისაც დაასახელებენ.

— ზოგადად, რივალდო უნდა დაასახელონ და შენ თუ ის გინდა...

— ეგ გამოჩნდება.

— კარგი, გაისათ ვინ გახდება საუკეთესო?

— ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ჰოდლი რომ იყოს, გეტყოდი, ვინც...

— მოეშვი რა, ამ ვიქტორიას ქმარს. ვერ ხედავ, თანდათან ერეკები?

— ვიქტორიას ქმარი რა შუაშია. ვიზეც მე ვფიქრობ ცოლი სულაც არა ჰყავს...

— აა...

— დიახ, ბიჭი. მაგრამ ეს მაშინ მოხდებოდა, ჰოდლი რომ დარჩენილიყო.

— ეგ შენი ოუენი ბოლო დროს ძალიან გაჩვეულებრივდა.

— იმიტომ, რომ თვალი შეაჩვიე...

— ჰო, თვალი შევაჩვიე. ქუჩის კუთხეში ჩამდგარ ჯიხურს ჰგავს.

— ლოთიანად, შირერში ხომ არ გერევა?

— ეს ვინ გამახსენე...

— მეტსაც გაგახსენებ. აბა მითხარი, პაოლო როსი უკეთესი იყო, თუ შირერი?

— ჰმ, რა კითხვა უნდა?

— და რატომ? მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ექვის გოლი გაიტანა? ეგ ხომ სკილაჩიმაც მოახერხა...

— როსი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, სხვათა შორის...

— ესე იგი, მთავარი ტიტულია.

— ტიტული განსაზღვრავს, ყოველ შემთხვევაში...

— ყოველ შემთხვევაში, გარდა ბექემის შემთხვევისა, არა?

— კაცო, რას გადამეკიდე? ბოდიში მოვიხადო რივალდოსთვის?

— ეჰ, ჰოდლი იყოს...

— ჰოდლი სულების ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაუნიშნავთ. აჩრდილებსა წვრთნის...

— აჩრდილების მთავარი მწვრთნელი იცი ვინ არის?

— ვინ?

— დელ ბოსკე.

— კიდევ კარგი, ლიპი არა თქვი.

— მე ვიცი, ინტერში ვინ უნდა დანიშნონ.

— ვინ?

— გრემ ტეილორი.

— და გაზა?

— გაზას მწვრთნელობა ჯერ აღრეა.

— მე კი მგონია, რომ დაგვიანებულია.

— დელ ბოსკესთვის არ არის ღაგვიანებული და გაზასთვის დაგვიარებულია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, ვინც კასტილიაში არ მუშაობს

ვიალების (შუაში ჯანლუკაა) ერთ-ერთ ოთახს სტრადივარიუსის ვიოლინო ამშვენებს

მილანიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, დაახლოებით 40 კილომეტრში, კრემონა დიდებული წარსულით იწონებს თავს. ის დღესაც ერთობ ხიბლიანი ქალაქია. დამნაშავეობა ფაქტობრივად არ არის, სამაგიეროდ არის პიაცა დელ კომუნე, რაც ქართულად, ალბათ, სახალხო მოედნად უნდა ვთარგმნოთ და რიო ბარი, ლაღი, თავშესაქცევი ადგილი. სწორედ ამ მიდამოებში მოქმედებდა ორგანიზაცია ZYG.

ZYG-ს ცუდი არაფერი გაუკეთებია, ის უფრო ეშმაკობდა, ვიდრე აშავებდა. კაცმა რომ თქვას, ZYG-ს ორგანიზაციასაც დიდი გადაჭარბებით თუ უწოდებდით, რადგან სულ სამი მეგობრისგან შედგებოდა და ოფიციალურად, ცხადია, არსად ყოფილა გაფორმებული. ეს გახლდათ ტომ სოიერობის კრემონული ნაირსახეობა, მეტი არაფერი.

საკუთრივ ZYG მეგობართა სახელების პირველი ასოები გახლდათ. ჩვენთვის Z-ს და Y-ს ვინაობა ცნობილი არ არის და მართალი რომ გითხრათ, დიდა არც გვაინტერესებს, ხოლო, რაც შეეხება G-ს, გვინდა მოგახსენოთ, რომ ქვემოთ მხოლოდ მასზე გვექნება საუბარი. ამიტომ, თქვენი ნებართვით, ორგანიზაციის სახელწოდებას პირველ ორ ასოს ჩამოვაკლებთ და თხრობას ისე განვაგრძობთ.

ასე ვთქვათ: დღეს იტალიაში მონარქიული წყობა რომ იყოს, ლომბარდიიდან ხელმწიფესთან ყველაზე დაახლოებული ვიალების არისტოკრატიული ოჯახი იქნებოდა. ოჯახის თავკაცი, ჯანფრანკო ვიალი 70 წლის მოკრძალებული, დახვეწილი ადამიანი გახლავთ, რომელსაც საკუთარი წარმოშობითა და სიმდიდრით არასდროს უტრაბახია. მან იცის ვინც არის და მორჩა.

ჯანფრანკო ვიალის ხუთი შვილი ჰყავს: ოთხი ვაჟი და ქალიშვილი, მილა. ვაჟებს ნინო, მაფო, მარკო და ჯანლუკა ჰქვიათ. ძმებში ყველაზე უფროსი ნინოა, უმცროსი — ჯანლუკა, რომლის სახელს ლათინურად თუ დავწერთ — GIANLUCA — და პირველ ასოს დავაკვირდებით, გონება აუცილებლად დაგვაკავშირებს ორგანიზაცია ZYG-თან და თვით შერლოკ ჰოლმსის საკადრის დასკვნასაც შემოგვთავაზებს — ჯანლუკა ვიალი, აი, ვინ არის G.

ჯანფრანკო ვიალის მამა, ანუ ჯანლუკას ბაბუა, გრუმელო კრემონეზეში, კრემონედან 15 კილომეტრში, რომ მდებარეობს, 1938 წელს დასახლდა. სიტყვა დასახლება მოდის სიტყვიდან სახლი, რამაც მცდარი შთაბეჭდილება რომ არ შეგვიქმნას, აქვე ვთქვათ, რომ ის, რაც წინაპარმა ვიალიმ იყიდა, გახლდათ არა ჩვეულებრივი საცხოვრებელი რამ, არამედ მე-15 საუკუნის არქიტექტურული ძეგლი, რომელიც სოფლის მთავარი ღირსშესანიშნაობაა დიდებული ალაყაფით და ეზოთი, სადაც ჩიტები ჭიკჭიკებენ, ხოლო სიჩუმეს გარშემო სავარგულებიდან მოღწეული ტრაქტორის ხმა თუ არღვევს.

როდესაც ჯანლუკა ამბობს — შინ მივდივარ — სწორედ ამას გულისხმობს.

ალბათ, ვიალების ოჯახს სიმდიდრე მემკვიდრეობითაც ერგო, მაგრამ ფულს ერთი საძაგელი თვისება აქვს — რაგინდ ბევრი იყოს, იხარჯება. ამიტომაც უთქვამთ, ფულმა ფული უნდა მოიგოსო და ამ სიბრძნესთან დაკავშირებით ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ სამშენებლო კომპანია „კასტილია", უდიდესი კონცერნი, რომელსაც მილიონები მოაქვს და, როგორც ხვდებით, ვიალების საკუთრებაა. დღეს კომპანიას უფროსი ვაჟი ნინო ხელმძღვანელობს, ხოლო მაფო და მარკო მას მხარში უდგანან.

„კასტილიაში" არ მუშაობს ჯანფრანკოს ორი შვილი, 43 წლის მილა და ჯანლუკა. მილა იტალიური კალათბურთის ერთ-ერთ ექსვარსკვლავს ჰყავს ცოლად და დიასახლისი გახლავთ, ხოლო ჯანლუკა...

წესითა და რიგით, როდესაც ჟურნალისტი მავანზე წერილს წერს, ვალდებულია თავიდანვე თქვას ვინ არის მისი გმირი, მოკლედ იგი მკითხველს წარუდგინოს. ჩვენს [illegible]ხთვევაში, ვინაიდან ეს უხეში [illegible]ამა უკვე დაშვებულია და ველარ[illegible]ჯერს გავაწყობთ, ჯობს იგი ახლა მაინც გამოვასწოროთ: წერილი ეხება მას, ვისაც წარდგენა არ სჭირდება (თუ, რა თქმა უნდა, „სარბიელი" შემთხვევით მკითხველს არ ჩაუვარდა ხელში) — ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავს, მრავალ დიდ ტიტულთა მფლობელსა და დღეს ლონდონის „ჩელსის" 35 წლის მწვრთნელს, რომლის სახელსა და გვარსაც კარგა ხანია ვაბრუნებთ.

მაშ ასე, ჯანლუკა ვიალი „კასტილიაში" არ მუშაობს, მაგრამ მამა ვაჟის არჩევანს არ დაუმწუხრებია:

„ჯანლუკათი მთელი ოჯახი ვამაყობთ, ოღონდ, რაც მწვრთნელი გახდა მეტისმეტად დაკავებულია".

„ყოველთვის ვიცოდი, რომ ჯანლუკა ერთ მშვენიერ დღეს მწვრთნელი გახდებოდა, მაგრამ ეს ასე მალე თუ მოხდებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. თანაც, მეგონა, რომ ამ სფეროში პირველ ნაბიჯს იტალიაში გადადგამდა. მან ძალიან კარგად უწყის, რომ წინ აურაცხელი სირთულე ელის, თუმცა, ვხედავ — თავს ბედნიერად გრძნობს" — ამბობს ნინო, მაგრამ მოდით, ფეხბურთს თავი დავანებოთ. სჯობს ის ვთქვათ, რასაც ნინო, და, სხვათა შორის, ჯანლუკა, ვერ ამბობს: რამდენი ოთახია მათ სასახლეში?

ჯანფრანკო ვიალი

— ალბათ 60 — პასუხობს უფროსი ძმა. ან კი რატომ უნდა ჰქონდეს დათვლილი? ეს ჩვენ დავიწყებთ ოთახების თვლას, ბედმა ხელში დიდი ბინა რომ ჩაგვიგდოს, ვიალები კი სხვაგვარად აზროვნებენ, სხვა სამყაროდან არიან.

მათი სამყარო მდიდრულია და მოკრძალებული, ნაღდი, კლასიკური, ფასეული. ნუ წარმოვიდგენთ დღეს გამდიდრებულ გუშინდელ ხეპრეს ქართული ან, თუნდაც, ამერიკული მოდელით.

„ვიალების ოჯახი ძალიან დახვეწილია, ზრდილი, კორექტული. კრემონაში მას ყველა პატივს სცემს და ამაყობს, რომ მათი ჯანლუკა ფეხბურთის დიდი ვარსკვლავია" — ამბობს კრემონელი ჟურნალისტი ჯორჯო ბარბიერი, რომელიც ქალაქის გუნდზე, „კრემონეზეზე" 20 წელიწადია რეგულარულად წერს.

ჯანლუკა და რობერტო მანჩინი, ძველი მეგობარი „სამპდორიადან"

...სხვათა შორის, „კრემონეზეს" სტადიონი ჯანფრანკო ვიალის ფულითაა აგებული...

სასახლეს, რომელშიც დაახლოებით თუ ალბათ 60 ოთახია, რომის ქუჩა ანუ „ვია რომა" ებჯინება, ხოლო ბარი „ტრატორია" სადღაც შორიახლოს, კუთხეში, მუდამ კლიენტებითაა სავსე. „ტრატორია" პირადად ჯანლუკას და მის იუვენტუსელ მეგობარს, როგორც წესი სათადარიგო მეკარეს, მიქელანჯელო რამპულას ეკუთვნის.

ალბათ, 60 ოთახიანი სასახლის ერთ-ერთ ოთახში ვიოლინოთა დიდი იტალიელი ოსტატის, ანტონიო სტრადივარიუსის ქმნილებაა დავანებული — კრემონელი არისტოკრატის საცხოვრებელს კრემონელი გენიოსის ნახელავი ამშვენებს. ხოლო ყოველივე ამით მოხიბლული ჩვეულებრივი კრემონელები ჩვენი წერილის გმირს სიყვარულით სტრადივიალის უწოდებენ.

...ამბობენ, „ჩელსიმ" ბოლო დროს ინგლისის პირველობაზე ბევრი ქულა დაკარგა და მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული სვლისა, ლონდონელთა საფეხბურთო კლუბის თავმჯდომარემ, კენ ბეიტსმა, მწვრთნელი შეიძლება თანამდებობიდან მოხსნასო.

ჩვენ თუ გვკითხავთ, ეს შეცდომა იქნება, რადგან მწვრთნელმა „სტემფორდ ბრიჯზე" საუცხოო გუნდი შეკრა, მაგრამ თუ ბეიტსი ამ ნაბიჯს მაინც გადადგამს, უმუშევრად დარჩენილი სპეციალისტი, ალბათ, ნაღვლის ხმის ამოუღებლად ჩაალაგებს და მხოლოდ ორ სიტყვას იტყვის: სახლში მივდივარ.

ბაბუნა ძედია



გრუმელო კრემონეზეში მდებარე სასახლესთან ხშირად ტურისტებიც მიჰყავთ

სარბიელი

სპორტული ლატარია

"CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-19 ტური

26 დეკემბერი

054	საუთჰემპტონი-ჩელსი (16⁰⁰)	3,4	2,9	2,0
055	ტოტენჰემი-უოტფორდი (16⁰⁰)	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
056	უიმბლდონი-ვესტ ჰემი (16⁰⁰)	2,4	2,9	2,6
057	დერბი-ასტონ ვილა	2,3	2,9	2,8
058	ევერტონი-სანდერლენდი	2,5	2,8	2,6
059	ლიდსი-ლესტერი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
060	მანჩესტერი-ბრედფორდი	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0
061	ნიუკასლი-ლივერპული	2,4	2,8	2,7
062	უენსდი-მიდლსბრო	2,5	2,9	2,5
063	ქოვენთრი-არსენალი	3,8	2,8	1,9

ინგლისი. I დივიზიონი. 24-ე ტური

26 დეკემბერი

064	ჩარლტონი-კრ. პალასი (16⁰⁰)	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
065	ფულემი-იფსვიჩი (16⁰⁰)	2,2	2,9	3,0
066	ვესტ ბრომვიჩი-მანჩ.სიტი (16⁰⁰)	3,0	2,9	2,2
067	გრიმსბი-ბარნსლი (17⁰⁰)	3,0	2,9	2,2
068	პორტ ვეილი-ბოლტონი (17⁰⁰)	2,5	2,9	2,5
069	სტოკპორტი-ვულვპი (17³⁰)	2,0	2,8	3,5
070	ბირმინგემი-შეფილდი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
071	ბლექბერნი-ნოტინგემი	1,5	3,4	5,6
072	ქრიუ-ჰადერსფილდი	3,4	2,9	2,0
073	ნორვიჩი-ქუინზ პარკი	2,0	2,8	3,5
074	სუინდონი-პორტსმუთი	2,3	2,8	2,9
075	უოლსოლი-ტრანმერი	2,6	2,9	2,4

ინგლისი. II დივიზიონი. მე-23 ტური

26 დეკემბერი

076	ბრენტფორდი-ბრისტოლი (16⁰⁰)	1,7	3,2	4,2
077	კარდიფი-რედინგი (16¹⁵)	2,0	2,9	3,4
078	ბლეკპული-სტოკი (17⁰⁰)	3,1	3,0	2,1
079	როვერსი-მილუოლი (17⁰⁰)	1,9	2,8	3,8
080	ჯილინგემი-კოლჩესტერი (17⁰⁰)	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
081	რექსემი-პრესტონი (17⁰⁰)	3,6	2,9	1,9
082	ბერი-ბარნლი	2,4	2,8	2,7
083	ლუტონი-ჩესტერფილდი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
084	ნოტსი-უიგანი	2,5	2,8	2,6
085	ოლდემი-სკანთორპი	1,8	2,9	4,2
086	ოქსფორდი-კემბრიჯი	1,6	3,2	5,0
087	უიკომბი-ბორნმუთი	2,2	2,8	3,1

ინგლისი. III დივიზიონი. მე-23 ტური

26 დეკემბერი

088	ბრაიტონი-ბარნეტი (16⁰⁰)	3,2	2,9	2,1
089	ლეიტონი-სუონსი (16⁰⁰)	3,5	3,0	1,9
090	შრიუსბერი-მაკლსფილდი (16⁰⁰)	2,3	2,9	2,8
091	ჰალიფაქსი-ლინკოლნი (17⁰⁰)	1,9	3,0	3,5
092	ჰარტლპული-იორკი (17⁰⁰)	1,6	3,0	5,6
093	კარლაისლი-როჩდეილი	2,5	2,9	2,5
094	ჩელტენემი-ექსეტერი	1,8	3,0	4,0
095	დარლინგტონი-ჰალი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
096	მენსფილდი-ჩესტერი	1,6	3,2	5,0
097	პიტერბრო-როტერჰემი	2,0	2,9	3,4
098	პლიმუთი-ტორკი	2,1	2,9	3,2
099	საუთენდი-ნორთჰემპტონი	2,4	2,8	2,7

შოტლანდია. მე-20 ტური

27 დეკემბერი

109	სელტიკი-რეინჯერსი (17⁰⁰)	2,4	2,8	2,7
110	აბერდინი-დანდი იუნაიტედი	3,0	2,9	2,2
111	დანდი-სენტ ჯონსტონი	2,1	2,8	3,3
112	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1,7	3,1	4,4
113	მოზერუელი-ჰართსი	1,8	2,9	4,2

კალათბურთი. NBA

25 დეკემბერი

846	ინდიანა-ნიუ იორკი	1,3	12,0	2,8
847	ლეიკერსი-ასნ ანტონიო	1,2	12,0	3,5

26 დეკემბერი

848	ნიუ ჯერსი-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
849	ვაშინგტონი-ჰიუსტონი	1,4	12,0	2,3
850	კლივლენდი-ტორონტო	1,8	12,0	1,6
851	დეტროიტი-შარლოტი	2,0	12,0	1,5
852	მილუოკი-მაიამი	2,0	12,0	1,5
853	დენვერი-ვანკუვერი	1,1	12,0	5,0
854	ფინიქსი-გოლდენ სტეიტი	1,1	12,0	5,0
855	კლიპერსი-ბოსტონი	2,0	12,0	1,5
856	საკრამენტო-დალასი	1,1	12,0	5,0
857	სიეტლი-ფილადელფია	1,15	12,0	4,0

27 დეკემბერი

858	ორლანდო-მინესოტა	1,2	12,0	3,5
859	შარლოტი-ატლანტა	1,1	12,0	5,0
860	ჩიკაგო-ინდიანა	3,1	12,0	1,25
861	იუტა-ფინიქსი	1,55	12,0	1,9
862	ლეიკერსი-დალასი	1,05	12,0	7,5
863	გოლდენ სტ.-სან ანტონიო	2,8	12,0	1,3
864	ვანკუვერი-ფილადელფია	2,0	12,0	1,5

ჰოკეი. NHL

26 დეკემბერი

865	რეინჯერსი-ნიუ ჯერსი	2,2	4,4	1,8
866	სან ხოსე-ანაჰაიმი	1,8	4,4	2,2
867	კაროლინა-ფლორიდა	2,0	4,4	2,0
868	ატლანტა-ტამპა ბეი	2,0	4,4	2,0
869	ჩიკაგო-პიტსბურგი	2,2	4,4	1,8
870	სენტ ლუისი-ნეშვილი	1,25	4,4	4,4
871	ვანკუვერი-კალგარი	1,8	4,4	2,2
872	ლოს ანჯელესი-ფინიქსი	1,8	4,4	2,2

27 დეკემბერი

873	ოტავა-მონრეალი	1,4	4,4	3,4
874	ვაშინგტონი-ჩიკაგო	1,4	4,4	3,4
875	კალგარი-ფილადელფია	2,4	4,4	1,7
876	ნიუ ჯერსი-ბუფალო	1,4	4,4	3,4
877	აილენდერსი-ბოსტონი	2,2	4,4	1,8
878	ტამპა ბეი-ფლორიდა	2,1	4,4	1,9
879	დეტროიტი-ატლანტა	1,2	4,4	5,0
880	ედმონტონი-ანაჰაიმი	1,8	4,4	2,2
881	დალასი-სან ხოსე	1,7	4,4	2,4
882	კოლორადო-სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოექცეული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობების მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რამე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

გათავებული ამბავი გათავებულ ფულზე

ჩვენი ნაკრები პეტერბურგში, რა თქმა უნდა, ვერ წავიდა

საშობაო დღეებში სანქტ-პეტერბურგი მასპინძლებს ალექსანდრ ბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირს, სადაც უკრაინისა და ესტონეთის ნაკრებებთან ერად საქართველოს ეროვნული გუნდიც იყო მიწვეული. როგორ გგონიათ, რა დაუდგებოდა წინ ჩვენებურთა იქ გამგზავრებას? ადვილი მისახვედრია — ფული...

თქვენ ოღონდ ჩამოდითო, იხვეწებოდნენ ყოფილი ლენინგრადელები, დანარჩენს ყველაფერს ჩვენ ვითავებთ, იქითობის ფულსაც გადაგიხდითო.

მეტი რაღა გინდა, დალოცვილო, საევროპოდ მომზადება თუ გსურს, ამაზე კარგ ადგილს სად იპოვი, მწვრთნელ-მოთამაშეებიც გახალისდებიან, იფიქრებენ, ყურადღებას გვაქცევენო და სხვა ეშხით, სხვა შემართებით მიუდგებიან საქმეს.

გათავებული ამბავია, არ არის ეს ოხერი ფული და რა ქნას ფედერაციამაც, საიდან მოიტანოს? თანაც წლის ბოლოა, ფედერაციის ბიუჯეტიც ამოიწურა. წლიური ბალანსიო, აქეთ, იქით... მოდი და აუხსენი ახლა პეტერბურგელებს.

ტურნირი კი მაინც გაიმართება, უქართველებოდ. ჩვენი ეროვნული გუნდის ნაცვლად კი მოსკოვის კლუბთა ნაკრები იბრძოლებს წარსულში უძლიერესი კალათბურთელის, ალექსანდრ ბელოვის სახელობის პრიზისთვის.

თსუ გამაღლდა

გურამ დოლიძეს ფოტო

ვანო აბულაძე

საკალათბურთო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში უშუალო კონკურენტ „ბაკბისთან“ გამარჯვება რომ არა, გასული პირველობის ნახევარფინალისტი თსუ პირველი წრის შემდეგ სულაც ექვსეულის მიღმა აღმოჩნდებოდა. ეს ასე არ მოხდა, ნოდარ ქორქიას საუნივერსიტეტო გუნდმა ბოლო წამს მაინც შეაღწია საპატიო ექვსეულში, თუმც ეტყობა, კლუბის ხელმძღვანელობამ წარუმატებლობად აღიქვა ეს შედეგი და გუნდის გაძლიერებაც განიზრახა.

საქმეში ჩახედულმა ხალხმა კარგად იცის, რომ სტუდენტებს ყველაზე მეტად ცენტრის პოზიციაზე უჭირდათ პირველ წრეში. ამ ამპლუაში ვეტერანი გიორგი ბერუაშვილი ირჯებოდა, რომელსაც ძველებურად აღარ ერჩის ჯანი. ფუნქციით თავდამსხმელი გორა არსიაშვილიც იძულებით თამაშობდა ცენტრზე.

ამიერიდან ეს პრობლემა ნაკლებად შეაწუხებთ უნივერსიტეტელებს. წრეებს შორის შესვენებისას მათ „დინამოს“ ცენტრ ვანო აბულაძეს გაუმართეს მოლაპარაკება და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მეორე წრიდან აბულაძე უკვე თსუ-ს ღირსებას დაიცავს, „დინამო“ იკითხოს...

როგორც თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ მარკოიშვილმა გვითხრა, ისინი მხოლოდ ამ შენაძენით არ შემოიფარგლებიან. კიდევ რამდენიმე კალათბურთელთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, თუმცა მათი ვინაობა არ გაამხილა. ის კი გაგვანდო, ახალწვეული აუცილებლად უკანა ხაზის მოთამაშე იქნებაო, გამთამაშებელი ან მსროლელი.

სხვა მხრივ ახალი არაფერია თსუ-ში. გუნდი ორჯერად ვარჯიშზე გადავიდა და მეორე წრისთვის ემზადება. სტუდენტთა პროგრამა-მინიმუმიც არ უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი. ისინი სულ ცოტა, მიღწეულის გამეორებას შეეცდებიან მეთერთმეტე ეროვნულში.

გიორგი გიკაშვილი

საბერძნეთი

XII ტური

პანათინაიკოსი — ირაკლიონი 86:71, ესპეროსი — არისი 53:68, სპორტინგი — ნიარ ისტი 89:77, პაოკ — პერისტერი 85:74, მარუსი — აეკ 82:87, დაფნი — პანიონიოსი 67:88, ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 82:81

პანათინაიკოსი	12	11	1	902:721	23
აეკ	12	10	2	922:787	22
პაოკ	12	9	3	910:821	21
ოლიმპიაკოსი	12	9	3	860:761	21
ირაკლისი	12	6	6	847:831	18
პერისტერი	12	6	6	874:867	18
მარუსი	12	6	6	826:839	18
პანიონიოსი	12	5	7	864:867	17
ირაკლიონი	12	5	7	857:853	17
ნიარ ისტი	12	5	7	903:980	17
დაფნი	12	4	8	839:957	16
არისი	12	4	8	833:846	16
ესპეროსი	12	2	10	784:960	14
სპორტინგი	12	2	10	782:913	14

ᲕᲘᲓᲔᲝ

„ფიშერის“ უხმარ თხილამურებს და „იუვექსის“ სათვალეს

☎ 69 19 39

ესპანეთი

XVII ტური

ბრეოგანი — კასერესი 82:71, ესტუდიანტესი — კანტაბრია 81:71, ტდკ — ხიხონი 58:57, ფორუმი — ლეონი 66:79, კანარიასი — უნიკახა 79:81, ტაუ — ხირონა 82:63, ბადალონა — ფუენლაბრადა 85:79

კახა სან ფერნანდო 61:70 რეალი

კახა სან ფერნანდო: კორალესი (3), რ. სკოტი (9), სოლანა (15), შუტე (5), ტერნერი (20), დიესი, ფორტეე (2), რომერო (2), სმიტი (5)

რეალი: ა. ანგულო (3), სტრიულენსი, ლ. ანგულო (5), გალეგა (7), ერროსი (25), მიხაილოვი (6), ბ. სკოტი (4), იტურბე (20)

ბარსელონა 84:89 პამესა

ბარსელონა: როდრიგესი (6), გოლდვაიერი (8), დე ლა ფუენტე (2), ალსტონი (17), ელსონი (2), დიგბო (1), გუროვიჩი (18), დუენიასი (8), ნავარო (18), გასოლი (4)

პამესა: ჰოპკინსი (25), ალვარესი (3), ალბერტი, მალუენდა (8), ბერდი (19), როდილია (13), მარკოვიჩი (15), ლუენგო (6)

პამესა	17	14	3	1361:1191	31
სან ფერნანდო	17	12	5	1269:1176	29
ტაუ	17	11	6	1369:1255	28
ბარსელონა	17	11	6	1250:1178	28
ესტუდიანტესი	17	11	6	1266:1206	28
უნიკახა	17	10	7	1184:1146	27
რეალი	17	9	8	1261:1205	26
კანარიასი	17	9	8	1268:1278	26
ხიხონა	17	8	9	1245:1205	25
ბადალონა	17	8	9	1334:1344	25
კასერესი	17	8	9	1240:1276	25
ფორუმი	17	8	9	1167:1207	25
ფუენლაბრადა	17	6	11	1259:1270	23
ტდკ	17	6	11	1153:1208	23
ბრეოგანი	17	6	11	1236:1320	23
ხიხონი	17	6	11	1150:1268	23
ლეონი	17	5	12	1135:1225	22
კანტაბრია	17	5	12	1160:1329	22

რეგულარული ჩემპიონატი

სუსტთა ზეობის დღე



REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — ორლანდო. შარლოტელ ელდენ კემპბელს (№5) ორლანდოელი მაიკლ დოლეკი წამოეპარა

23 დეკემბერი

მინესოტა 109:102 სიეტლი

მინესოტა: ბრენდონი (30 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), სილი (17), შერბიაკი (6), გარნეტი (23 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება), ნესტეროვიჩი (2); სმიტი (18), პილერი (6), მიტჩელი (6), ჰემონდსი (1)

სიეტლი: პეიტონი (33 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ბერი (13), პატერსონი (6), ბეიკერი (24), გრანტი (12 ქულა, 11 მოხსნა); მაქსველი (15), ლუისი (9), ფოსტერი

ზედიზედ მეორე მატჩს აგებს სტუმრად ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსი“ და არც ერთ მათგანში არ მიულია მონაწილეობა, თუნდაც სიმბოლურად, მის ქართველ ცენტრს. სიეტლელთა თავკაცმა „მინესოტასთან“ მხოლოდ რვა კაცი ათამაშა და მათ შორის, ჩვენებური ვერ მოხვდა. სხვათა შორის, „სიეტლის“ მძლეველ „მინესოტას“ სასტარტო ხუთეულში ცენტრად უკვე კარგა ხანია თამაშობს სტეფანიას კბილა [illegible]ოვენიელი რადოსლავ ნესტეროვი[illegible] იგი და სტეფანია ორი წლის წინ ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაშობდნენ ლიუბლიანას „ოლიმპიაში“, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კარიც ერთად შეაღეს. სლოვენიელი რეგულარულად თამაშობს „მინესოტას“ სასტარტო ხუთეულში, რაც ალბათ უფრო იმითაა განპირობებული, რომ „მინესოტას“ ხეირიანი ცენტრი არ ჰყავს. და მაინც, სასიამოვნო იქნებოდა, ქართველიც ასე ხშირად გვეხილა თავისი გუნდის ხუთეულში, მაგრამ იქ ადგილი ჰორას გრანტს აქვს დაჯავშნული. ხუმრობა ხომ არ არის, გრანტის „ორლანდოდან“ გადმოყვანა „სუპერსონიქსს“ ოთხი კალათბურთელის ფასად დაუჯდა. ნესტეროვიჩმა ოცი წუთი ითამაშა... ბედმა არ ისურვა ძველი თანაგუნდელების დაპირისპირება.

სამაგიეროდ, ეს შეხვედრა სხვათა შერკინების სარბიელად იქცა. „მინესოტას“ ჰყავს ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელი ტერელ ბრენდონი, რომელიც ახლა უფერულ სეზონს ატარებს და ის აღარ არის, რაც, თუნდაც შარშანწინ ან შარშან იყო. ბრენდონი ამერიკის იმ ნაკრებშიც მიიწვიეს, რომელსაც შარშანდელ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ეასპარეზა, მაგრამ ნბა-ში იმხანად მიმდინარე ლოკაუტის გამო ათენში ნბა-ელები კი არა, სტუდენტებისა და ევროპაში მოთამაშე ამერიკელებისგან შემდგარი ნაკრები გაემგზავრა. სიდნეის ოლიმპიადისთვის გამზადებულ გუნდში ბრენდონისთვის ადგილი აღარ მოიძებნა, რადგან მას ჩავარდნა აქვს. ასე რომ, ამ ჯეელს ვერ ეღირსა ნაკრების მაისურას მორგება. სამაგიეროდ, ნაკრების, იქაურად „დრიმ-თიმის“, შეუცვლელი წევრია „სიეტლის“ გამთამაშებელი გერი პეიტონი. ამ ორმა პატარა კაცმა ეს თამაში ორთაბრძოლად აქცია. ბევრი სპეციალისტი ამ ჩემპიონატში „მინესოტას“ წარუმატებლობას ბრენდონის უხეირო გარჯას მიაწერეს, მაგრამ ეს არამც და არამც არ ეხება ამ შეხვედრას. „სიეტლთან“ ბრენდონი ბრწყინავდა და მან და პეიტონმა ერთმანეთი გვარიანად აწვალეს. მათ ორთაბრძოლაშიც ალბათ ისევ ბრენდომა თუ იძალა, რადგან მან გუნდის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქულაში დაიდო წილი. ისე ორივემ შეუცვლელად, 48-48 წუთი ითამაშა და მაყურებელს დაუვიწყარი სანახაობა აჩუქა.

ამ შეხვედრაში არამარტო გამთამაშებლები უმტკიცებდნენ ერთმანეთს საკუთარ სიძლიერეს. გუნდების ასევე დრიმთიმელი თავდამსხმელებიც — კევინ გარნეტი და ვინ ბეიკერიც შეებნენ ერთმანეთს. მასპინძელთა გულის გასახარად, პირველმა იმარჯვა. თუ გამთამაშებლებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს, უფრო მსუბუქმა და მოქნილმა გარნეტმა აშკარად დაჩაგრა ძონძროხა ბეიკერი და ამან ბევრადაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

რაც შეეხება თვითონ თამაშს, აქ მასპინძლებმა ძნელად, მაგრამ დამსახურებულად გაიმარჯვეს. როგორც ჩანს, „მინესოტამ“ დაძლია ის მცირე კრიზისი და რვამატჩიანი წაგებების სერიის შემდეგ ზედიზედ მეოთხედაც იმარჯვა.

კლიპერსი 97:91 საკრამენტო

კლიპერსი: ჰადსონი (16 ქულა, 10 პასი)
საკრამენტო: ვებერი (33)

ვანკუვერი 93:91 დენვერი

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (29 ქულა, 13 მოხსნა), დიკერსონი (22)
დენვერი: ლაფრენცი (29 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი 111:91 გოლდენ სტეიტი

პორტლენდი: ვოლესი (20), სმიტი (19)
გოლდენ სტეიტი: სტარჭსი (18), მარშალი (18)

ფინიქსი 110:111 დალასი

ფინიქსი: რობინსონი (30), კიდი (25 ქულა, 15 პასი)
დალასი: ფინლი (33 ქულა, 13 მოხსნა, 13 პასი), ნოვიცკი (24), სებალოსი (21)

სან ანტონიო 91:94 მილუოკი

სან ანტონიო: დანკანი (18 ქულა, 15 მოხსნა)
მილუოკი: კასელი (27), რობინსონი (25)

ჰიუსტონი 105:89 ვაშინგტონი

ჰიუსტონი: კატო (20 ქულა, 12 მოხსნა), მობლი (20)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (18)

ნიუ ჯერსი 99:94 ფილადელფია

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (25 ქულა, 12 მოხსნა), მარბერი (21), კიტლზი (21)
ფილადელფია: აივერსონი (42)

შარლოტი 106:110 ორლანდო

შარლოტი: კოულმენი (20)
ორლანდო: არმსტრონგი (28 ქულა, 10 პასი)

ატლანტა 108:90 კლივლენდი

ატლანტა: რაიდერი (30), მუტომბო (16 ქულა, 21 მოხსნა, 9 დაფარება)
კლივლენდი: კემპი (27)

სუსტთა ზეობის დღე იყო 23 დეკემბერი, ბევრი ძლიერი დაეცა რანგით დაბალ მეტოქესთან ბრძოლაში. ლოს ანჯელესში „საკრამენტო“ „კლიპერსის“ გასამწარებლად ჩავიდა და პირიქით, თვითონ იგემა მარცხი. წინა დღით „კლიპერსს“ ასევე კალიფორნიელი „გოლდენ სტეიტი“ დაემარცხებინა სტუმრად და გამარჯვებადაჭაშნიკებული „საკრამენტოს“ ფრთაშესხმული დახვდა, დაიბრიყვა კიდეც დღესდღეობით მასზე ერთი თავით ძლიერი მეტოქე. მთელი მეორე ტაიმი კუდში მისდევდნენ სტუმრები მასპინძლებს, მაგრამ ხუთ ქულაზე ახლოს ვერ მიუახლოვდნენ.

ასევე შინაური კედლებით ისარგებლა უფხო „ვანკუვერმა“ და „დენვერ ნაგეთსს“ ბასრი კლანჭები გამოუჭინა. შარიფ აბდურ-რაჰიმმა 29 ქულა ჩააგდო და კარიერაში 5-ათასიან ზღვარს გადააბიჯა, რითაც შეიქმნა პირველი ვანკუვერელი, ვინც ეს შეძლო. რა თქმა უნდა, აბდურ-რაჰიმი „გრიზლიზის“ ერთპიროვნული ლიდერი და ერთადერთი ვარსკვლავია. ეს შეხვედრაც, ისევე როგორც ყველა, სხვა თანაგუნდელებზე უკეთ ჩაატარა, მაგრამ „დათვებს“ სულ სხვა კაცმა მოუტანა გამარჯვება. ეს გახლავთ ცენტრი ბრაიან რივზი, რომელიც ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მძიმეწონოსანია, მაგრამ ჭკუა ნაკლებად უჭირს და ამიტომაც მისგან ბევრ ხიფათს, მართალი რომ ითქვას, არავინ ელის. რივზმა მატჩის დამთავრებამდე 5,5 წამით ადრე „ვანკუვერისთვის“ ამ სეზონში მეექვსე გამარჯვების მომტანი ბურთი ჩაადო. უნდა ითქვას, რომ ბრაიანტ რივზს, მეტსახელად „დიდ სოფელს“, ამ შეხვედრაში სულ ხუთი ქულა მოუგროვდა. „დენვერის“ რიგებში საუკეთესომ რიფ ლაფრენცმა 29 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა.

გივანტომმუსვრელის სახელი აქვს დაგდებული „ფინიქს სანზს“. ბევრი ბობოლა გაუმწარებია, მაგრამ მისი რეპუტაცია არად ჩააგდო „დალასმა“ და მცირე სენსაციაც მოახდინა — ფინიქსშივე მოუგო „სანზს“. ამ გუნდებს შორის მჭიდრო სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებია დამყარებული. კლუბები ერთმანეთს ხშირად უცვლიან მოთამაშეებს, რის გამოც ფინიქსელთა ლამის ნახევარი ერთ დროს „დალასის“ წევრი იყო და პირიქით. 1996 წელს გუნდებმა ერთმანეთში გაცვალეს ჯეისონ კიდი და მაიკლ ფინლი, რითაც, საზოგადოდ, „ფინიქსმა“ უფრო იხეირა, მაგრამ ამ შეხვედრაში სხვაგვარად მოხდა. დალასელმა მაიკლ ფინლიმ თავის ყოფილ გუნდს 33 ქულა ჩაუგდო და ამას 13-13 მოხსნა-პასიც მიაყოლა, რითაც სეზონში მეორე, კარიერაში კი მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ფინლიმ ამ სეზონის პირველი სამმაგი დუბლიც „ფინიქსის“ წინააღმდეგ თამაშისას გააკეთა.

ასევე მოულოდნელად დამთავრდა სან ანტონიოში გამართული შეხვედრა. აღმოსავლელი „მილუოკი“ ჩემპიონის ავტორიტეტს არ მოერიდა და „სფურზი“ მისსავე „ალამოდოუმში“ დაამარცხა. ამაში დიდი როლი ითამაშა მასპინძელთა ჭაბუკ-სუპერვარსკვლავის, ტიმ დანკანის არაზუსტმა თამაშმა. მართალია, დანკანი დიდად მონდომებული იყო და ლომივით იბრძოდა, მაგრამ იმ დღეს მას სამიზნე არეოდა და 22 სროლიდან მხოლოდ ექვსი ჩაადო. „მილუოკის“ კი მშვენივრად ისარგებლა ამით და სემ კასელმა და ვლენ რობინსონმა ჩემპიონებს მეორე შინაური მარცხი აგემეს.

მშვენიერ ფორმაშია „შარლოტი“, რომელმაც ბოლო ათი შეხვედრიდან რვაში იმარჯვა და აღმოსავლეთის წამყვანთა მარაქაში სამართლიანადაც დაიმკვიდრა ადგილი, მაგრამ ორიოდ დღის წინ ცუდი ამბავი შეემთხვა — ლიდერმა ელი ჯონსმა იდაყვი იტკინა და რამდენიმე კვირით გამოაკლდა თავისიანებს. ამან უკვე გამოიღო უარყოფითი შედეგი, შარლოტელი „კრაზანები“ შინ დამარცხდნენ „ორლანდოსთან“.

ლომივით იბრძოდა ალენ აივერსონი ნიუ ჯერსიში — ბურთებიც ბლომად ყარა, პერსონალურებიც ჩამოურიგა მეტოქეებს და საჯარიმებიც ოცდან ჩვიდმეტი ჩაადო, სულ კი ერთბაშად 42 ქულა მოუგროვდა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოღონიერებულ „ნიუ ჯერსი ნეთსთან“ მარტო ვერას გახდა. აივერსონს სულ ცოტა დაკლდა, თავისი გუნდისთვის ეს თამაში მოეგებინებინა, მაგრამ ვერ შეძლო და გული იმით მოიოხა, რომ თავისი უგერგილო თანაგუნდელები ცხელ გულზე გემრიელად გამოთათხა.

ირაკლი ფირაშვილი

წყალში გადასტომამდე და ველოსიპედზე ამხედრებამდე

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, ზაფხულის ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში პირველად, დოპინგით გაჭყეპილ ტრიატლონისტებსა და ველოსიპედისტებს დისკვალიფიკაცია ელით მანამ, სანამ ისინი წყალში ჩახტებიან და ველოსიპედს მოახტებიან.

საქმე ისაა, რომ მათთვის სისხლზე ტესტირება საშეჯიბრო ბატალიებამდე, სტარტამდე მოხდება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო ექსპერტის პატრიკ შამაშის თქმით, მათ თავად ველოსპორტისა და ტრიატლონის ფედერაციებმა სთხოვეს, რათა სპორტსმენებისთვის ასპარეზობამდე შეემოწმებინათ წითელი სისხლის უჯრედების დონე, რომელიც შეჯიბრების მსვლელობისას ათლეტის ორგანიზმში მატულობს.

ტესტირების მიზანი სახიფათო წითელი სისხლის უჯრედთა მომმატებელი ნარკოტიკის ერითროპოეთინის გამოყენების შეჩერებაა.

საინტერესოა, რომ ასეთი ტესტირება პირველად 1994 წელს ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სათხილამურო სახეობებში ჩატარდა, ხოლო შემდეგ 1998 წელს ნაგანოში ბიატლონისტები შეამოწმეს სტარტამდე.

ასეთი ტესტირება უფრო ჯანმრთელობას ემსახურება, ვიდრე დოპინგ-კონტროლს, რადგან აკრძალული პრეპარატის მიმღებ სპორტსმენს შეჯიბრებაში არ დაუშვებენ, რაც ისევ და ისევ მის ჯანმრთელობას დაიცავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტესტირების შედეგის მიუხედავად, სპორტსმენს არანაირი სანქცია არ მიესჯება.

— ეს დოპინგტესტი არ არის, რადგან ჩვენ და შესაბამისმა ფედერაციებმა ვამჯობინეთ, რომ სპორტსმენის ჯანმრთელობას გავუფრთხილდეთ — თქვა შამაშმა.

ამგვარი წინასაშეჯიბრო ტესტირება წინადადებად [illegible] ხაროა, [illegible] ასეთი [illegible] ლა [illegible] ბაზეზე [illegible] ერ [illegible] ფინასწარ ტესტირებაზე ჯერჯერობით თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციაც გამოიჩენს ინტერესს.

— რაც შეეხება ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას, მან ასეთი ტესტირების თაობაზე სურვილი დიდი ხნის წინათ განაცხადა, ხოლო ტრიატლონისამ — ორი თვის წინათ.

გიგა გურასაშვილი

შროშამ შეაქმნა ლაპენტი

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჩოგბურთის ნამდვილი ექსპერტები თუ იცნობდნენ 22 წლის შავგრემან ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის. მათი უმეტესობა ამ სახელის ხსენებაზე მხოლოდ მხრებს თუ აიჩეჩდა და იკითხავდა, ეგ რომელია, იუნიორებში ყველაფერს რომ იგებდა და მერე სიხარმაცით თავი დაიღუბაო?

მაგრამ ერთ წელს შეუძლია ძალიან ბევრი რამ შეცვალოს და ახლა, 12 თვის შემდეგ, „მაუგლი“ კარგა ხნის ამოსულ ვარსკვლავად და ჩოგბურთის ახალ სექს-სიმბოლოდ ითვლება, რომელსაც თანაბარი ერთგულებით ქომაგობს მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მთელი არმია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ფრანგულ ჟურნალ „ტენისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლაპენტი ქართველი კოლეგებისთვის კარგად ნაცნობ ფინანსურ პრობლემებზე, იღბალზე, თავის კერპ ანდრეს გომესსა და არანაკლებ ნიჭიერ ძმა ჯოვანიზე საუბრობს.

ლაპენტი შტურვალთან

ნიკოლას ლაპენტი: ბავშვობა და ყრმობა

ა, ტალანტი: ნიკოლასი და იანიკ ნოა

— სულ რაღაც რამდენიმე თვეში ყველასათვის უცნობი ჩოგბურთელი მსოფლიოს მერვე ჩოგანი გახდით. ამ სეზონის დასაწყისში თავად თუ ოცნებობდით მსგავს წარმატებაზე?

— გასული სეზონის ბოლოს ეკვადორში პრესკონფერენცია მოვიწვიე და იქ მყოფ ჟურნალისტებს განვუცხადე, ამ წლის ბოლოს საუკეთესოთა ოცეულში მოხვედრას ვაპირებ-მეთქი. ეს ამბიციური გეგმა იყო და სიმართლე გითხრათ, არცთუ რეალური, რადგან 1998-ში თავი ბევრით არაფრით გამომჩენია. სინამდვილეში იმ სეზონით ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ლამის საუკეთესოთა ასეულიდანაც კი გავვარდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნიჭს ტყუილუბრალოდ ვფლანგავდი, უმაღლეს დონეზე წარმატებების მისაღწევად მთელ ჩემს ძალას არ ვიყენებდი. ვიცოდი, რომ დიდი პოტენციალი მქონდა, მაგრამ...

— რატომ ვერ იყენებდით?

— იმიტომ, რომ საკმარისად არ ვშრომობდი. 1998-ის იმედგამაცრუებელმა სეზონმა მიჩვენა, რომ გამოღვიძების დრო იყო. ასე რომ გაგრძელებულიყო, სხვა სამუშაო უნდა მეძებნა. მე არასაკმარისად პროფესიონალურად ვიქცეოდი, ყველაფერი ფეხებზე მეკიდა.

— იქნებ სტიმული არ გქონდათ?

— ასეც შეიძლება ითქვას. სულაც არ მსურდა, ჩოგბურთის მწვერვალების დასაპყრობად თავდაუზოგავად მეშრომა. მეგონა, რომ ჩემი ნიჭითაც იოლად მოვახერხებდი ფონს გასვლას. ეს არასწორი შეხედულება იყო, პროფესიონალურ სარბიელზე უამრავი ნიჭიერი ჩოგბურთელია. ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, მაგრამ რაიმეს მიღწევა თუ გინდა, უნდა იშრომო. როგორც უკვე ვთქვი, არასაკმარისად პროფესიონალურად ვიქცეოდი, როგორც კორტზე, ისე მის მიღმა. ვარჯიშებისას საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი არ ვიყავი, ისედაც მსუბუქ ცხოვრებას ვეწეოდი.

— რას გულისხმობთ მსუბუქ ცხოვრებაში?

— მაგალითად, ძალიან გვიან ვწვებოდი და ძილის საათებს ვიკლებდი, შემდეგ კი მატჩებს დაღლილობის გამო ვაგებდი. გარდა ამისა, ყურადღებას არ ვაქცევდი კვებას. ისეთ რამეებს ვჭამდი, რაც პროფესიონალი სპორტსმენის რაციონში არ უნდა იყოს. ვსვამდი გაზიან სასმელებს, მივირთმევდი შემწვარ-მოხრაკულს. ფიზიკურად სუსტი ვიყავი და თუ მატჩები ჩვეულებრივზე მეტხანს გრძელდებოდა, დატვირთვას ვეღარ ვუძლებდი.

— როდის მიხვდით, რომ დროს ტყუილუბრალოდ ხარჯავდით, როდის გადაწყვიტეთ ცხოვრების წესის შეცვლა?

— გასული წლის ბოლოს გადავწყვიტე, მცირე შვებულება ამეღო. დეკემბერში ჩილეში, სანტიაგოში წავედი, სადაც ჩემი მწვრთნელი პატო როდრიგესი ცხოვრობს. სამი კვირის მანძილზე მასთან და ფიზმწვრთნელ კარლოს არანდასთან ერთად ძალიან ბევრი ვიმუშავე, მთლიანად დავიხარჯე, რასაც ადრე არასოდეს ვაკეთებდი. წონაში რამდენიმე ზედმეტი კილო დავიკლე, ბევრი ვირბინე და ფიზიკურად შესამჩნევად მოვძლიერდი.

— ფიზიკური ასპექტის გარდა, ტექნიკური მხრივ 1999-ის დასაწყისში არაფერი შეგიცვლიათ?

— გასული წლის ბოლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე — ჩოგანი შევიცვალე. ნოემბერში მეხიკოსა და ბოგოტის ტურნირებზე, სადაც ადრე წარმატებით ვთამაშობდი, პირველივე წრეში წავაგე. შინ დაბრუნებული საშინელ ხასიათზე ვიყავი, არაფერი მიხაროდა. სწორედ მაშინ შემომთავაზეს ახალი ჩოგნის გასინჯვა (Babolat Pure Drive). სამი დღე ვივარჯიშე და სანტიაგოს ტურნირზე კარლოს კოსტას და გუსტავო კუერტენს მოვუგე. ეს ჩოგანი ძალიან დამეხმარა.

— ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გასვლით ყველა გააოცეთ. თავად არ გაგიკვირდათ?

— მერე როგორ! ჩილეში მოსამზადებული პერიოდის შემდეგ არ ვიცოდი, რა დონეზე ვიმყოფებოდი და უცებ ნახევარფინალში გავედი. ძალიან გამიმართლა, რადგან პირველივე წრეში ტომას იოჰანსონთან ორი მატჩ-პოინტის გადარჩენა მომიხდა. ხანდახან ვფიქრობ, სალ ვიქნებოდი, ის ორი ქულა რომ არ მომეგო-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, საუკეთესოთა ათეულში არა (იცინის). მელბურნში მივხვდი, რომ იმდენ ვარჯიშს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია — იქ ოთხი მატჩი მოვიგე ხუთ სეტში (იოჰანსონთან, მაგნუს ნორმანთან, მიქაელ ტილსტრომთან და კარლ კუჩერასთან), არადა, ადრე ერთსაც ვერ ვიგებდი.

— იმ ტურნირიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

— მეოთხედფინალი კუჩერასთან. იმხელა კორტზე თანაც ღამით, არასოდეს მეთამაშა და მეხუთე სეტში 8:6 მოვიგე. თუმცა დაღლილობის გამო მერე ენკვისტთან არაფრის თავი აღარ მქონდა.

— აგვისტოში ინდიანაპოლისში კარიერის მეორე ტურნირი მოიგეთ პირველიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, ტიტულის მოპოვებამ შვება არ მოგგვარათ?

— კი, რადგან ინტერვალი დრო ძალიან გამიგრძელდა. ბოგოტაში პირველი ტურნირი თითქმის შემთხვევით მოვიგე. ეს ჩემი დებიუტი იყო ATP ტურზე, ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოვხვდი და სასწაულებრივად ფინალშიც გავედი. ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო, უპირველესად კი ჩემთვის. ახლა, როდესაც ჩემს სახელს კლასიფიკაციაში ასე მაღლა ვხედავ, ვერც კი ვიჯერებ, ასეთ უეცარ წარმატებას არ ველოდი.

— წინა ეკვადორელი ჩემპიონი ანდრეს გომესი იყო, როლან გაროსის 1990 წლის გამარჯვებული. ვინ არის იგი თქვენთვის?

— სამაგალითო პიროვნება. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. დედაჩემის გვარი გომესია და იგი ანდრესის ოჯახს ენათესავება. ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ, მაგრამ ეს ასეა. ანდრესს დიდი ხანია, ვიცნობ, ბავშვობაში კერპად მიმაჩნდა. ისიც გუაიაკილში ცხოვრობს. 15 წლის ვიყავი, დევისის თასზე მის გვერდით რომ ვითამაშე. ისე ვნერვიულობდი, ჩოგანს ხელში ვერ ვიჭერდი.

— გახსოვთ ის დღე, როდესაც მან როლან გაროსი მოიგო?

— ამას რა დამავიწყებს! ფინალს შინ ვუყურებდი და მოულოდნელად საშინელი რამ მოხდა — მატჩი შეწყვიტეს, რათა საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატიდან რეპორტაჟი ეჩვენებინათ, სატელევიზიო არხს თურმე ამას კონტრაქტი ავალდებულებდა. კინალამ გავგიჟდი, უფრო სწორად, კინალამ ყველა გაგიჟდა. ფეხბურთს იმიტომ ვუყურე, რომ ეკრანზე აგასი-გომესის მატჩის შედეგები იწერებოდა. საბედნიეროდ, ბოლო რამდენიმე წუთს ისევ ჩოგბურთი ჩართეს, ეს დაუჯერებელი ისტორიაა.

— რა იგრძენით მაშინ?

— ჟრუანტელმა დამიარა. ჩემი ოჯახის ყველა წევრი ტიროდა. მე არ მტირია, მაგრამ თვალები ამიცრემლდა. როდესაც ანდრესი უკან დაბრუნდა, აეროპორტში ათასობით ადამიანი ელოდა. იმ დღეს მასთან ერთად გადაღებული სურათები ახლაც მიკიდია კედელზე.

— გომესი თქვენი ერთადერთი კერპი იყო?

— არა, ივან ლენდლს ვაღმერთებდი. მინდოდა, თითოეული მატჩი მოეგო, რა თქმა უნდა, თუ გომესს არ ხვდებოდა (იცინის). ლენდლის რკინის ნებისყოფას ვაფასებდი, ის არასოდეს ნებდებოდა და ყოველთვის სწამდა გამარჯვების. ეს კი ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

— თქვენი გვარი იტალიურად ჟღერს, წარმოშობით იქიდან ხართ?

— დიახ. ბაბუაჩემი მამაჩემის მხრიდან ეკვადორში ემიგრირებული იტალიელი იყო. სინამდვილეში ჩემი გვარი ლა პენტაა. ბაბუამ ის გააერთიანა და ლაპენტიდ გადააკეთა.

— ჩოგბურთის თამაში რამხელამ დაიწყეთ?

— ექვსი წლისამ. პირველად სათამაშოდ მამაჩემმა წამიყვანა, ის ჩემი მეწყვილე იყო. ჩოგბურთი სულ უფრო და უფრო მომწონდა, მალე საჩოგბურთო გაკვეთილებიც ჩამიტარეს და...

— მაშინვე წარმატებებს მიაღწიეთ?

— ეკვადორში ასაკობრივ კატეგორიაში ყოველთვის პირველი ვიყავი. მერე თანდათან საერთაშორისო სარბიელზე გადავინაცვლე, „ორანჯ ბოული“ (არაოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორებში) მოვიგე, როლან გაროსსა და აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გავედი და პროფესიონალიც გავხდი. აქ ჩემი პროგრესი შენელდა, თუმცა ამაზე უკვე ვისაუბრეთ.

— დავუბრუნდეთ თქვენს ოჯახს. მამათქვენს ეკვადორში თურმე მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია...

— იგი ცნობილი პოლიტიკოსია, გუაიასის პროვინციის პრეფექტია, რომელშიც გუაიაკილიც შედის. მანამდე, ექვსი წლის მანძილზე, მამა კონგრესის დეპუტატი იყო. მაშინ კიტოში, დედაქალაქში ვცხოვრობდით. 1992-ში პრეფექტად აირჩიეს, მერე ერთხელაც — 1996-ში. ვადა გაისად გაუდის.

— პრივილეგირებული ბავშვობა გქონდათ...

— პრივილეგირებული არა, მაგრამ ძალიან ბედნიერი კი — ყოველთვის კარგ სოლებში, მშვენიერ საჩოგბურთო კლუბში დავდიოდი. თუმცა პროფესიონალი რომ გავხდი, ფინანსურად მეც გამიჭირდა — ფედერაციას ფული თითქმის არ ჰქონდა. ეკვადორში ძალიან ცოტა კორტია, არც წესიერი ეკიპირება მოიძებნება. ვიცი, რომ ჩემი ქვეყანა ამჟამადაც ეკონომიკურ კრიზისშია და მიხარია, რომ კარგი შედეგებიც ძაინც ვასიამოვნებ ხალხს.

— თქვენი უმცროსი ძმა ჯოვანიც არანაკლებ ნიჭიერი ჩოგბურთელი ჩანს. რა თვისებებით გამოირჩევა ის?

— პირველ ყოვლისა, უკვე ორი სანტიმეტრით გამასწრო სიმაღლეში (იცინის). მას შეუძლია, დიდი ჩოგბურთელი გახდეს, ძალიან ნიჭიერია და ჩემგან სრულიად განსხვავდება. თუ მე მშვიდი ვარ, ის ძალიან აზარტული, ნერვიულია, თამაშის სტილითაც გაცილებით აგრესიული. ცოტა ფიზიკურად გაძლიერება არ აწყენდა, იუმცა ამისთვის დრო ბევრი აქვს, ის მხოლოდ 16 წლისაა. მან უამრავი საერთაშორისო ტურნირი მოიგო და უკვე დევისის თასზეც კი ასპარეზობს (ერთი კვირის წინ ჯოვანი ლაპენტიმ 16-წლიანთა „ორანჯ ბოული“ მოიგო).

— თქვენი აზრით, თქვენ გჯობნით?

— მისი კბილა რომ ვიყავი, ასე კარგად ნამდვილად ვერ ვთამაშობდი, მაგრამ კორტზე ზოგჯერ გიჟივით იქცევა. ცოტა უნდა დასერიოზულდეს.

— ვინ არის თქვენი უახლოესი მეგობარი ჩოგბურთელთა შორის?

— გუსტავო კუერტენი, ასევე კარლოს მოია და რამონ დელგადო. საერთოდ, ყველა ესპანურენოვან კოლეგასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— მარსელო რიოსთანაც კი?

— (იცინის). მასთან ურთიერთობა ჩვენთვის, სამხრეთამერიკელებისთვისაც კი არ არის იოლი. მას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, თუმცა ბოლო ორი წელია, უკეთესობისკენ შეიცვალა.

— კორტს გარეთ რით ერთობით?

— ძალიან მიყვარს გოლფის თამაში, როგორც წესი, სანაძლეოზე. გარდა ამისა, გატაცებული ვარ ინტერნეტით. საათობით ვზივარ კომპიუტერთან.

— გუსტავო კუერტენი დიდ პატივში ჰყავთ ბრაზილიელ ჟურნალისტებს, რომლებიც მას თითქმის ყველგან უკან დაჰყვებიან. ეკვადორში თქვენც ასეთივე „რეჟიმში“ ხართ?

— დიახ, სამხრეთ ამერიკაში ყველა ძალიან ემოციურია. მელბურნიდან შინ რომ დავბრუნდი, აეროპორტში ჟურნალისტების მთელი ჯგრო მელოდა. ეკვადორს არ ჰყავს ბევრი მალალი დონის სპორტსმენი, ამიტომ მცირე წარმატებასაც კი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებენ და აზიადებენ. არ ვიცი, რა მოხდება, ერთ დღეს დიდი სლემის ტურნირი რომ მოვიგო.

თარგმნა ავთანდილ სვანიძემ

ქართველები საფრანგეთში

კლოდ სორელმა ქართული ლეგიონი შეკრიბა



ბადრი კეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი და ზაზა ქასაშვილი

ქართულ სარაგბო თემს ახალი წლიდან ახალი საზრუნავი გაუჩნდება — ჩვენი ნაკრები ექვსი ერის პირველობაზე იასპარეზებს. მართალია, B ჯგუფში გამოვა, მაგრამ რას იზამ... გუნდები ჯგუფებში რეიტინგის მიხედვით გაანაწილეს. ჩვენს ბიჭებს კი ყველაფერი წინ აქვთ. რეიტინგის ამაღლებაც შეიძლება და მყარი რეპუტაციის დამკვიდრებაც, თუმცა თავიდათავი ისევ მონდომება და გამარჯვების სურვილია.

ახლახან დამთავრებულ შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასის მეორე ტურნირში საქართველოს ნაკრებს ძირითადად უცხოეთში მოთამაშე ლეგიონენერები შეადგენდნენ. ჩვენი მორაგბეები მრავლად თამაშობენ საფრანგეთის კლუბებში, სადაც მათ, სამშობლოსგან განსხვავებით, მშვენიერი საკარჯიშო და საცხოვრებელი პირობები აქვთ. შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი ექვსი ერის პირველობაზე სანაკრებო კანდიდატებს ისევ ლეგიონერებიდან შეარჩევს. სწორედ მათ შესახებ გავესაუბრეთ ტელეფონით საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ **ზაზა ქასაშვილს**, რომელიც პარიზში ცხოვრობს და საქმიანობს.

— ბატონო ზაზა, როგორ ცხოვრობენ ჩვენი ლეგიონერები?

— რა თქმა უნდა, მშვენივრად. საქართველოში რომ არ ჰქონდათ ნორმალური პირობები, ამიტომაც წამოვიყვანეთ საფრანგეთში.

— როგორ მიიღეს ჩვენი ბიჭები ფრანგულ გუნდებში?

— კარგად, სხვა საკითხია, რომ ფრანგული კლუბების ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვება ძალიან ჭირს. მოგეხსენებათ, ამ ქვეყანაში რაგბი უმაღლეს დონეზეა და შესაბამისად გუნდებიც მაღალი კლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ბიჭებს ნორმალურად ევარჯიშათ და სანაკრებოდ მომზადებულიყვნენ. თუმცა ლეგიონერების ერთმა ნაწილმა უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი უმაღლეს ლიგასა და მეორე და მესამე დივიზიონებში.

— საქართველოსა და საფრანგეთის პირველობათა შედარება, ცხადია, არც შეიძლება, მაგრამ მაინც...

— დღესდღეობით ქართული რაგბის დონე საფრანგეთის მეორე-მესამე დივიზიონებისას ეფარდება. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ უჭირთ ჩვენს ბიჭებს აქაურ კლუბებში დამკვიდრება. მე უმაღლესი დივიზიონი მაქვს მხედველობაში, თუმც გამონაკლისებიც არიან, მაგალითად, ლევან ცაბაძე, რომელიც უმაღლესი ლიგის „ელიტ 1“-ის გუნდ „კასტრში“ თამაშობს და მუდმივად ძირიად შემადგენლობაშია. ვანო ნადირაძეც „ელიტ 1“-ის „პერიგო“-ს წამყვანი მოთამაშეა. „ელიტ 2“-ის „ბეზიეში“ არიან ვოდერძი შვილიძე და სანდრო ესაკია, ამავე გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში ირიცხებიან ბესიკ ხამაშურიძე და ვასილ კაცაძე.

— საფრანგეთში სხვა ქართველი მორაგბეები არ თამაშობენ?

— როგორ არა, მაღალი რანგის კლუბებში არიან შავლეგ ჯანელიძე, სოსო ნიკოლაენკო, ზაზა ლეჟავა, კახა კობახიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, მევლუდ მთიულიშვილი. მევლუდმა ხერხემალზე გაიკეთა ოპერაცია და ჯერ არ თამაშობს. მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ დრო ადგილის დასამკვიდრებლად და საკმაო მუშაობაც მოუწევთ საამისოდ. თუმცა, გავიმეორებ, ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ ბიჭები ნორმალურ პირობებში ვარჯიშობენ. ეგაა, ადგილს რომ მოიპოვებენ ძირითად შემადგენლობაში, მერე პრობლემაც იქნება მათი ნაკრებში წამოყვანა.

უფრო დაბალ ლიგებში ასპარეზობენ ბოლღაშვილი, მოდებაძე, ზედგინიძე, ლაბაძე, ვართანიანი, დიდებულიძე, მჭედლიშვილი და აბუსერიძე.

— კლოდ სორელს როგორი ურთიერთობა აქვს მორაგბეებთან?

— ძალიან კარგი. უფრო სწორად, მეგობრული. ხშირად ესწრება ბიჭების მატჩებს და სულ მგზავრობაშია. ჩვენი ლეგიონერები ხომ სხვადასხვა გუნდებში თამაშობენ. ახლაც, ჩვენი საუბრისას, ვიცი, რომ რამდენიმე ქართველ მორაგბესთან ერთად ზის მანქანაში და ლევან ცაბაძის თამაშის სანახავად მიემგზავრება.

— ნაკრების წევრები როგორ შეირჩევიან? მიიწვევს კლოდ სორელი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზეებს?

— ძირითადი აქცენტი ალბათ ლეგიონერებზე გაკეთდება, თუმცა სორელი იანვრის დასაწყისში თბილისში ჩამოვა მორაგბეების სანახავად. ჩემი აზრით, ძირითადი პრობლემა მაინც მორაგბეების ფიზიკური მომზადებაა. თბილისში კი ეს საქმე კარგად ვერაა აწყობილი. კლოდ სორელმა ამას წინათ საფრანგეთში მოთამაშე ჩვენებურების შეკრება მოაწყო ქალაქ გრან დე მოტში ფიზიკური ტესტების ჩასატარებლად. ნაკრებიც ამის მიხედვით ჩამოყალიბდება.

— ტესტების შედეგები როგორი იყო?

— ტესტების მთავარი მიზანი გარკვეული დროისთვის მორაგბის ფიზიკური შესაძლებლობების სრული მობილიზება და საუკეთესო ფორმაში ყოფნაა, პირველი ორიენტირი ალბათ იტალიასთან გასამართი ტესტ-მატჩი იქნება.

ზაზა ბენიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ტონგელებთან შეხვედრების მერე მალხაზ ურჯუკაშვილიც (ბურთით) ფრანგულ ლეგიონს შეუერთდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

წავალთ თუ ვერა?.. ზაზა დოლიძე და მისი შეგირდები

უფულობის სამკუთხედი

საქართველოს ნაკრები 50 000 ლარიანი უფსკრულის პირას

„ექვს იანვარს შვეიცარიასთან პირველი მატჩია. ოთხში თბილისიდან უნდა გავფრინდეთ, ფული კი არ გვაქვს“ — გვითხრა ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალეკო კიკაბიძემ და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების გასაჭირზე დაწვრილებით გვესაუბრა.

შეგხვდით ჩვენს პრეზიდენტ თენგიზ გაზდელიანს, სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანს, მაგრამ ყველასგან ერთი პასუხი მივიღეთ — წლის ბოლოა, ფული არა გვაქვს და ვერ დაგეხმრაებითო. ასათიანი გვპირდება, ფინანსთა სამინისტრომ თუ დაგვაფინანსა, მეორე დღესვე მოგცემთ თანხასო. მან ისიც გვითხრა, სამინისტრო გვატყუებს, ყოველ მეორე დღეს გვიბარებს, მაგრამ ხელი არაფერი. ბოლოს, ყოველდღიურად 20 ათასის გამოყოფასაც შეგვპირდნენ, მაგრამ ამასაც ვერ ასრულებენო, მთავრობას ვაჟთა ნაკრების შენახვას ვთხოვთ, ამის ფული მაინც გამოგვიძებნონ, თორემ ჩემპიონატს ქალებშიც, კაცებშიც, ბავშვებშიც უსასყიდლოდ ვატარებთ. ნაკრების წევრები მაინც ვარჯიშობენ. ლეგიონერებიც ჩამოვიყვანეთ ჩვენივე ხარჯებით. სპონსორობა ნაცნობ-მეგობრებმა გაგვიწიეს. გამათბობელი დეპარტამენტმა მოგვაქირავა, ერთი ტონა დიზელის საწვავი ვიყიდეთ და ხვალიდან ჩავრთავთ, მაგრამ გეკითხებით — დეპარტამენტს რატომ უნდა მოექირავებინა?

სამგზავრო თადარიგი უკვე დავიჭირეთ. შვეიცარია-ისრაელში წასასვლელად სავიზო პრობლემები თითქმის მოგვარებულია. რომ ვერ წავიდეთ, ამ საქმეში დახარჯული ფული ხომ იკარგება, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ჩაუსვლელობის შემთხვევაში ევროპის ხელბურთის ფედერაცია სამწლიანი დისკვალიფიკაციით და ფინანსური სანქციით დაგვსჯის, ეს კი ხელბურთის წინსვლას საქართველოში დაახლოებით ათი წლით შეაფერხებს. არადა, ახლა ევროპის 20 საუკეთესო გუნდში ვართ მოხვედრილნი. ამ მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრისას საქართველო წინდაწინ იყო განთესილი ჯგუფში. მოპოვებულ ავტორიტეტს ხომ დავკარგავთ, დაახლოებით 30-40 ათასი დოლარითაც დაგვაჯარიმებენ. ახლა 50 ათასი ლარი გვჭირდება. თუ დისკვალიფიკაცია მივიღეთ, მისი დასრულების მერე ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს. თავიდან უნდა გავიაროთ უკვე განვლილი შესარჩევი ეტაპები. ამ დონეს რომ ხელახლა მივაღწიოთ, უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე მისი შენარჩუნება.

ვთქვათ, ბიჭებმა სასწაული მოახდინეს და პლეი ოფში გავედით, მაშინ რა ვქნათ? ვიცი, ფულის საშოვნელად ისევე ვიწვალებთ, როგორც დღეს“ — ალბათ ალეკო კიკაბიძის გულისტკივილით ნათქვამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება, მკითხველს კი განვუმარტავ, რომ საუბარია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე. ამ ზაფხულს, ეგვიპტეში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებულმა წილისყრამ მეტოქეებად ჩვენგან ერთხელ უკვე ძლეული შვეიცარია, ისრაელი და ჩვენსავით ევროპული პლეი ოფიდან დაფრენილი ბელარუსი გვარგუნა. მატჩები მიმოსვლით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ბელარუსებმა ფინანსური მოსაზრებით ყველა თამაშის სტუმრად ჩატარება არჩიეს. ეს კი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების მეტ შანსს გვაძლევდა, რაც პლეი ოფში გასვლას ნიშნავდა, თუმცა კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ისე დაგვემართა — უფულობამ ქართველებიც აიძულა ყოფილ თანამოძმეთათვის მიებაძათ და მასპინძლობის პატივი მეტოქეებისთვის გადაელოცათ. თანაც, ზემდგომთა თანხმობის მისაღებად დიდი მარიფათისა და ფხის გამოჩენა დასჭირდათ. 6 და 8 იანვარს შვეიცარიას უნდა შევხვდეთ, 13-15-ში — ისრაელს, ხოლო 21-23-ში ბელარუსს ვუმასპინძლებთ, თუ... მოვახერხეთ. თუ სტუმრებს ღირსეულად ვერ დავხვდით (რაშიც უპირველესად სარბიელის, ანუ ამ შემთხვევაში სპორტის სასახლის გათბობა იგულისხმება), შეუძლიათ, ევროპის ხელბურთის ფედერაციაში გვიჩივლონ და ჩვენი თავი დასჯევინონ. თუმცა იქამდე გრძელი გზაა, უფულო და სარისკო. გზა, რომელმაც შეიძლება დისკვალიფიკაციაზე გაიაროს.

კიკაბიძემ ესეც თქვა, ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, კონტინენტისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები იანვარში ჩაატარონო. გამოდის, მათში მონაწილეობა ვერ უნდა მივიღოთ, ანაც ასეთი წვალებით?

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო სალუქვაძე

რაფაელ ჩიმიშკიანი, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი და დავით ციმაკურიძე

ჯანო ბაგრატიონი

პირველი ათიანებზე ფიქრობს

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზი. ხილით, ნამცხვრით, ტკბილი სასმელებითა და შამპანურით გაწყობილი კოხტა სუფრა, ქართული სპორტის თავკაცები, ჭარმაგი და მოქმედი სპორტმენები, ჟურნალისტები და, რა თქმა უნდა, მასპინძელი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მისი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. მრავლისმნახველ სარკეებიან დარბაზში ამ ხალხს ერთად შეკრების მეტად საპატიო მიზეზი ჰქონდა. წლის დასასრულს სეოკ-ი, ტრადიციისამებრ, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს ათ საუკეთესო სპორტსმენს ასახელებს. ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა.

მაშ ასე, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 1999 წლის საუკეთესო სპორტსმენად ტვიის მსროლელი **ნინო სალუქვაძე** დაასახელა.

საუკეთესო ათეულში კი (ანბანის მიხედვით) ეს სპორტსმენები მოხვდნენ:

გიორგი ასანიძე (ძალოსნობა)

ემზარ ბედინეიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

მუხრან გოგია (ძალოსნობა)

ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

ტარიელ მელელაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო)

ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა)

ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)

რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა)

რჩეულ ათ საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების შემდეგ ჯანო ბაგრატიონმა წლევანდელი 18 ოქტომბერი, სეოკ-ის შექმნის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია გაიხსენა. საზოგადოებას ისიც შეახსენა, რომ ამ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენებითა და მედლებით ის ხალხი დაჯილდოვა, რომლებმაც სეოკ-ის დაარსებაში ლომის წილი დიდეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძის თხოვნით, ლაურეატები დღეს მოვიწვიეთ და ჯილდოები ახლა უნდა გადავცეთ.

„საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებაში, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა განვითარებაში, ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ოლიმპიური მოძრაობის აქტიური მონაწილენი დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით: ემზარ ზენაიშვილი, ვაჟა კაჭარავა, დავით კინწურაშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ივანე ყიფიანი, გიორგი შხვაცაბაია, ავთანდილ ციბაძე.

ღირსების მედლით: რუსუდან აფციაური, თამარ ბალავაძე, ნინო გოგუაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თეიმურაზ თედიაშვილი, თამაზ თევზაძე, დავით კაკაბაძე, დავით კილასონია, რომან კირვალიძე, თამაზ მიგრიაული, რევაზ რობაქიძე, დავით სულაქველიძე, მამუკა ფაჩუაგშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, ტატიანა წერეთელი, თემურ ხმალაძე.

ამის მერე კი იყო ურთიერთ მოკითხვა, მილოცვა, ძველის გახსენება და მომავლის იმედზე ლაპარაკი. ცხადია, ყურადღების ცენტრში ნინო სალუქვაძე მოქცეულიყო. ნინომ ორიოდ წუთით ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა და ცოტა დაბნეულმა და გახარებულმა ეს გვითხრა:

— სხვათაგან გამორჩევა ყოველივის სასიამოვნოა, დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, წლევანდელ სეზონში თუნდაც ერთი მსოფლიოს ჩემპიონი რომ გვყოლოდა. ამას ჩვენს მოჭიდაველებზე ვამბობ. ამ ბიჭებს სავარჯიშოდ და ტურნირებისთვის მოსამზადებლად სათანადო პირობები რომ ჰქონდეთ, მერწმუნეთ, დაუმარცხებელნი იქნებიან.

— ნინო, თქვენი წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელება, ალბათ, მსოფლიოს თასის მოგებამ განაპირობა.

— რა თქმა უნდა, მსოფლიოს თასი მართლაც პრესტიჟული ჯილდოა, თუმცა არც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი გახლდათ იოლად მოსაგები. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩემი მიზანი და ოცნება მაინც სიდნეის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლაა. იმედია, ავსტრალიაში ათიანებში მოვარტყამ.

მანჩესტერ იუნაიტედმა ოლიმპიური სკანდალიც დაამარცხა

იწურება წლევანდელი წელი და ეს საუკუნეც, ამიტომ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები, ფედერაციები თუ ორგანიზაციები, ეროვნული თუ საერთაშორისო, აწყობენ ათასგვარ რეფერენდუმებს, რომელთა შედეგებს ჩვენი მკითხველიც ეცნობა. ერთი ასეთი გამოკითხვა მოაწყო „ასოშეიტედ პრესმა". მან გამოკითხვის შედეგად გამოავლინა 1999 წლის ათი უდიდესი სპორტული მოვლენა. მათ შორის უპირველესად მიიჩნია ინგლისის ფეხბურთელთა გუნდ „მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ ოთხი ტიტულის (გამარჯვებები ინგლისის ასოციაციის თასზე, ინგლისის ჩემპიონატში, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში და საკონტინენტთაშორისო თასზე) მოპოვება — 272 ქულა.

უდიდეს სპორტულ მოვლენათა შორის 237 ქულით მეორე ადგილზე გავიდა აღებ-მიცემობაზე ოლიმპიური სკანდალი. დანარჩენი მოვლენები მანჩესტერელთა ტრიუმფსა და ოლიმპიურ სკანდალს მნიშვნელოვნად ჩამორჩა.

შემდეგ მოდის:

400 მეტრზე რბენაში ამერიკელი მაიკლ ჯონსონის მსოფლიოს რეკორდი — 158 ქულა.

4. ამერიკელი მორის გრინის მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში — 156.

5. ამერიკელი კალათბურთელის მაიკლ ჯორდანის სპორტული კარიერის დასასრული — 152.

6. ფინელი მიკა ჰაკინენის გამარჯვება ფორმულა 1-ის ჩემპიონატში — 151.

7. ინგლისელი მოკრივის ლენოქს ლუისის აბსოლუტური ჩემპიონობა — 143.

8. ამერიკელი ველომრბოლის ლანს არმსტრონგის გამარჯვება „ტურ დე ფრანსის" რბოლაში — 141.

9. გერმანელი ჩოგბურთელი შტეფი გრაფის სპორტული კარიერის დასასრული — 97.

10. ამერიკელი ჩოგბურთელის ანდრე აგასის მიერ კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაბრუნება — 82.



კუბერტენი და პელე ერთ გუნდში

მსოფლიოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა რჩეული გამოდგა ბრაზილიელი ფეხბურთის მეფე პელე, რომელსაც საუკუნის სპორტსმენის ტიტული ებოძა, თუმცა მას არასდროს მიუღია მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში მაშინ, როდესაც დანარჩენ ოთხეულს, იქ თავი ფრიად გამოუჩენია ეოკთა რჩეული მომდევნო ხუთეულში ოთხი ამერიკელია. მათგან მეორე ადგილზე გავიდა მოკრივე მუჰამედ ალი, რომელიც 1960 წელს ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მერე კი პროფესიული რინგის უდიდესი ვარსკვლავი.

მუჰამედ ალის მოჰყვება მძლეოსანი კარლ ლუისი, რომელმაც 1984-96 წლებში ცხრა ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

მეოთხე ადგილზე გავიდა კალიბურთელი მაიკლ ჯორდანი, ვინც ოლიმპიური ჩემპიონობა 1992 წელს ბარსელონაში „ოცნების გუნდის" წევრებთან ერთად მოიპოვა.

მეხუთე ადგილი წილად ხვდა მარკ სპიტს, რომელიც 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ერთბაშად შვიდჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, საერთოდ კი იგი, ისევე როგორც ლუისი, ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

მსოფლიოს ეოკ-თა წარმომადგენლებმა შეადგინეს სპორტის ლიდერთა ხუთეულიც. მას სათავეში დამსახურებულად მოექცა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ამღორძინებელი და არქიტექტორი, ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი, რომელსაც სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის პოსტი ეკავა 1896-1925 წლებში.

კუბერტენს მოყვება სკანდალებით გატანჯული ესპანელი მარკიზი ხუან ანტონიო სამარანჩი, რომელიც აგერ უკვე 1980 წლიდან სოკ-ის სათავეშია.

მესამე ადგილი წილად ხვდა ფიფას ყოფილ ბრაზილიელ პრეზიდენტ ჟოაო აველანჟს.

ამ ბრაზილიელს მოჰყვება იტალიელი პრიმო ნებიოლო, ვინც ამ ზამთრამდე, 18 წლის მანძილზე თავკაცობდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას.

მეხუთე ადგილი უკავია ასევე სოკ-ის ყოფილ პრეზიდენტს 1952-72 წლებში, ამერიკელ ევერი ბრენდეჯს.

გიგა გურასაშვილი

23 დეკემბერი

ბოსტონი — მონრეალი 3:3

2:2 1:1 0:0 0:0

0:1 დარბი 1'42 (3); 1:1 ელისონი 2'23 (6); 1:2 რუჩინსკი 12'31 (15); 2:2 ელისონი 16'28 (7); 3:2 ტორნტონი 28'46 (8); 3:3 ბრისბუა 39'29 (1)

ოტავა — კაროლინა 4:3

1:1 1:2 2:0

0:1 კოვალენკო 0'42 (6); 1:1 ლაუკანენი 4'29 (1); 1:2 ბალიკი 32'31 (2); 2:2 არვედსონი 32'55 (11); 2:3 კაპანენი 35'31 (14); 3:3 პროსპალი 45'05 (6); 4:3 ჟიუნო 52'11 (5)

ბუფალო — კოლორადო 2:1

0:0 2:0 0:1

1:0 შატანი 37'04 (16); 2:0 სანდერსონი 39'24 (5); 2:1 დედმარში 48'23 (7)

აილენდერსი — რეინჯერსი 4:2

1:1 2:1 1:0

1:0 ისბისტერი 7'23 (11); 1:1 ჭლავიჩი 19'52 (3); 2:1 ლაპუანი 22'25 (5); 2:2 ჭლავაჩი 26'32 (4); 3:2 ლაპუანი 34'48 (6); 4:2 ი. იუნსონი 50'25 (5)

ფილადელფია — ატლანტა 4:4

2:0 2:3 0:1 0:0

1:0 ანდერსონი 1'54 (2); 2:0 რენბერგი 3'40 (5); 3:0 რეკი 23'43 (16); 3:1 შენონი 25'13 (4); 4:1 ბრინდამორი 26'42 (1); 4:2 ტრაშბლე 29'43 (4); 4:3 ბუკბერგერი 31'39 (5); 4:4 ემერსონი 46'54 (4)

პიტსბურგი — ტამპა 4:3

1:0 2:1 1:2

1:0 რაიტი 5'02 (1); 1:1 ტაკერი 27'16 (8); 2:1 ვერენკა 35'51 (3); 3:1 კოვალიოვი 36'11 (13); 3:2 ტაკერი 46'08 (9); 3:3 მარა 50'42 (2); 4:3 კასპარაიტისი 55'08 (2)

ტორონტო — ნიუ ჯერსი 4:1

1:1 2:0 1:0

0:1 ლემიე 8'23 (12); 1:1 კოროლიოვი 16'05 (6); 2:1 ანტროპოვი 32'49 (5); 3:1 ჰოგლუნდი 34'57 (18); 4:1 ხრისტიჩი 55'03 (8)

ნეშვილი — სენტ ლუისი 2:2

1:1 1:0 0:1 0:0

0:1 ბერეჟევენი 0'30 (1); 1:1 ლეგვანდი 0'58 (7); 2:1 რობიტაილი 28'03 (5); 2:2 იანგი 55'45 (11)

ჩიკაგო — დალასი 5:2

1:0 2:2 2:0

1:0 ამონტე 4'03 (17); 2:0 პრობერტი 21'03 (1); 3:0 ნიუანდერი 26'12 (9); 3:1 სიდორი 34'31 (4); 3:2 ჰალი 36'53 (12); 4:2 გილმორი 47'49 (11); 5:2 ოლჩიკი 59'19 (1)

კალგარი — ედმონტონი 2:1

0:0 2:0 0:1

1:0 უილმი 24'02 (5); 2:0 ბურე 35'33 (18); 2:1 რ. სმიტი 43'13 (15)

ვიდექი ჩემთვის კართან...

კასპარაიტისი: ჩხუბი, ხუმრობა და სათაურები



REUTERS ტორონტოდან

კიბოქსინგი ყინულზე: ნიუჯერსელი კშიშტოფ ოლივასა (№29) და ტორონტელი ბრაიან ბერარდის ორთაბრძოლა

„ასეთი დიდებული გოლის შემდეგ აუცილებლად კვირის მოთამაშედ უნდა მაღიარონ. ვიდექი ჩემთვის კართან და გოლკიპერს ვფარავდი. უცებ შაიბა გამოსრიალდა და ჩემი ყვანჯისგან ასხლეტილი პირდაპირ კარში აღმოჩნდა. თუმც ეს ვერავინ შეამჩნია. პარტნიორებმაც არ მომაქციეს ყურადღება და მე შევძახე — ბიჭებო, გოლი გავიტანე!“ — პიტსბურგის ლიტველ მცველ დარიუს კასპარაიტისს გონებამახვილობით და ენაწყლიანობით ვერავინ შეედრება ლიგაში. ხისტად, ზოგჯერ უხეშად მოთამაშე „კასპერი“ როცა ყინულზე არ არის, სიამოვნებით ესაუბრება ჟურნალისტებს, ნებისმიერ კითხვაზე იუმორით შეზავებულ პასუხს იძლევა. ხოლო თუ მისი გუნდი იგებს და დარიუსსაც გოლი გააქვს (რაც არცთუ ისე ხშირია), ჰოკეისტის რეპლიკები უმალვე პრესის სათაურებში ხვდება. მისგან ინტერვიუს აღება ძალიან სასიამოვნოა.

წინასაშობაო დღე მცველისთვის ნამდვილად იღბლიანი გამოდგა — მისი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა პიტსბურგისთვის. ამას კიდევ ერთი პასიც დაამატა და ქულებით თვით იაგრს (1 პასი) აჯობა. ახლა სიტყვა უკვე ნჰლ-ის მესვეურებზეა.

აი, რეინჯერსის ახალბედა მცველ კიმ იუნსონს კი სახუმაროდ არ ეცალა. აილენდერსთან პრინციპულ დერბიში მან მეტოქეთა ზონაში ორჯერ დაკარგა შაიბა და მასპინძელთა ფორვარდმა კლოდ ლაპუანმა იგი ერთხელაც არ დაინდო. ეს შეცდომები საბედისწერო გახდა და რეინჯერსი 1998 წლის 4 აპრილის შემდეგ პირველად დამარცხდა მეზობელთან შეხვედრაში. რეინჯერებს როგორც იქნა დაუბრუნდათ ვალერი კამენსკი, რომელმაც ხელი ორჯერ დაზიანა და 30 თამაში გამოტოვა, მაგრამ მანაც ვერაფრით უშველა თავის გუნდს. გარდა ლაპუანისა, მატჩს კიდევ ერთი გმირი ჰყავდა — აილენდერსის ახალი მეკარე, შავკანიანი კევინ უიქსი. მან 36 დარტყმა მოიგერია. შეგახსენებთ, რომ უიქსი აილენდერსმა პოტვინის ნაცვლად შეიძინა ვანკუვერიდან.

კალგარის გამარჯვებაც მეტწილად ასევე შავკანიანი მეკარის — ფრედ ბრეტუეიტის (30 მოგერიება) დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ ბრეტუეიტი ექვსი თამაშია, არ დამარცხებულა, ბოლო სამ მატჩში კი მხოლოდ 2 შაიბა გაუშვა.

ორდღიან საშობაო დასვენებამდე გამართული მატჩი აუტსაიდერებისთვის ერთობ იღბლიანი გამოდგა. გარდა აილენდერსისა, ჩიკაგომაც დამაჯერებლად მოიგო, თანაც თვით ჩემპიონ დალასს სძლია. მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა, ჩიკაგოელებმა არაერთი გრანდი გააოგნეს. ამჯერად კი მეტოქეს სიურპრიზი მოუშადეს — პირველ სამეულში ცნობილ ოსტატ ტონი ამონტესა და დუგ გილმორთან ერთად სახელოვანმა „პოლიციელმა“ ბობ პრობერტმა დაიკავა ადგილი და მოულოდნელად გაძლიერებულმა ტრიომ ოთხი შაიბის გატანაში შეიტანა წვლილი. ამონტემ გოლს 3 პასი დაამატა, ხოლო პრობერტმა (1+1) სეზონში პირველი გოლი გაიტანა, თან ორჯერ ჩხუბიც მოასწრო. დალასს კვლავ სამი წამყვანი მოთამაშე აკლდა. მათგან ერთ-ერთი, მცველი დერიან ჰეჩერი, მინიმუმ ორი თვე ვერ დაეხმარება გუნდს.

კიდევ ერთმა მაჩანჩალამ, ატლანტამ აგერ უკვე მეცხრედ ვერ მოიგო (+0=2-7), მაგრამ ამჯერად მიღწეული ფრე ზოგ გამარჯვებაზე მეტად ფასობს — ზედიზედ მეორედ შეძლეს „თრეშერებმა“ სოლიდური დეფიციტის დაფარვა. ფილადელფია როდ ბრინდამორის გოლის შემდეგ 4:1 დაწინაურდა, მაგრამ სტუმრებმა შეუძლებელი შეძლეს და ოვერტაიმში ლამის გამარჯვებასაც გამოჰკრეს ხელი.

23 დეკემბერი ნჰლ-ის ისტორიაში შევა — კაროლინელმა პოლ კოფიმ მორიგი, 1112-ე პასით, პირველმა მცველებს შორის, 1500 ქულიან ზღვარს მიაღწია. ეს მოვლენა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მის გარდა მოქმედ მოთამაშეთაგან ეს მხოლოდ ორმა შეძლო — ვანკუვერელმა მარკ მესიემ და კაროლინელმა რონ ფრენსისმა.

ორი სახელიანი გუნდის — ბოსტონისა და მონრეალის თამაშში კი, მართალია, ასეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მაგრამ მასპინძლებმა ერთბაშად სამი მიღწევა დააფიქსირეს — „დათვების“ მწვრთნელმა პეტ ბერნსმა თავისი მე-800 შეხვედრა ჩაატარა, კლუბის სიმბოლოდ ქცეულმა სახელოვანმა მცველმა რეი ბურკმა 1488-ედ ჩატარებული მატჩის შემდეგ ნჰლ-ის რეკორდსმენთა სიაში მე-5 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ფორვარდმა ჯო მერფიმ 500 ქულა მიითვალა. სენტ ლუისის პლეიმეიკერი პიერ ტარჯონი კი მორიგი ორი პასით ქულის მოპოვებაში დაეხმარა გუნდს და პერსონალური სერია 10 თამაშამდე გაზარდა (9 გოლი და 10 პასი).

სამგელ ღარიბიანი

ჩემპიონს BMW აუფეთქეს

გუშინწინ მოსკოვში, საღამოხანს ქუჩაში მდგომ გაზიმზიმებულ BMW 528-სთან ორმა ახალგაზრდამ მიირბინა, უკან გამობრუნების მერე კი, სულ მალე, ავტომობილი აფეთქდა და ღაიწვა.

ეს BMW ეკუთვნოდა ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონ მარია ბუტირსკაიას, რომელიც სწორედ მაშინ აპირებდა. ქუჩაში გამოსვლას, მანქანაში ჩაჯდომას და „სოკოლნიკის“ სპორტის სასახლეში წასვლას, სადაც რუსეთის ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ᲛᲐᲚᲔᲛᲘᲡᲜᲝᲑᲐ

ლონდონი ვარსკვლავთცვენის მოლოდინშია

ტეგლა ლორუპე

ლონდონის 2000 წლის მარათონში ქალთა ისეთი ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს, როგორიც ამ შეჯიბრების მთელი თავის 20-წლიანი არსებობის განმავლობაში არ ახსოვს. მათ შორის იქნებიან ამ ასპარეზობაოა შარშანდელი გამარჯვებული, ირლანდიელი კატერინა მაკირნანი, პორტუგალიელი ევროპის ჩემპიონი მანუელა მაჩადო და წლევანდელი ნიუ იორკის მარათონის გამარჯვებული, მექსიკელი ადრიანა ფერნანდესი.

მათ გარდა ლონდონის მარათონ 2000-ში იასპარეზებენ ამ სახეობაში მსოფლიოს უსწრაფესი მორბენალი პატარა კენიელი ტეგლე ლორუპე, მისი თანამემამულე ჯოის ჩეპჩუმბე, ვინც წლეულს და შარშანწინ იმარჯვა ლონდონის მარათონში და ამ მარათონის 1996 წლის ჩემპიონი, ბრიტანელი ლიზ მაკკოლგენი.

— ტეგლა ლორუპესა და ჯოის ჩეპჩუმბეს შორის უკომპრომისო ბრძოლას კი ველით, მაგრამ ახლა, როცა ჩვენს მარათონში ასეთი უძლიერესი შემადგენლობა იყრის თავს, რბენა მართლაც რაღაც არაჩვეულებრივს გვპირდება — თქვა ასპარეზობის დირექტორმა დევიდ ბედფორდმა.

ბედფორდი მიგვანიშნებს რეკორდზე, რადგან ლონდონის მარათონის ორგანიზატორთ საკამათოდ გაუხდიათ ლორუპეს მსოფლიოს მიღწევის ავტორობის უფლება.

საქმე ისაა, რომ ლორუპე როტერდამში გამოდიოდა მამაკაც მარათონელებთან ერთად, რომლებიც, შესაძლოა, მას „მიარბენინებდნენ“.

ახლა ლონდონის მარათონში ქალები ვაუებზე ნახევარი საათით გვიან აიღებენ სტარტს, რაც მათ ქუჩებში აიქვეფას გამორიცხავს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მიღწევისთვის მარათონის ორგანიზატორები გამარჯვებულთ სოლიდურ პრიზს — 125 ათას დოლარს პირდებიან.

ჰაშეკი მიდის თუ მოდის?

ზაფხულში, როცა ბუფალოს სახელოვანი მეკარე დომინიკ ჰაშეკი აცხადებდა, ეს სეზონი ჩემთვის ბოლოაო, ცხადია, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ როგორ მოუწევდა კარიერის დასრულება.

გულდასაწყვეტია, რომ ჩეხის დიდებული მოლვაწეობა (მან ბოლო 6 სეზონში 5-ჯერ მოიპოვა საუკეთესო მეკარის წოდება) ასე მთავრდება. არა, საქმე ასე ცუდადაც არ არის — ჰაშეკი ჩვეულზე უარესად თამაშობს, თორემ მისი ოსტატობა გოლკიპერთათვის დღემდე მისაბაძია. ბუფალომ შეჯიბრზე ყველა მატჩი წააგო, რომლებშიც მისი კარი „დომინატორმა“ დაიცვა. საბოლოოდ კი, 29 ოქტომბერს, ფლორიდასთან შეხვედრაში ჰაშეკს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და დღემდე უქმადაა, ხოლო გუნდმა მის არყოფნაში საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

თუმცა დომინიკი თავმოყვარე კაცია და უეჭველია, კარიერის ღირსეულ დაგვირგვინებაზეც ზრუნავს. სწორედ ამიტომ მისცა მან ინტერვიუ ჩეხურ გაზეთ „სპორტს“: განუწყვეტლივ ვფიქრობ იმაზე, თუ როგორი იქნება ჩემი ბოლო სეზონი. ეს ძალიან მაღელვებს. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. თუ ჯანმრთელად ვიქნები, იქნებ ვითამაშო კიდეც“ — დაიმედა ჰაშეკმა თაყვანისმცემლები. ამ განცხადებამ თვით ბუფალოელებიც აღაფრთოვანა. როგორც კლუბის თავკაცი ლინდი რაფი ამბობს, ჰაშეკი მაინც საუკეთესოა და ამას კიდევ ბევრჯერ დაამტკიცებს. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინაა, ბოლო სიტყვა კი ჰაშეკზეა. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ „დომინატორს“ შუაგულ იანვრამდე ვერ ვიხილავთ ყინულზე.

ეს, ძმაო, ამერიკაა!

ძირითად შემადგენლობაში დაუმკვიდრებელ ჰოკეისტთა ფარმკლუბში გადაყვანის პრაქტიკა ახალი როდია და თითქოს დიდ ვნებათაღელვას აღარ უნდა იწვევდეს, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხდება, რომ აჯანყებული მოთამაშენი მწვრთნელის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან. მათი უმეტესობა ჩეხი ან რუსია. აგერ, მაგალითიც — სულ ახლახან დალასმა გაჯიუტებული ფორვარდი პაველ პატერა ჯერ უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯა, მერე კი შინ, ჩეხეთში გაუშვა. ახლა პაველ ტურგაევმა აატკივა თავი ტამპელებს — თავდამსხმელმა, რომელმაც სულ 5 მატჩში ითამაშა, მწვრთნელთა იმედი ვერ გაამართლა და იჰლ-ის კლუბ „დეტროიტ კაიპერსში“ გაიგზავნა. თუმცა რუსმა, რომელიც ადრეც არაერთხელ დაქვეითებულა დაბალ ლიგაში, ახლა ეს რატომღაც იუკადრისა და ამისთვის დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა.

არადა, ევროპელთა გულისწყრომაც გასაგებია. ბებერ კონტინენტზე მაღალი კლასის ოსტატებად მიჩნეულნი, ცხადია, ფარმკლუბებში სათამაშოდ არ მიემგზავრებიან. მათი მიზანი ნჰლ-ის მწვერვალების დაპყრობაა. მიზანი მიზნად, მაგრამ კანონი რომ ყველასათვის ერთია?

ლიგა ახალგაზრდულ ნაკრებს ეხმარება

ჩემპიონატის მსვლელობისას ლიგის არც ერთ მოთამაშეს არა აქვს უფლება, სხვა ტურნირებში მიიღოს მონაწილეობა. თუმც როცა ეროვნულ პრესტიჟზეა ლაპარაკი, გარკვეულ გამონაკლისებს უშვებენ. ასე რომ, მორიგ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ნაკრების ღირსებას ერთბაშად სამი ახალბედა ნჰლ-ელი, რეინჯერსელი ფორვარდი მენი მალოტრა, მონრეალელი მაიკ რიბეირო და აილენდერსელი მცველი მეტიუ ბირონი დაიცავენ. 1998 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი მალოტრა უკვე მეორე სეზონია, ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ ბოლო ხანს ყოველთვის როდი ხვდება შემადგენლობაში. თუმც სულ სხვაა ნჰლ და სულ სხვა — მსოფლიოს ჩემპიონატი და სამი ნიჭიერი ახალგაზრდის შემატება უეჭველად დაეხმარება კანადას, დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუნოს.

ათასწლეულის ხიდი

ᲨᲝᲚ ᲡᲢᲠᲘᲢᲘ... ნიუ იორკის ფულის ბირჟა. განთქმულ დიდების დარბაზელებს, ფეხბურთელ ჯო ნემეთსა და ბეისბოლისტ ჰენკ არონს ბირჟაზე გვარიანი აქცია გაუმართავთ. ჯერ თავიანთი სათამაშო ბურთები გაუსვრიათ, მერე კი ვაჭრობის დაწყების მაუწყებელი ზარისთვისაც შემოუკრავთ. ჯოს ქალიშვილები ჯესიკა და ოლივია მოუყვანია,ჰენკს შეუღლე ბილი. ამ საქმის მოთავე ბირჟის თავმჯდომარერიჩარდ გრასო ყოფილა, რომელსაც პრორგრამა „ათასწლეულის ხიდი“ მოუგონია, რაც იმას გულისხმობს, რომ ბირჟაზე ჟამითჟამად გამოჩნდნენ გამორჩეული ადამიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერთნი ვართ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ჩრდილო კორეისა და თავისუფალი სამხრეთ კორეის ერთგვარი დაახლოებაზე გუშინაც ვიუწყებოდით. ჩრდილოელთა 62 კაციანი დელეგაცია ახლა სეულშია და ორი კორეის საკალათბურთო შეხვედრებით ცდილობს ყინულის გალღობის დაწყებას. სამხრეთკორეელები კი ბავშვთა ენით ღაღადებენ ჭეშმარიტებას. ორი კორეის გაერთიანება საგანგებოდ ამ თამაშისთვის დამზადებულ დროშებზე იოლად იკითხება (ამ შემთხვევაში იეროგლიფს დიდი ამოცნობა არ უნდა) — „ჩვენ ერთნი ვართ“.

ᲕᲣᲔᲚᲢᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ საველოსიპედო ტური, განთქმული „ვუელტა“ მომავალი წლის აგვისტოში დაიწყება, მაგრამ მის მესვეურებს კი უკვე შეუდგენიათ მარშრუტი. 55-ე „ვუელტა“ მალაგაში დაიწყება და მადრიდში დასრულდება. მარშრუტში კვლავ შეტანილია ალტო დე ლანგლირუს მაღალმთიანი გადასასვლელი, რომელიც ძალიან არ უყვართ შეჯიბრების მონაწილეებს.



ᲜᲐᲪᲔᲛᲘ

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ ისე შეყვარებიათ ფეხბურთი, რომ მართლმორწმუნე მუსლიმანნი ერთმანეთს აღარ ინდობენ. ეს ნაგვემი კაცი მოჰამად ბორინი გახლავთ „ალ ფეისალის“ გულშემატკივარი. „ალ ფეისალს“ პენალტებით მოუგია გადამწყვეტი შეხვედრა „ალ ვიდატისთვის“. ვიდატელებს კი ტრიბუნებზე უჯობნიათ...

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli